

ნონა ლეშკაშელი, ნინო ჯაფარიძე

# მასწავლებლის ნიშანი

3. რაეიშვილის, თ. ლონდაძის და თ. ცხადაიას  
IV კლასის ქართული ენის მასწავლებლისათვის



გამომცემლობა  
„ანისი“

გამომცემლობა „აისი“.  
თბილისი, გ. ჩუბინაშვილის 50.

ISBN

© ნონა ლეშკაშელი, ნინო ჯაფარიძე  
© გამომცემლობა „აისი“. თბილისი, 2009

## შესავალი

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში გამოკვეთილია სამი ძირითადი მიმართულება: ზეპირმეტყველება, კითხვა და წერა.

ჩვენი (მასწავლებლის წიგნის ავტორების) მიზანია დავეხმაროთ მასწავლებლებს მოსწავლეებში ეფექტურად განავითაროს მეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სტანდარტების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარ კარგად დაგეგმილი გაკვეთილით. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელი აჯამებს წინა გაკვეთილზე მიღწეულს, ასევე წამოჭრილ პრობლემებს, ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით და განსაზღვრავს მეთოდს, თუ როგორ მიაღწიოს შესაბამის მიზანს.

მასწავლებლები ხშირად საუბრობენ წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილის უსარგებლობაზე და ამტკიცებენ, რომ “გაკვეთილი ცოცხალი პროცესია და არავის ძალუძს წინასწარ განსაზღვროს იგი”. ასეთ შემთხვევაში დიდი პატივისცემით გვინდა ვუთხრათ მათ, რომ წინასწარ დაგეგმილი სცენარით წარმართული ნებისმიერი “ცოცხალი პროცესი” წარმატებული და მიზანმიმართულია, თუ ჩვენ ვიცით, საით მივდივართ და კონკრეტულად რისი მიღწევის საშუალებას გვაძლევს მოცემული მასალა.

აუცილებელია, გაკვეთილის დასრულების შემდეგ გავანალიზოთ, თუ რისი მიღწევა შეეძლო და რა პრობლემები წარმოიშვა კონკრეტული მიზნის მიღწევის გზაზე. აქ მოიაზრება მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. მეთოდი არის საშუალება მოსწავლეთა გასააქტიურებლად და მოტივაციის ასამაღლებლად კონკრეტული დავალების შესრულების პროცესში.

სწორედ დანებებითი სკოლაში ხდება “შეგნებული მკითხველისა და მწერლის” ჩამოყალიბება. ამ ასაკში ყალიბდება განსხვავებული აზრის მოსმენის, კამათის, საკუთარი მოსაზრების არგუმენტებით გამყარების, მსჯელობის პროცესში ტექსტის გამოყენების უნარები.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია წარმოვიდგინოთ გაკვეთილი სრული სახით და ის კონკრეტული მიზნები, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ. შევადგინოთ შეკითხვების ნუსხა გაკვეთილის ყველა ეტაპისთვის, რომელიც მიმართული იქნება კონკრეტული მიზნის მისაღწევად. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევადგინოთ შეკითხვები, რადგან სწორედ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით აღიძვრება მოსწავლეში ფიქრი, ფიქრი კი სანყისია აზროვნებისა.

პედაგოგები, რომლებიც მოსწავლეებს სთხოვენ მხოლოდ საკუთარი, ანუ მასწავლებლის მიერ ნათქვამის გამეორებას, საბოლოოდ მიიღებენ “თუთიყუშებით” სავსე აუდიტორიას, ხოლო მასწავლებელი, რომელიც სვამს მოსწავლის ფიქრზე ორიენტირებულ შეკითხვებს — წინასწარ მოფიქრებულს, იღებს აუდიტორიას, რომელიც სავსე იქნება საინტერესო მოსაზრებებით, ატმოსფეროს, რომელშიც ინდივიდუალური გამოცდილების გააზრებით მდიდრდება სასწავლო პროცესი.

აქტიურ სწავლებაზე ორიენტირებული კლასის მოსწავლეს სჭირდება როგორც თავისუფლება, ასევე პასუხისმგებლობა მოცემული დავალების შესრულების პროცესში, მას უხდება ფიქრი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

როგორ გამოიყენოს დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო?

როგორ მიხვდეს კარგად ართმევს თუ არა დავალების შესრულებას თავს?

ვისთან ერთად ისურვებს მუშაობას?

რა დაეხმარება დავალების შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში?

არჩევანი არის უმთავრესი ფაქტორი აქტიური სწავლების პროცესში. არჩევანის გარეშე ფიქრი კარგავს მნიშვნელობას, მასწავლებელი წარმატებულია მაშინ, თუ შედგენილ გეგმაში სწორად განსაზღვრავს ადგილს არჩევანისათვის.

### ინსტრუქცია დაგეგმისათვის

გაკვეთილის დაგეგმვა, როგორც წესი, იწყება თემის დემონსტრირებით. სასურველია, თემა წინასწარ წარმოვადგინოთ შეკითხვის ფორმით, რადგან შეკითხვა ბადებს ცნობის-მოყვარეობას და თავის მხრივ, აღძრავს ახალ შეკითხვებს.

გაკვეთილმა უნდა მისცეს შესაძლებლობა მოსწავლეს, ივარჯიშოს ფიქრსა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დახვეწაში.

მიზნები წარმართავენ სწავლების მთელ პროცესს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეტალურადაა წარმოდგენილი, კარგადაა გააზრებული, რა ტიპის ქცევებს, რეაქციას უნდა

ველოდოთ მოსწავლეთაგან, რათა შესაძლებელი გახდეს იმის განსაზღვრა, მიაღწია თუ არა ბავშვმა ჩვენ მიერ დასახულ მიზანს.

სამიზნედ გვექონდეს გაგებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავება ნიშნავს იმას, რომ ფოკუსირება ხდება არა იმაზე, თუ რას ვასწავლით ბავშვს, არამედ იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს იგი ამ ცოდნას მომავალში. რა ტიპის ფიქრს, ინტერაქტივობას და კომუნიკაციის მეთოდებს ეუფლება იგი.

სამიზნედ აღებული უნდა იყოს არა მხოლოდ შესასწავლი მასალის შინაარსი, არამედ სწავლების ხასიათი, ფიქრის სტრატეგიები, ძიება და კომუნიკაბელურობა, ---- ის თვისებები, რომლებიც მოსწავლეებმა მომავალში უნდა გამოიყენონ.

მოსწავლეთა შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კონკრეტული მიზანი აქვს გაკვეთილს. თუკი მიზანი მიმართულია შინაარსის კარგად დაუფლებისკენ, მაშინ ის მოითხოვს, რომ მოსწავლემ კარგად შეისწავლოს მასალის შინაარსი. თუ გაკვეთილის მიზანია უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ვარჯიში, მაშინ მოთხოვნა უკავშირდება პრაქტიკული ჩვევების სრულყოფილ ათვისებას.

მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ, თუ რის მიხედვით შეფასდება მათი ცოდნა, სასურველია და აუცილებელიც მათთან ერთად შედგეს შეფასების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების სქემები და გაიკრას თვალსაჩინო ადგილზე, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ შეფასების ობიექტურობა და თვითონაც შეძლონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასში.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრიორიტეტულ მიზნებს წარმოადგენს:

მოსწავლეს განუვითაროს და ჩამოუყალიბოს:

- სამეტყველო უნარები: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი.
- წერიტი და ზეპირი მეტყველების უნარი.
- საკუთარი აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმის უნარი.
- სხვადასხვა დანიშნულების წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი.
- დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი.

ამასთან, შეაყვაროს კითხვა, გამოუმუშავოს ლიტერატურის აღქმისა და გაცნობიერების უნარი და გააცნობიერებინოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა.

IV კლასში სწავლის პერიოდი მოითხოვს სწავლების ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. ამდენად, წამყვანი პრინციპია საგნის — ენისა და ლიტერატურის — შინაარსობრივი ერთიანობა.

მოსწავლის სწავლება-სწავლის პროცესი დაკვირვებასა და მეცნიერულ კვლევას უნდა ეყრდნობოდეს. ცოდნის შენობის ასაშენებლად ახალი მონაცემები უკვე არსებულ, ძველ ცოდნასა და გამოცდილებასთან უნდა შეჯერდეს, რაც შემეცნებით საფუძველს უქმნის მოსწავლეებს ახალი ცოდნის კონსტრუირებისათვის. ყოველივე ეს სასწავლო პროცესის გააქტიურებას მოითხოვს. მასწავლებელი აქტიური მეთოდების გამოყენებით მოსწავლეებს წაახალისებს, იყენებს სწავლების ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც მუდმივად უზიდავს ბავშვებს, დაეჭვდნენ შესასწავლ საკითხებზე, აყალიბებს მათ “მკვლევარებად”. კარგად დაგეგმილ სასწავლო პროცესში მოსწავლეები სწავლობენ, როგორ ისწავლონ. ცოდნის შექმნა სპირალისებური, მუდმივგანვითარებადი პროცესია. მოსწავლეები უწყვეტად აცნობიერებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, კითხულობენ ტექსტებს, უვითარდებთ ახალი ინფორმაციის ძველთან შერწყმის, გამთლიანებისა და გაზიარების უნარი. ეს კი თავის მხრივ, ახალ კითხვებს ბადებს.

მასწავლებელმა უნდა შეძლოს:

- წაახალისოს მოსწავლეთა სწავლების პროცესი.
- აღუძრას მოსწავლეებს არსებულ შეკითხვებზე პასუხების ძიების სურვილი.
- ჯგუფში ჩამოყალიბებულ საინტერესო აზრებს მისცეს მიმართულება კვლევისათვის, რათა შემდგომში მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს მიღებულ შედეგებზე.

სწავლება ითვალისწინებს მოსწავლის აქტიურობას, სასწავლო კურიკულუმების განვრცობას. მასწავლებლის ამოსავალი წერტილია მოსწავლეთა შეკითხვები და ინტერესები. სწავლების დროს გამოყენებულია ფილმები, ნარკვევები, სპექტაკლები... სწავლება ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ აზროვნებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე. მასწავლებლები მუდმივ დიალოგში ერთვებიან მოსწავლეებთან, ეხმარებიან ცოდნის კონსტრუირებაში. მასწავლებლები სწავლების პროცესში იყენებენ როგორც ლექციურ მეთოდს, ისე დისკუსიებს, კამათს, დებატებს... მოსწავლეები მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებად, ჯგუფებად. მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლეებთან. ის არ არის ავტორიტარი, არ იძლევა დირექტივებს, არამედ გზას უკვალავს მათ სასწავლო პროცესში.

მოსწავლეთა შეფასება ხდება არა მხოლოდ ქულებითა და გამოცდებით, არამედ მათი ნამუშევრებით, რუბრიკებით, თვითშეფასებით, პორტფოლიოებით. ფასდება არა მხოლოდ ათვისებული სასკოლო პროგრამა, არამედ მოსწავლის განვითარების პროცესი.

- სწავლების პროცესი რომ ხალისიანი და საინტერესო იყოს, გავითვალისწინოთ:
- ერთი მოსწავლის კითხვით ხშირად მიმართოთ სხვა მოსწავლეს. მოსწავლეს კი მივცეთ საშუალება, მიმართონ ერთმანეთს.
  - წავახალისოთ მოსწავლეს განსხვავებული პასუხების მიღების შემთხვევაშიც.
  - ხშირად ვამუშაოთ მოსწავლესი წყვილებად. ვათანამშრომლოთ ისინი სასწავლო ჯგუფებად.
  - ხშირად გადავადგილოთ ავეჯი საკლასო ოთახში იერსახის ცვლილების, მრავალფეროვნების მიზნით.
  - სწავლების პროცესში ხშირად განვახორციელოთ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გამოყენება.
  - სწავლება დავაფუძნოთ **გამონვევა — შინაარსის რეალიზება — რეფლექსია** (იხ. გვ.10) — სქემის ყველა ელემენტზე. ყურადღება მივაქციოთ წინა გაკვეთილზე მიღწეულ შედეგებს და მომდევნო გაკვეთილის გეგმებს.
  - ხშირად მივმართოთ ინფორმაციის დამატებით წყაროებს.
  - საკითხავითა და წერიტი დავალებებით დავეხმაროთ მოსწავლეს საკითხის გაგებასა და წვდომის სურვილის გაღრმავებაში.
  - დავსვით კითხვები ბლუმის ტაქსონომიის (იხ. გვ.14, “მასწავლებლის კითხვები”) შესაბამისად, რომელთა უმრავლესობა მაღალი დონის შეკითხვები იქნება.
  - ყოველთვის დავუთმობ დრო იმ მოსწავლეს, რომელთაც მეტი დრო სჭირდებათ რეაგირებისათვის.
  - ყოველთვის მივცე მოსწავლეს პასუხის დასრულების საშუალება.
  - ხშირად გამოვიყენოთ “ავთენტური” შეფასების სტრატეგია, რათა განვსაზღვროთ სწავლების პროცესში მიმდინარე ცვლილებები.
  - მოსწავლეს დავალების მიცემამდე გავაცნოთ შეფასების კრიტერიუმები, რომელთაც მოსწავლეთა მონაწილეობით შევარჩევთ.
  - გავითვალისწინოთ მოსწავლესისა და კოლეგების შეხედულებები.

## სტანდარტი IV კლასი

### წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

#### მიმართულება: ზეპირმეტყველება

**ქართ. IV. 1. მოსწავლე განსაზღვრავს საკომუნიკაციო ამოცანას და შესაბამისად წარმართავს სამეტყველო ქცევას.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობებში -ამზადებს და წარმოადგენს მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შერჩეულ როლს;
- როლის (მოლაპარაკე ცხოველების, უსულო საგნების) განსასახიერებლად ადეკვატურად იყენებს დამხმარე საშუალებებს (ყესტი, მიმიკა, დამახასიათებელი მოძრაობა, გარკვეული არტიკულაცია, მოხერხებულობის, ტყუილის თუ სხვა თვისებებისა და გრძნობების გამომხატველი მინიშნებები);
- აფასებს, რამდენად შეესაბამება კონკრეტული ეტიკეტის ფორმა საკომუნიკაციო ამოცანას;
- შეარჩევს (თვითონ ხატავს ან მოიძიებს) როლის შესაბამის ვიზუალურ მასალას;
- კორექტულად, ეტიკეტისა და რიგის დაცვით გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

**ქართ. IV. 2. მოსწავლე ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის ტექსტს და გადმოსცემს მათს შინაარსს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- ამოიცნობს და განარჩევს ასაკის შესაბამისი სირთულის სასაუბრო ტექსტების სახეებს (აღწერა, თხრობა, კამათი, დიალოგი...);
- შინაარსის გადმოცემისას ერთმანეთს ანაცვლებს თხრობასა და აღწერას;
- განასხვავებს შინაური გარემოს სასაუბრო სტილსა და ოფიციალური გარემოს (მაგ. სასკოლო საქმიანი სიტუაცია) ენას და შესაბამისად იყენებს მათ;
- ამოიცნობს საბავშვო, შემეცნებით (შემეცნებით-გასართობ), მუსიკალურ, სპორტულ და საინფორმაციო გადაცემებს სპეციფიკური ნიშნების (მუსიკალური ქუდი, ლოგო, დასაწყისი და ა. შ.) მიხედვით;
- განასხვავებს პირდაპირ და ირიბ ნათქვამს და დანიშნულებისამებრ იყენებს მათ;
- თხრობისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას;
- მიჰყვება სიუჟეტურ ხაზს და თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებსა და მოვლენებს.

**ქართ. IV. 3. მოსწავლე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას მხატვრული ნაწარმოების მიმართ.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- მსჯელობს ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კუთხით;
- ასახელებს მოსწონილი ტექსტიდან ესთეტიკურად ღირებულ ადგილებს;
- აფასებს გმირის საქციელს და განმარტავს თავის დამოკიდებულებას;
- უკავშირებს პერსონაჟის მოქმედებას პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იხსენებს მსგავს სიტუაციებს;
- მონაწილეობს მხატვრული ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში;
- მონაწილეობს საბავშვო სპექტაკლის ან ზღაპრის განხილვაში;
- გამოხატავს საკუთარ ემოციებს / განცდებს და ცდილობს მათს ახსნას (გამიკვირდა იმიტომ, რომ... აღუფოთდი იმიტომ, რომ...).

**ქართ. IV. 4. მოსწავლე იყენებს შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- სხვადასხვა სიტუაციის (გარემოს აღწერა, ამინდი, ისტორიული ამბის გადმოცემა...) აღწერისას სათანადოდ რთავს მეტყველებაში სპეციფიკურ ლექსიკას;
- მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებითად იყენებს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმები, ანტონიმები...).
- სათანადო კონტექსტებში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი) ნაცვალსახელებითა (ეს, ის, ასეთი, ამდენი...) და მარტივი ზმნიზედებით (აქ, იქ, მაშინ, ამიტომ...);
- კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის გრამატიკული დროის ფორმებს (მაგ. შარშან დაისვენა / დაუსვენია - გაისად დაისვენებს / უნდა დაისვენოს და ა. შ.);

- დროში თანამიმდევრული მოქმედების გადმოცემისას იყენებს ერთი დროის ფორმებს;
- მეტყველებისას იცავს ბრუნვის ნიშნებისა და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლმეტყველების წესებს (მაგ. ვვარჯიშობ, ვუთხარი, თბილისს, ქათამმა, კარგად ვარ და ა. შ.);
- სწორად უხამებს რიცხვში განუსაზღვრელი ოდენობის გამომხატველ სიტყვებს არსებით სახელებს;
- სწორად იყენებს პირდაპირი და ირიბი ნათქვამის გადმოსაცემ ენობრივ საშუალებებს (ზმნა, სხვათა სიტყვის -ო).

## **მიმართულება: პიოხპა**

**ქართ. IV. 5. ინფორმაციის მოსაძიებლად და კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად მოსწავლე იყენებს სხვადასხვა სტრატეგიას.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- სარგებლობს საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით;
- სწორად იგებს და იყენებს ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე განთავსებულ ინფორმაციას (ავტორი, სათაური, გვერდების რაოდენობა);
- ამოიცნობს და ბიბლიოთეკაში სწორად მოიძიებს ძირითად საბავშვო სერიულ გამოცემებს (მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, ქართული ხალხური ზღაპრები, საბავშვო ენციკლოპედიები და ა. შ.);
- ადეკვატურად იგებს საბავშვო წიგნში გამოყენებულ პირობით ნიშნებს, დამხმარე ცხრილებსა და მარტივ დიაგრამებს;
- სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად მიმართავს ლექსიკონს.

**ქართ. IV. 6. მოსწავლე დამოუკიდებლად კითხულობს სხვადასხვა თემაზე შექმნილ ლიტერატურულ ტექსტებს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- საუბრობს სათაურისა და ტექსტის აზრობრივ / შინაარსობრივ ურთიერთკავშირზე;
- ასახელებს სათაურის ალტერნატიულ ვარიანტებს;
- ასახელებს წაკითხული ტექსტის თემას, მსჯელობს ამ თემის შესახებ;
- განასხვავებს და საგანთა / მოვლენათა დასახასიათებლად იყენებს მათ გარეგნულ და შინაარსობრივ მახასიათებლებს;
- განარჩევს ტექსტში ავტორისა და პერსონაჟების სიტყვებს, დიალოგსა და მონოლოგს;
- დამოუკიდებლად პოულობს ტექსტში სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც ავტორი იყენებს პერსონაჟების, ფაქტების და მოვლენების აღსაწერად;
- ყვება ნაწარმოებში ასახულ ამბავს ერთ-ერთი პერსონაჟის პირით;
- ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით სვამს კითხვებს წაკითხულთან დაკავშირებით.

**ქართ. IV. 7. მოსწავლე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას წაკითხული ტექსტის მიმართ; ავლენს ესთეტიკური და ეთიკური შეფასების სურვილს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- ასახელებს საყვარელ წიგნს, ავტორს, პერსონაჟს და ხსნის თავის არჩევანს;
- განმარტავს, რით არის კონკრეტული ნაწარმოები მისთვის საინტერესო;
- მიუთითებს, რა მოეწონა ნაწარმოებში: ამბავი, პერსონაჟის საქციელი, ბუნების აღწერა, დიალოგები თუ სხვა;
- მონაწილეობს ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიებში; საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად იყენებს შესაბამის ადგილებს წაკითხული ტექსტიდან ან მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან.

**ქართ. IV. 8. მოსწავლე ამოიცნობს მარტივი ტექსტის არსებით ენობრივ-გრამატიკულ ნიშნებს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის / ობიექტის და მოქმედების დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (განსაზღვრება, გარემოება -მოქმედების რაგვარობის, დროისა და ადგილის გამომხატველი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები...);
- ძახილის წინადადებებიდან კონტექსტის მიხედვით განარჩევს და ასახელებს სხვაობას ბრძანებას, ნატვრასა და თხოვნას შორის;
- იგებს და განმარტავს მრავალწერტილის ფუნქციას წინადადების ბოლოს;
- განარჩევს კამათისა და დიალოგისთვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს (დიალოგის გაფორმება; „ჩემი აზრით“, „ასე მგონია“, „ვეთანხმები, მაგრამ...“).

## მიმართულება: წერა

**ქართ. IV. 9. მოსწავლე თხზავს სხვადასხვა ხასიათის მცირე ზომის ტექსტს და ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.**  
*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების საფუძველზე წერს მცირე ზომის ტექსტს;
- თხზავს და შესაბამისად აფორმებს მცირე ზომის მიზნობრივ ტექსტებს: მაგ., სხვადასხვა ხასიათის აბრები საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის, სპორტული მოედნისთვის, კონკრეტული პირის სახელზე დაწერილი განცხადებები, ზღაპრის ან საბავშვო სპექტაკლის თემაზე შექმნილი პლაკატი;
- ჩამოწერს შეკითხვებს მწერალთან წარმოსახვითი ინტერვიუსათვის;
- სწერს წერილებს რეალურ და წარმოსახვით ადრესატს (მეგობარს, ნაწარმოების ავტორს, პერსონაჟს და სხვ.).

**ქართ. IV. 10. მოსწავლე ფლობს წერის სანყის სტრატეგიებს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- შეადგენს წერიტი დავალების მოკლე გეგმას;
- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს მიზნობრივი ტექსტებისთვის;
- უბრუნდება ნაწერს კორექტირებისათვის, ასწორებს მარტივი ტიპის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას / წინადადებას);
- ამჩნევს და ასწორებს საკუთარ შეცდომებს (მაგ: სუბიექტსა და ზმნას შორის შეუთანხმებლობა, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეუთანხმებლობა, ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომები...);
- ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

**ქართ. IV. 11. მოსწავლე თხზავს სხვადასხვა ხასიათის მცირე ზომის ტექსტს და ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- გადმოტანილია; გადმოსცემს ნახატი ან მუსიკალური ნაწარმოებით მიღებულ შთაბეჭდილებას;
- ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების საფუძველზე წერს მცირე ზომის ტექსტს;
- თხზავს და შესაბამისად აფორმებს მცირე ზომის მიზნობრივ ტექსტებს: მაგ., სხვადასხვა ხასიათის აბრები საშუალო სკოლის, საბავშვო ბაღის, სპორტული მოედნისთვის, კონკრეტული პირის სახელზე დაწერილი განცხადებები, ზღაპრის ან საბავშვო სპექტაკლის თემაზე შექმნილი პლაკატი;
- ჩამოწერს შეკითხვებს მწერ ალთან წარმოსახვითი ინტერვიუსათვის;
- სწერს წერილებს რეალურ და წარმოსახვით ადრესატს (მეგობარს, ნაწარმოების ავტორს, პერსონაჟს, და სხვ.).

**ქართ. IV. 12. მოსწავლე წერს შესწავლილი ტექსტის შინაარსს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- იცავს შინაარსობრივ თანამიმდევრობას;
- ნაწარმოების შინაარსის გადმოცემისას შემოქმედებითად იყენებს ავტორისეულ ლექსიკასა და მხატვრულ სახეებს;
- შინაარსის გადმოცემისას იყენებს საკუთარი დამოკიდებულების გამომხატველ შეფასებებს;
- ქმნის ნაწარმოების სიუჟეტის განსხვავებული დასასრულის წერილობით ვერსიას.

**ქართ. IV. 13. მოსწავლე ფლობს და იყენებს წერის სანყის სტრატეგიებს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- შეადგენს წერიტი დავალების მოკლე გეგმას;
- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს ტექსტის დანიშნულებას და ადრესატს მიზნობრივი ტექსტებისთვის;
- უბრუნდება ნაწერს კორექტირებისათვის, ასწორებს მარტივი ტიპის შეცდომებს (ჩაამატებს, ამოშლის ან გადასვამს ტექსტში ასოს, სიტყვას, ფრაზას / წინადადებას);
- ამჩნევს და ასწორებს საკუთარ შეცდომებს (მაგ: სუბიექტსა და ზმნას შორის შეუთანხმებლობა, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეუთანხმებლობა, ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომები...);
- ხმამაღლა კითხულობს საკუთარ ნაწერს, ცვლის ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს ესთეტიკური თვალსაზრისით უკეთესი ვარიანტით.

**ქართ. IV. 14. მოსწავლე წინადადების აგებისას იყენებს გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორ ფორმებს და იცავს პუნქტუაციის ძირითად წესებს.**

*შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:*

- აკვირდება სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობას და კონტექსტის გათვალისწინებით იყენებს მათ;
- სწორად ხმარობს სახელის ბრუნვის ფორმებს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით (აშენებს კაც-ი სახლ-ს; ააშენა კაც-მა სახლ-ი; აუშენებია კაც-ს სახლ-ი);
- ამჩნევს და ასწორებს საკუთარ შეცდომებს (მაგ: სუბიექტსა და ზმნას შორის შეუთანხმებლობა, მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეუთანხმებლობა, ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომები...).
- მართებულად ხმარობს სიტყვებს: თითოეული, ყველა, ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე და სწორად უთანხმებს რიცხვში ზმნებს მათ;
- იცნობს და მართებულად იყენებს შეფასების / დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს (მაგ. არ გეთანხმები, მეც ასე მგონია, მეეჭვება, არ მჯერა, შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ, და ა. შ);
- მართებულად იყენებს სასვენ ნიშნებს (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები, ბრჭყალები, ორწერტილი, მრავალწერტილი...).

## **IV კლასის პროგრამის შინაარსი**

IV კლასის სტანდარტში მოცემული შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემულ შინაარსზე დაყრდნობით

### **1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება**

**ძირითადი თემატიკა:**

ლექსიკოლოგიური ასპექტი: მიდრდობა ლექსიკური ფონდი: შემოდის სპეციალური ლექსიკა და ტერმინოლოგია; აქტიურად, შემოქმედებითად გამოიყენება სიტყვათა სემანტიკური კავშირები (სინონიმი, ანტონიმი, ლექსიკური ბუდეები...); კონტექსტურად შეარჩევს ერთი სემანტიკური ჯგუფის სიტყვებს; სწავლობს სიტყვათა ლექსიკურ კავშირებზე დაკვირვებას (სიტყვანარმოების საწყისი წესები, ახალ სიტყვათა წარმოქმნა); რთული შედგენილობის სიტყვებზე დაკვირვება; სიტყვის მრავალმნიშვნელობა.

**გრამატიკული ასპექტი:** იცნობს და აქტიურად იყენებს სახელის ბრუნვისა და

ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებულ ორთოგრაფიის წესებს; ესმის და გაიაზრებს სივრცული, დროითი და მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების ურთიერთმიმართებას; განარჩევს ძირითად სიტყვათა კლასებს (მეტყველების ნაწილებს) და ამოიცნობს და იყენებს მნიშვნელოვან სინტაქსურ მიმართებებს სიტყვათა შორის; ავლენს სიტყვის მორფოლოგიური აგებულების საწყის ცოდნას; სათანადოდ ხმარობს სასვენ ნიშნებს.

### **2. ენის კომუნიკაციური ასპექტები**

**ძირითადი თემატიკა:** საკომუნიკაციო ამოცანა და მისი გადაჭრის ხერხები; ჯგუფურ აქტივობაში როლის / მოკლე ზეპირი გამოსვლის მომზადება და წარმოდგენა; ენის სხვადასხვა ფუნქციური სტილი (სასაუბრო, სალიტერატურო) და მათი გამოყენების სფეროები; მიზნობრივი ტექსტები (აბრა, რეკლამა, პლაკატი, რეცეპტი, სამახსოვრო წესები, ინსტრუქცია, სხვადასხვა ხასიათის წერილები), მათი ჩანერისა და გაფორმების წესები.

### **3. მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა**

**ძირითადი თემატიკა:**

სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, სათავგადასავლო ნაწარმოებები, დიდაქტიკური თხზულებები, ფანტასტიკა, იუმორისტული და სატირული ნაწარმოებები, საყოფაცხოვრებო, პატრიოტული და ჰეროიკული თემები.

**საკითხავი მასალა:**

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, ნუმუშები მსოფლიო ხალხთა ფოლკლორიდან: ზღაპრები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული, ბერძნული, რომაული), თანამედროვე ქართულით გამართული სხვადასხვა პერიოდის ნაწარმოებები, ლიტერატურული ზღაპრები (ქართველი და უცხოელი მწერლების), ლექსები და პროზაული თხზულებები. თემატიკაც ფართოვდება:

# სწავლების სამფაზიანი მოდელი

## გამონვევა — შინაარსის გაცნობა — რეფლექსია

### გამონვევა

სამფაზიანი მოდელის პირველი ეტაპი მოცემულ საგანზე, მოვლენაზე ადრე მიღებული ცოდნის “გამონვევის” ფაზაა. ამ ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვანი შემეცნებითი ქმედება ხორციელდება. მონაფეები აქტიურად იხსენებენ იმას, რაც იციან ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ეს აქტივობა უბიძგებს მათ, გადახედონ საკუთარ ცოდნას და დაფიქრდნენ იმ საკითხზე, რომელსაც მალე გამოწვლილვით გამოიკვლევინ. ამ საწყისი ქმედებით მონაფეები საფუძველს უყრიან “პიროვნულ ცოდნას”, რომელსაც მომავალში, შესაძლოა, ახალი ცოდნა შეემატოს. თუ ინფორმაცია კონტექსტიდან მონყვეტილადაა წარმოდგენილი და მოსწავლეებს მისი არსებულ ცოდნასთან დაკავშირება გაუჭირდათ, შესაძლოა, აგი ადვილად დაიკარგოს. სწავლის პროცესი ახლისა და უკვე ცნობილის ერთმანეთთან დაკავშირების პროცესია. მონაფეები ახალ ცნებებს გამოიმუშავენ უკვე მიღებული ცოდნისა და საკუთარი მრწამსის საფუძველზე. ასე რომ, მონაფეების “გამონვევის”, ანუ გონებაში აღდგენის ფაზის მეორე მიზანია მონაფის გააქტიურება, ინტერესის გაზრდა. ძალზე ხშირად მონაფეები პასიურად სხედან საკლასო ოთახებში და უსმენენ მასწავლებლებს, თვალს ადევნებენ მათ აზრთა მსვლელობას. ძილმორეული მონაფეები უღიმღამოდ ინიშნავენ გაგონილს. გააზრებული, შეგნებული, კრიტიკული აღქმის უნარის განვითარებისათვის მოსწავლე აქტიურად უნდა ჩაებას სასწავლო პროცესში, ე.ი. მან ინფორმაცია უნდა აღიქვას, გაიაზროს და ნააზრევი საკუთარი სიტყვებით წერიტა და ზეპირი მეტყველებით გამოხატოს.

რაკი საფუძვლიანი შეცნობა ახალი ინფორმაციის უკვე არსებულ აზრობრივ კონსტრუქციასთან შერწყმის პროცესს წარმოადგენს, გადამწყვეტია გონებაში “გამონვევის” სტადიის მესამე კომპონენტი. ის საკითხის კვლევის მიზნისა და ამოცანის განსაზღვრას გულისხმობს. მიზნისა და ამოცანის დასახვა არსებითია მონაფეთა ქმედითობის განსამტკიცებლად. მიზანდასახული სწავლა უმიზნოზე შედეგიანია. თუმცა, უნდა გამოვკვეთოთ ორგვარი მიზანდასახულობა: 1) მასწავლებლის მიერ წარმართული ან ტექსტით ნაკარნახევი (გარე); 2) პიროვნული (შიდა), რომელიც უფრო მძლავრია.

### შინაარსის რეალიზება

ამ მეორე ფაზის უპირველესი ამოცანა დაწყებული საქმიანობისთვის ხელის შეწყობა და გონებაში “გამონვევის” ფაზაზე გაღვივებული ინტერესისა და იმპულსის შენარჩუნებაა.

მეორე უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მხარი ავუბათ მონაფეთა მცდელობას, გააკონტროლონ საკუთარი აღქმის უნარი. კარგი მონაფეები და საქმეში ჩახედული მკითხველები როგორც კი ახალ ინფორმაციას ნაწყებებთან, მაშინვე საკუთარ აღქმის უნარს აკონტროლებენ. კითხვის დროს აღქმის უნარის შესუსტებისას კარგი მკითხველი უბრუნდება ნაკითხულს. მსმენელი მონოდებული მასალის მოსმენისას შეკითხვას სვამს ან სათანადო აღნიშვნებს აკეთებს, რათა შემდეგ ყოველივეს ნათელი მოჰფინოს. პასიური მკითხველი უბრალოდ გვერდს უვლის ასეთ შეფერხებებს აღქმაში და არ ადარდებს გაუგებარი ან გამოტოვებული მომენტები. ამასთან, ისიც უნდა დავძინოთ, რომ როდესაც მოსწავლე საკუთარ აღქმის უნარს აკონტროლებს, იგი ჩვეულებრივ, უკვე შემუშავებული სქემების მიხედვით ალაგებს ინფორმაციას. მონაფე მიზანდასახულად აკავშირებს ახალსა და უკვე ცნობილ ინფორმაციას.

მისაღწევი მიზნის ფარგლებში ამ ეტაპზე ყოველმხრივ ეწყობა ხელი ასათვისებელი შინაარსის შესახებ დისკუსიის წარმართვას, კრიტიკულ ანალიზს, თვალსაზრისთა შეპირისპირებასა და შეჯერებას.

### რეფლექსია

შეიძლება გამოიკვეთოს რეფლექსიის სტადიის ნიშანდობლივი რამდენიმე არსებითი, დადებითი მომენტი. უმთავრესი ისაა, რომ მონაფისაგან მოელიან იმ თვალსაზრისისა თუ ინფორმაციის საკუთარი სიტყვებით გამოხატვას, რომელიც მას გზადაგზა ხვდება. ეს აუცილებელია ახალი აზრობრივი სქემების ასაგებად. საფუძვლიანი შესწავლა და სიღრმისეული გაცნობიერება პიროვნებაზეა დამოკიდებული. მოსწავლეს ყველაზე უკეთ ის ამახსოვრდება, რასაც მისთვის საცნაურ კონტექსტში ითავისებს და საკუთარი სიტყვებით გაიაზრებს. აღქმა მაშინაა საფუძვლიანი, როდესაც ინფორმაცია კონტექსტუალურ სქემაში თავსდება. ცნებათა ახლებურ ყალიბში მოქცევითა და ნაცნობ პიროვნულ ლექსიკაში ჩასმით პიროვნული, შინაარსით დატვირთული კონსტრუქცია წარმოიქმნება.

ამ ფაზის მეორე ამოცანაა მონაფეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა და ამის საფუძველზე მათი თვალსაზრისის გამომხატველი ლექსიკონის გამდიდრება. რეფლექსიის ფაზაზე დისკუსიაში ჩაბმის წყალობით მონაფეები ნაირ-ნაირ კონსტრუქციას ეზიარებიან აზროვნების გასაღრმავებლად. ეს არის ცვლილებებისა და რეკონცეპტუალიზაციის საფეხური სწავლის პროცესში. ამ სტადიაზე ახალ-ახალი ინ-

ფორმაცია ინტეგრირდება იმისათვის, რომ მომავალში უფრო პრაქტიკულად და მიზანდასახულად იქნეს გამოყენებული.

## მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული უნდა იყოს. მოსწავლემ უნდა შესძლოს **წაკითხულის გაგება და გააზრება**. წაკითხულის გააზრებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უკვე **არსებულ ცოდნას**. რაც უფრო მეტია მოსწავლის ცოდნა თემის შესახებ, მით უკეთესად შეუძლია მას წაკითხულის გააზრება. მასწავლებელმა მოტივაციის ამალგების მიზნით უნდა გამოიყენოს **კითხვის წინმსწრები აქტივობები**. მაგალითად: გამოარკვიოს, თუ რა იცის მოსწავლემ თემის შესახებ კითხვის დაწყებამდე, დააფიქროს ტექსტის სათაურზე, მოაძებნინოს კავშირები ტექსტის სათაურსა და ილუსტრაციას შორის, გამოათქმევინოს ვარაუდები და ა.შ.

ტექსტის გაგებისათვის მხოლოდ წაკითხვა არ კმარა. გაკვეთილის სცენარში არაერთხელ არის შემოთავაზებული ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებენ ტექსტის მონაკვეთებად დაყოფას, თითოეული მონაკვეთისთვის კონკრეტული ამოცანების დასახვას, შინაარსზე ორიენტირებული კითხვების დასმას, პასუხების ტექსტის მოცემულ მონაკვეთში მოძიებას, მოსწავლეთა მიერ გამოთქმული ვარიანტების დასაბუთებას ტექსტის გამოყენებით, წაკითხულზე დაფუძნებით ვარაუდების გამოთქმას მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარიანტებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტექსტზე ამგვარი მუშაობა მოსწავლეს უვითარებს კრიტიკულ აზროვნებას, მეტყველების უნარს და უღვიძებს ინტერესს ლიტერატურული ნაწარმოებისადმი. მაღალია მოსწავლეთა კითხვის პროცესში ჩართულობის ხარისხი, ამასთან — დინამიკური

წაკითხულის გაგება-გააზრების პროცესში სასურველია სხვა აქტიური გონებრივი სტრატეგიების დაუფლებაც. აი, ზოგიერთი მათგანი:

- წაკითხოს და წაკითხულის შესახებ გვერდით მჯდომს აზრი გაუზიაროს.
- წაკითხოს და უამბოს, რაც წაკითხა.
- წაკითხოს და შთაბეჭდილებები ჩაინეროს.
- კითხვის დროს მონიშნოს ადგილები.
- წაკითხოს და ჩამოწეროს შეკითხვები.

მოსწავლემ წაკითხულის გაგებისათვის **წაკითხულის ორგანიზება** უნდა შესძლოს, მოახდინოს დასამახსოვრებელი ინფორმაციის კლასიფიკაცია.

მასწავლებელმა უნდა გაათავისებინოს მოსწავლეს, რომ საკუთარი **გაგების უნარის შემოწმება** აუცილებელია. მან უნდა მიუთითოს მოსწავლეს საკუთარი სწავლის მონიტორინგის გზები, სანამ ის თავად მოახერხებს ამას, კერძოდ:

- მისცეს დავალება, ასწავლოს, როგორ შეასრულოს იგი.
- მისცეს საკითხავი დავალება და კითხვებზე პასუხი.
- დემონსტრირებითა და გაძლიერებით მოსწავლეს უჩვენოს გაგების გზები.

სანიმუშოდ გთავაზობთ ერთი გაკვეთილის მონახაზს

### შოი არაგვისპირელის “დედა მწყერი”

#### არსებულ ცოდნასთან დაკავშირებული სტრატეგიები.

იფიქრე — დაწყვილდი — გაუზიარე.

➤ რა იცით მწყერის შესახებ?

გაუზიარეთ აზრები ჯერ მეწყვილეს, შემდეგ კი — მთელ ჯგუფს.

➤ როგორ ფიქრობთ, რა საფრთხე ემუქრება მწყერს? უნდა ინადიროს თუ არა ადამიანმა მასზე?

#### აქტიური სტრატეგიები კითხვის პროცესისათვის

წაკითხე — გამოთქვი აზრი.

მუშაობა წყვილებად:

№1 მოსწავლე ხმამაღლა კითხულობს ოთხ აბზაცს, შემდეგ შეწყვეტს კითხვას.

№2 მოსწავლე გამოთქვამს აზრს და სვამს შეკითხვას წაკითხულის გარშემო.

№1 მოსწავლე აგრძელებს კითხვას. წაკითხვას ბოლომდე.

№2 მოსწავლე კი გამოთქვამს აზრს და სვამს შეკითხვას.

**ინფორმაციის ორგანიზება და თვითშემოწმება.**

1) შენიშვნები მინდორზე — მოსწავლეები მუშაობენ წყვილებად.

**დავალება:** გადაიკითხეთ და ერთი-ორი სიტყვით აღწერეთ წაკითხული. დაწერეთ ის ბარათებზე ან ტექსტის მინდორზე.

2) გააკეთეთ ჩანაწერი ორ სვეტად. ძირითადი საკითხები ფურცლის ერთ მხარეს ჩამოწერეთ, დეტალები კი — მეორე მხარეს.

ძირითადი საკითხები	დეტალები
მწყერზე ნადირობენ ადამიანები და ძაღლები პრობლემური კითხვა:	1) გიშერა — ძაღლი 2) ადამიანები — ბავშვები  უნდა ინადიროს თუ არა ადამიანი მწყერზე?

**დასკვნა — არგუმენტების გაანალიზება.**

დასკვნა	არგუმენტები
მწყერზე არ უნდა ინადიროს ადამიანი.	მწყერი ცოცხალი არსებაა, მისი უმწეობა აღძრავს სიბრალულს, სიკვდილის წინ აქვს ცრემლნარევი თვალები, ჰყავს შვილები...
მწყერზე უნდა ინადიროს ადამიანი.	მასზე ნადირობენ იმიტომ, რომ გემრიელი საჭმელია.

- გამოიყენეთ ეს ჩანაწერები და დაწერეთ არგუმენტირებული დასკვნა.

**ნიშუში:**

ადამიანებს ძალიან უყვართ ნადირობა. სანადიროდ ისინი ძაღლებით მიდიან; სპეციალურად წვრთნიან მათ, გეშავენ ფრინველებზე. ჩვენში განსაკუთრებით გავრცელებულია მწყერზე ნადირობა, ანუ მწყერაობა. მწყერი საცოდავი, უმანკო არსებაა. მას საკუთარი თავის დაცვა არ შეუძლია. მისი სიკვდილი სიბრალულს აღძრავს ადამიანებში. მწყერს ჰყავს შვილები, რომლებიც მისი მოკვლის შემდეგ ობლდებიან. მონადირეები კი ამაზე საერთოდ არ ფიქრობენ. ალბათ, ვერც კი წარმოიდგენენ, რომ მათაც აქვთ დედაშვილური, მამაშვილური გრძნობები... მათაც უხარიათ სიცოცხლე და განიცდიან ტკივილს. ზოგი ადამიანი მიიჩნევს, რომ მწყერების დაცვა საჭირო არ არის. იგი გემრიელი საჭმელია, გაჩენილია ადამიანისათვის... ვფიქრობ, ორივე არგუმენტი საყურადღებოა. მე უფრო ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მწყერზე არ უნდა ინადიროს ადამიანებმა, რადგან მიმაჩნია, რომ ისინი ალამაზებენ ბუნებას, მათაც აქვთ არსებობის უფლება...

წაკითხულის გაგება და გააზრება ეს არის ტექსტის შინაარსის **წვდომა-გაგება**. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს ვასწავლით ტექსტის შინაარსის კონსტრუირებას. კითხვის წარმატებული სწავლებისათვის აუცილებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს როგორც ჩუმი, ისე ხმამაღალი კითხვის ტექნიკა.

**ხმამაღალი კითხვა** გულისხმობს ზეპირ კომუნიკაციას. მოსწავლემ მის მიერ წაკითხული უნდა გადასცეს მსმენელს და არა ასოები აქციოს ბგერებად, გაახმოვანოს დაწერილი. ასეთ ვითარებაში იგი არა მარტო განაფული უნდა იყოს კითხვაში, არამედ უნდა ჰქონდეს შინაარსის გაანალიზებისა და მეტყველების უნარებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სათანადო ზემოქმედებას ვერ მოახდენს მსმენელზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხმამაღალი კითხვა კომპლექსური აქტივობაა და რამდენიმე უნარ-ჩვევის დაუფლებას გულისხმობს, რეკომენდებულია ისეთი ტექსტის გამოყენება, რომლის შინაარსიც მოსწავლეებმა იციან (თავად მოსწავლეებს შეიძლება მივცეთ საშუალება ტექსტის შერჩევისა).

ასე რომ, **კითხვა-გაგება** და **ხმამაღლა კითხვა** ორი განსხვავებული უნარ-ჩვევაა და მათი ერთმანეთში არევა დაუშვებელია!

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოიცავს **სკოლაში წიგნების კითხვას**.

9-11 წლის მოსწავლეები დღეში 20-დან 40 წუთამდე უნდა კითხულობდნენ. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გრაფიკი, რათა კითხვის პროცესი ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მიმდინარეობდეს. აუცილებელია ამ ასაკის მოსწავლისათვის ადვილად საკითხავი ლიტერატურა შევარჩიოთ. ამავე დროს, მათაც უნდა მივცეთ საკითხავი ტექსტის შერჩევის საშუალება. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ ნაკითხული წიგნების სია, უნდა გამართონ დისკუსია ნაკითხულის შესახებ. კითხვის პროცესში აუცილებლად უნდა ჩავაბათ მშობლები; ხშირად ვესაუბროთ მათ; თუ საჭირო გახდა, წერილიც მივწეროთ, ავუხსნათ კითხვის მნიშვნელობა ბავშვის აღზრდისა და სულიერი ფორმირების საქმეში. გავითვალისწინოთ, რომ მშობლის თანადგომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესში.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ხშირად მოვანყოთ მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული წრეები.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებულ **წერას**. წერაში წარმატებული ადამიანის აღსაზრდელად აუცილებელია, მოსწავლეებმა ყოველდღე წერონ (ყოველდღიურად წერა კითხვასაც აუმაჯობებს!).

- მოსწავლეები ხშირად უნდა წავახალისოთ გამოკვლევით წერაზე: ვთხოვოთ, დაწერონ დღიურები, დააფიქსირონ საკუთარი რეაქციები, მოსაზრებები, იდეები (სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ნაწერები სახალხოდ წავიკითხოთ!).
- ყველა ადამიანს გააჩნია სათქმელი, ყველას აქვს ცოდნა საკუთარი თავის შესახებ და ყველას შეუძლია ფიქრის, აზრის გადმოტანა ქაღალდზე. ამიტომ ხშირად ვთხოვოთ მოსწავლეებს, **გახდნენ ავტორები**.
- იმისათვის, რომ მოსწავლეებს მოეუხსნათ იმის შიში, რომ შესაძლოა, ვერასდროს დაწერონ ფასეული რამ, საჭიროა დავანახოთ, როგორ ქმნიან მწერლები ნაწარმოებებს დაკვირვებების დღიურში გადატანის მეშვეობით; ვაჩვენოთ, რომ ისინი ხანგრძლივი შრომის შედეგად ახერხებენ სასურველი აზრის დაფიქსირებას...
- ფორმაზე მეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ ნაწერის შინაარსს.
- ხშირად ვთხოვოთ, წერილობით გვიამბონ ახალი ამბავი, აღწერონ სურათი...
- კითხვის სავარჯიშოების შემდეგ ვთხოვოთ, დაწერონ 10-წუთიანი ესე თავისუფალი წერის ტექნიკის გამოყენებით: 10 წუთის განმავლობაში წერონ შეუსვენებლივ. თუკი თავში არაფერი მოსდით, აღწერონ იმ წუთის განწყობილება, დააფიქსირონ იმ წუთის ემოცია, რადგან ამ სამუშაოს მიზანია წერა — ბევრი ფიქრისა და კრიტიკის გარეშე.
- გაკვეთილის ბოლოს ხშირად ვაწერინოთ **ხუთწუთიანი ესე. ის ეხმარება მოსწავლეებს, შეაჯამონ შეძენილი ცოდნა საგნის შესახებ**. ხუთი წუთის განმავლობაში მოსწავლეებმა უნდა დაწერონ, რა ისწავლეს ამ თემის შესახებ. ასევე შეიძლება ვთხოვოთ, დაწერონ ერთი კითხვა იმ თემის გარშემო, რომელიც უპასუხოდ დარჩა. შეგვიძლია, ეს კითხვები გამოვიყენოთ შემდეგი გაკვეთილის დასაგეგმად.
- ნებისმიერი თემა სხვადასხვა კუთხიდან გაშუქებას საჭიროებს. ამ მიზნით მოსწავლეებს შეიძლება მივცეთ ინსტრუქცია და ვთხოვოთ, წერილობით ჩამოაყალიბონ პასუხები:
  - ა) აღწერეთ საგანი: როგორია?
  - ბ) შეადარეთ: რას ჰგავს? რას არ ჰგავს? რისგან განსხვავდება?
  - გ) დაუკავშირეთ: რას გაგონებთ? რა გახსენდებათ?
  - დ) გაანალიზეთ: რისგან არის დამზადებული?
  - ე) გამოიყენეთ: როგორ გამოიყენებთ?
  - ვ) დაიცავით ან გამოთქვით სანინალმდეგო: კარგია თუ ცუდი?(ეს სამუშაო შეიძლება, შესრულდეს როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად).

- ხშირად მოვასმენინოთ მოსწავლეებს აზრები რომელიმე ტექსტიდან და ვთხოვოთ, დაწერონ მისი შინაარსი საკუთარი სიტყვებით.
- მოსწავლეებს ხშირად ვთხოვოთ, ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან წერიტი კითხვა-პასუხის გამოყენებით; ასევე, დაწერონ ის კითხვები, რომლებსაც მასწავლებელმა უნდა გასცეს პასუხი თემის შესწავლის დროს.

წერიტი დავალებები ემსახურება წერის საშუალებით **ენობრივი** (ლექსიკური, გრამატიკული, ორთოგრაფიული) საკითხების, ან კომუნიკაციის სწავლებას. წერიტი მეტყველების სწავლების მიზნით მოსწავლეს ტექსტების შესწავლა-გაანალიზების შემდეგ ვთავაზობთ მისი ასაკისათვის შესაფერისი ტექსტის შედგენას, მაგ: სხვადასხვა ხასიათის აზრები სკოლის, საბავშვო ბაღის, სპორტული მოედნისათვის, კონკრეტული პირის სახელზე დაწერილი განცხადებები, ზღაპრის ან საბავშვო სპექტაკლის თემაზე შექმნილი პლაკატები; შეკითხვები ინტერვიუსთვის, წერილები... ასევე, შესწავლილი ტექსტის შინაარსი ავტორისეული ლექსიკისა და მხატვრული სახეების გამოყენებით, ნაწარმოების სიუჟეტის განსხვავებული ვერსიები და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატველი შეფასებები.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ენობრივ საკითხებს: მოსწავლემ უნდა შეძლოს ზმნის სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით სახელის ბრუნვის ფორმების სწორად ხმარება, სუბიექტისა და ზმნის, მსაზღვრელისა და საზღვრულის სწორად შეთანხმება, სიტყვების: თითოეული, ყველა,

ზოგი (ზოგიერთი), რამდენიმე..., შეფასება-დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმებისა და სასვენი ნიშნების გამოყენება.

წერილი მეტყველების განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წერილი დავალების მოკლე გეგმის შედგენას, წერის დაწყებამდე ტექსტის დანიშნულების, მიზნობრივი ტექსტისთვის ადრესატის განსაზღვრას, საკუთარი ნაწერის კორექტირებას, რაც გულისხმობს მარტივი ტიპის შეცდომების გასწორებას, ნაწერის ხმამაღლა წაკითხვას და ამა თუ იმ მონაკვეთის შეცვლას უკეთესი ვარიანტით.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა დაუთმოს დრო მოსწავლეთა ნაწერების კრიტიკულ განხილვას. მანამდე უნდა გაეცნოს მათ ნაწერებს, მოინიშნოს, რა ტიპის ამოცანების გადაჭრა გაუჭირდათ მათ, შეარჩიოს ისეთი ნამუშევარი, რომლის განხილვაც პროდუქტიული იქნება როგორც ხარვეზების, ისე წარმატებით გადაჭრილი საკითხების დასადგენად და მოსწავლეებთან ერთად იმსჯელოს, თუ რა როგორ გაუმჯობესდეს.

სასურველია, წელიწადში ერთხელ მოსწავლეებმა მოამზადონ პროექტი. ამ სამუშაოს მიზანია მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, წერის, ხატვის, სიმღერის და ა.შ. უნარ-ჩვევების განვითარება. პროექტი ითვალისწინებს საგანთა ინტეგრაციას. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები ერთად არჩევენ თემატიკას და განსაზღვრავენ ამოცანებს, ადგენენ სამუშაოს შესრულების ვადებს: მაგ., ერთი კვირის განმავლობაში ქართულის, მათემატიკის, ბუნების, უცხო ენის, სიმღერისა და ხატვის გაკვეთილებზე იმუშავენ ამ პროექტზე. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და თითოეული ჯგუფი იწყებს ჩამოთვლილ საკითხებზე მუშაობას. პროექტის დასრულების შემდეგ დაპატიჟებენ მშობლებს, თითოეული ჯგუფი გააცნობს მომზადებულ მასალას. მშობლები შეაფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს.

## მასწავლებლის კითხვები

მასწავლებელი მისაბაძი მაგალითია მოსწავლისათვის. მოსწავლეები დიდ ყურადღებას აქცევენ არა-მარტო იმას, თუ რას ამბობს მათი მასწავლებელი, არამედ იმასაც, თუ რას აკეთებს იგი.

კითხვები, რომელთაც მასწავლებელი სვამს, განაპირობებენ კლასში გარემოს შექმნას. ისინი განსაზღვრავენ, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორი, თუ არასწორი. თუ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვა ზღუდავს მოსწავლის აზროვნებასა და მოითხოვს მხოლოდ მარტივ პასუხს, მოსწავლე რწმუნდება იმაში, რომ ზედაპირული აზროვნება საკმარისია და მისაღები. კითხვა, რომელიც მოსწავლეებისაგან მოითხოვს დაფიქრებას, მსჯელობას, წარმოდგენას, შექმნას, აწონ-დაწონას, ხელს უწყობს მოსწავლის აზროვნებას, ასწავლის იმას, რომ მისი აზრი ფასეულია, რომ ცოდნა არის არა სტატიკური, არამედ ცვალებადია.

როდესაც ფაქტობრივ ინფორმაციას ყველაზე მეტად ვაფასებთ, ამით ჩვენი მოსწავლეები შეცდომაში შეგვყავს. ამგვარ კითხვებზე პასუხისას მოსწავლე ენობრივი მარაგის მხოლოდ მინიმუმს იყენებს, მას ამ ინფორმაციის აზრში ჩაღრმავება სულაც არ სჭირდება. ასეთ მოსწავლეს შეუძლია, დაიხეპიროს ინფორმაცია, ეს კი მხოლოდ მინიმალურ წვლილს შეიტანს სწავლის პროცესში. კითხვები უნდა დავსვათ ისე, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ინფორმაციის ინტერპრეტაცია, იდეების სინთეზი, ინფორმაციის ანალიზი, სახეების წარმოდგენა, საკუთარი დასკვნების გაკეთება, მათი შეფასება და გამოყენება.

გთავაზობთ კითხვათა ტიპებს, რომლებიც შეიმუშავა სანდერსმა ბლუმის კითხვის დასმის ტაქსონომიის საფუძველზე.

### I. ცოდნა — შესწავლილი მასალის გახსენება.

მოსწავლე პასუხობს კითხვებზე: ვინ? რა? როდის? სად? რამდენი? რა ფერის?

ასეთი კითხვები ინფორმაციის გახსენებას მოითხოვს.

ითვლება, რომ მოსწავლეს, რომელთაც სწავლა უჭირთ, ამგვარ კითხვებზე პასუხი უფრო ეადვილებათ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რამდენადაც პასუხები ამ კითხვებზე, როგორც წესი, სწორია ან არასწორია, ბევრ მოსწავლეს ისინი უფრო რთულ და საშიშ კითხვებზე მიაჩნია.

### II. გაგება — მასალის არსში წვდომის უნარი.

ამგვარი კითხვები მოსწავლეს სთხოვს, წარმოადგინოს სიტუაცია, სურათი, მოვლენა, აღწეროს იგი, თავად სცადოს ილუსტრირება. მან თვითონ უნდა გაართვას თავი ისეთ სამუშაოს, როგორცაა კავშირების მოძიება სხვადასხვა აზრებს, ფაქტებს, განსაზღვრებებსა და ღირებულებებს შორის.

### III. გამოყენება — ნასწავლი მასალის ახალ და კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების უნარი.

მოსწავლე უპასუხებს კითხვებს: რამდენი? რომელი? რა არის?

ამგვარი კითხვები მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გამოიკვლიონ და გადაჭრან ლოგიკასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებსაც ისინი კითხვის თუ სწავლის პროცესში წააწყდებიან.

**IV. ანალიზი — მასალის დანაწილება ისე, რომ მთლიანი ორგანიზებული სტრუქტურა იყოს გასაგები.**  
მოსწავლე უპასუხებს კითხვას: რატომ?

**V. სინთეზი — ნაწილების დაკავშირებისა და ერთ მთლიანობად ჩამოყალიბების უნარი.**  
მოსწავლე უპასუხებს კითხვას: სხვა რომელი გადანწყვეტილება გააუმჯობესებდა მდგომარეობას? რა მოხდება, თუ...? კიდევ როგორ შეიძლებოდა საკითხის გადანწყვეტა?  
ამგვარი კითხვები ხელს უწყობს პრობლემების შემოქმედებით გადაჭრას ორიგინალური აზროვნების გამოყენებით. მოსწავლეებს მოეთხოვებათ, შექმნან ალტერნატიული სურათი.

**VI. შეფასება — მსჯელობის, დასკვნების გამოტანის უნარი.**  
შეფასებაზე ორიენტირებული კითხვები მოსწავლეებისგან მოითხოვს, გააკეთონ დასკვნა იმის შესახებ, თუ რა მიაჩნიათ სწორად ან არასწორად, შეაფასონ მიღებული ინფორმაციის ხარისხი, შესაძლოა, საკუთარი შესაძლო ქცევაც კი ახალი ინფორმაციის კონტექსტში. ასეთი ტიპის კითხვების საშუალებით უნდა გაირკვეს, შესძლებს თუ არა ის მიღებული ახალი ინფორმაციის ინტეგრირებას ფასეულობათა მისეულ სისტემაში.

## კითხვა-გაგება — კომპლექსური უნარი

კითხვა-გაგების კომპლექსური უნარის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის დამახსოვრების, ასევე წინასწარ განჭვრეტისა და კონტექსტის გათვალისწინების, ტექსტის სტრუქტურის ამოცნობის ქვეუნარების გავარჯიშებას.  
გთავაზობთ რამდენიმე მეთოდურ სავარჯიშოს:

### სავარჯიშო №1

ფურცლის ერთ მხარეს დავწეროთ ტექსტის ერთი მონაკვეთი. მაგალითად:

#### ნაწყვეტი ქართული ხალხური ზღაპრიდან “მებადურის შვილი”

იყო ერთი მებადური. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. ნავიდა მებადური სათევზაოდ და თან ვაჟი წაიყვანა. მივიდა დიდ მდინარესთან, ახსენა ღმერთი და გადაისროლა წყალში ბადე.

თევზი იმდენი მოჰყვა ბადეს, რომ ნაპირზე ძლივს გამოათრია. უთვალავ თევზში ერთი სისხლივით წითელი და მეტად ლამაზი თევზი ერია. მებადურმა უთხრა შვილს, მე წავალ შინ, ურემს მოვიტან თევზის წასაღებად და მანამდე აქ ყური კარგად უგდე, მეტადრე უფროსილდი ამ წითელ თევზსო...

ფურცლის მეორე მხარეს კი დავწეროთ იგივე ტექსტი მცირეოდენი ცვლილებებით. მოსწავლეებს ვთხოვოთ, იპოვონ ეს ცვლილებები და ხაზი გაუსვან იმ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებმაც დააკვალ-იანეს. მაგ:

იყო ერთი მებადური. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. ნავიდა მებადური სათევზაოდ და თან ვაჟი წაიყვანა. მივიდა ერთ მდინარესთან, ახსენა ღმერთი და გადაისროლა წყალში ბადე.

თევზი იმდენი მოჰყვა ბადეს, რომ ნაპირზე ძლივს გამოათრია. უთვალავ თევზში ერთი ლამაზი თევზი ერია. მებადურმა უთხრა შვილს, მე წავალ შინ, მეზობლებს მოვიყვან თევზის წასაღებად და მანამდე თვალი კარგად გააცეცე, თევზები არ დაგისხლტნენო...

მოსწავლეები მონიშნავენ იმ ადგილებს, რომლებშიც ცვლილებები შენიშნეს (იმ ადგილას, სადაც სიტყვებია გამოტოვებული, “V” ნიშანს დასვავენ, ხოლო შეცვლილ ფრაზებს ხაზს გაუსვამენ).

## სავარჯიშო №2

მოსწავლეებს წავუკითხოთ წინადადება ან თავად წავაკითხოთ.

მაგ: ხელეგანვდილი ნიმფა ნარცისის შესახვედრად გაეშურა, მაგრამ მშვენიერი ჭაბუკი განრისხდა მის დანახვაზე, ხელი ჰკრა ნიმფას, სასწრაფოდ გაერიდა და ტყეში მიიმალა (ნანყვეტი ოვიდისუსის “მეტამორფოზებიდან”).

შემდეგ შევთავაზოთ ამ წინადადების ორი-სამი ვარიანტი და ვთხოვოთ, ამოიცნონ, რომელია წაკითხული ვარიანტი.

მაგ:

ა) ხელგაშლილი ნიმფა ნარცისის შესახვედრად გაეშურა, მაგრამ განრისხებულმა ჭაბუკმა ხელი ჰკრა ნიმფას, სასწრაფოდ გაერ იდა და ტყეში მიიმალა.

ბ) ხელეგანვდილი ნიმფა ნარცისის შესახვედრად გაეშურა, მაგრამ მშვენიერი ჭაბუკი განრისხდა მის დანახვაზე, ხელი ჰკრა ნიმფას, სასწრაფოდ გაერიდა და ტყეში მიიმალა.

გ) ხელეგანვდილი ნიმფა ნარცისის შესახვედრად გაეშურა, მაგრამ მშვენიერი ჭაბუკი განრისხდა მის დანახვაზე და ტყეში მიიმალა.

## სავარჯიშო №3

მოსწავლეებს მივცეთ სამ-ოთხ სვეტში განაწილებული სიტყვები და ვთხოვოთ, თითოეული სვეტიდან აირჩიონ თითო სიტყვა და შეადგინონ წინადადება.

მაგ:

ახალი	მხდალი	მალე	გვის
გარეთ	თოკი	კარგად	გულადი
გაჭიმული	ცოცხი	შინ	განყდებაო

**შენიშვნა:** მოცემულ შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ შემდეგი ანდაზები:

ახალი ცოცხი კარგად გვისო.

გარეთ მხდალი, შინ — გულადი.

გაჭიმული თოკი მალე განყდებაო.

## სავარჯიშო №4

მოსწავლეებს დავურიგოთ ტექსტი, რომელშიც სიტყვებია გამოტოვებული და ვთხოვოთ ტექსტის გაცნობის შემდეგ კონტექსტზე დაყრდნობით აღადგინონ ნაკლებად ადგილები, მივცეთ სიტყვების ბანკი რამდენიმე ზედმეტი სიტყვით.

მაგ: სამოთხიდან განდევნის შემდეგ ადამს და ევას ორი ვაჟიშვილი ეყოლათ: კაენი და აბელი. უფროსი ვაჟი, კაენი, მხვნელ-მთესველი იყო, უმცროსი, აბელი კი — მეცხვარე. ერთხელ მათ უფალს ..... შესწირეს. კაენმა შესწირა ....., აბელმა კი — საუკეთესო კრავი. იმ დროს მსხვერპლის შესწირვა ასე იცოდნენ: დააგროვებდნენ შეშას, დადებდნენ ზედ შესანიარავს და წაუკიდებდნენ ცეცხლს. კაენი და აბელიც ასე მოიქცნენ. ცეცხლი რომ წაუკიდეს, კაენის მსხვერპლის ბოლი ....., აბელის მსხვერპლის ალი კი პირდაპირ ზეცისკენ წავიდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ უფალმა მიიღო უმცროსი ძმის მსხვერპლი, ხოლო უფროსისა კი უარყო. რატომ? იმიტომ, რომ აბელმა წმინდა გულით და ..... შესწირა მსხვერპლი, კაენის გული კი სახვე იყო ბოროტებით.

(“სალმთო ისტორიიდან” იაკობ გოგებაშვილის მიხედვით).

**სიტყვების ბანკი:**

შესანიარავი — ის, რაც ღმერთს უნდა შესწირონ, მიაართვან.

კეტი — დიდი, მსხვილი ჯოხი.

ჭირნახული — აქ: პურის, ხორბლის მოსავალი.

მსხვერპლი — ღვთისთვის შესანიარავი რამე ნივთი ან ცოცხალი არსება.

**მონინება** — მორიდება, მოკრძალება.

**მინას გაეკრა** — მინის ზედაპირთან ძალიან ახლოს იყო, მინის ზედაპირს არ ასცილებია.

### სავარჯიშო №5

ტექსტის აბზაცები მივანოდოთ არეული თანმიმდევრობით და ვთხოვოთ, დაალაგონ.

მაგ: აკაკი წერეთლის ბიოგრაფია (სახელმძღვანელო, გვ. 139).

1. აკაკის მამა, თავადი როსტომ წერეთელი, იმერეთში ცნობილი კაცი ყოფილა. დედა, ეკატერინე აბაშიძე, იმერეთის მეფე სოლომონ პირველის ასულის — დარეჯანის - შვილიშვილი იყო.
2. აკაკი ძიძიშვილებთან ერთად იზრდებოდა. მათ შორის ვერავინ ხედავდა განსხვავებას. არც ბავშვებს ახსოვდათ და არც უფროსებს, ვინ თავადი იყო და ვინ — გლეხი. აკაკი ძალიან ტკბილად იგონებდა სავანეში გატარებულ დღეებს.
3. აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წლის 21 ივნისს იმერეთში, საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში.
4. როდესაც აკაკი დაიბადა, ჯერ კიდევ არსებობდა ბავშვის გაძიძავების წესი და ის სოფელ სავანეში ფარსადან ყანჩაველისა და მანო სადუნიშვილის ოჯახს მიაბარეს აღსაზრდელად.
5. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და მთელი სიცოცხლე მწერლობას უძღვნა. ხალხმა მისი ლექსები ისე შეიყვარა, რომ “საქართველოს ბუღბუღი”, “საქართველოს უგვირგვინო მეფე” უწოდა.
6. 1915 წლის 8 თებერვალს პოეტი გარდაიცვალა მშობლიურ სოფელში, იმავე ოთახში, რომელშიც დაიბადა.
7. ცხრამეტი წლის აკაკიმ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. ბოლომდე ისწავლა, მაგრამ დიპლომი არ აუღია.
8. 1912 წელს აკაკიმ რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა. ეს მოგზაურობა ფირზე აღბეჭდა და დოკუმენტური ფილმი გადაიღო რეჟისორმა ვასილ ამაშუკელმა.
9. დაკრძალულია მთაწმინდაზე.

ამ აქტივობაში აბზაცების ნაცვლად შეიძლება ფრაზები მივანოდოთ არეული თანმიმდევრობით.

### სავარჯიშო №6

ერთმანეთში შეეჯიჟოთ ერთსა და იმავე თემაზე სამი განსხვავებული ტიპის ტექსტი, მაგ., ახსნა-განმარტებითი, პოეტური, თხრობითი... და ვთხოვოთ, გამოარჩიონ, რომელი აბზაცი ეკუთვნის ახსნა-განმარტებითს, რომელი — თხრობითს, რომელი — პოეტურს და ა.შ.

მაგ., ერთმანეთში შეეჯიჟოთ ნაწყვეტი იაკობ გოგებაშვილის “ჭემმარიტი მოძღვრიდან” (სახელმძღვანელო, გვ. 121) და “საგულისხმო ცნობა გაბრიელ ქიქოძეზე” (სახელმძღვანელო, გვ. 120) და ვთხოვოთ, გამოარჩიონ, რომელი აბზაცი ეკუთვნის პოეტურ ტექსტს, რომელი — ახსნა-განმარტებითს.

1. იაკობ გოგებაშვილისთვის მისაბაძი მაგალითი იყო გაბრიელ ქიქოძე, რომელიც მას სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა. გაბრიელმა ბევრი სიახლე შემოიღო სემინარიაში, ბევრი რამ სხვაგვარად ასწავლა მოსწავლეებს...
2. შემოდგომის ცივი დღე იყო. ცა სქელი ღრუბლით იმოსებოდა. ჩამობურული ტყე ბურუსს მოეცვა. დროგამოშვებით თვალუწვდენელი ხეების ტოტებსა და წვეროებს ძლიერი ქარი დაეტაკებოდა და მაშინ მდინარის მთელ ხეობას გრიგალის ზუზუნი მოედებოდა, ზოგჯერ კი ქარი ჩამოვარდებოდა და არემარე დაწყნარდებოდა.
3. სემინარიელებისთვის აუცილებელია თამაშო, აცხადებდა გაბრიელი და თვითონვე ახორციელებდა ამ მოთხოვნას.
4. ამ დროს ლეჩხუმის გზაზე იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი მობრძანდებოდა. მთელი ზაფხული სვანეთში იყო. ხალხი დაარია, ქრისტეს მოძღვრება უქადაგა და გულდამშვიდებული ქუთაისისკენ მიემშურებოდა. ცხენისათვის სადავე მიეშვა, ჩაფიქრებული გზას დასჩერებოდა და მიდიოდა. უეცრად ტყიდან დამბაჩის სროლის ხმა მოესმა...

მოსწავლეებმა უნდა გახაზონ ის სიტყვები და ფრაზები, რომლებმაც დააკვალიანეს.

\* \* \*

ყოველი ამგვარი დავალების შემდეგ მასწავლებელმა უნდა დააფიქროს მოსწავლეები და ათქმევინოს, თუ რა გზით, რა სტრატეგიის გამოყენებით გადაჭრა მან ესა თუ ის საკითხავი ამოცანა. ამ სამუშაოს არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხელს უწყობს მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, თუ როგორ ფუნქციონირებს მკითხველი, როგორი გზებით ქრის იგი საკითხავ ამოცანებს. აუცილებელია მოსწავლეთა პასუხების კლასში შედარება-გაანალიზება. ამ პროცესში მთელი კლასი უნდა მონაწილეობდეს, რათა ყველას მიეცეს თავისი პოზიციის, თავისი მოსაზრების გამოხატვის საშუალება.

## სხამალალი კითხვის სამოდელო გაკვეთილი

### გაკვეთილის თემა:

წავიკითხოთ და მოვისმინოთ თხრობითი ხასიათის ტექსტი:  
ილია ჭავჭავაძე — “შემოდგომა” (სახელმძღვანელო, გვ. 19).

გაკვეთილის მიზანი:

- აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება;
- მხატვრული კითხვის უნარის განვითარება;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლის უნარის განვითარება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- შეფასების უნარის განვითარება.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაამუშავებენ მონაკვეთებად დაყოფილ ტექსტს და იმსჯელებენ მის ირგვლივ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაფასონ მკითხველის ოსტატობა. კლასს დაყოფს რამდენიმე ჯგუფად და ურიგებს მკითხველის შეფასების ფურცელს, რომელზეც მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული კითხვის შეფასების კრიტერიუმებია ჩამონერილი. სავარაუდოდ, ის ასე შეიძლება გამოიყურებოდეს:

- მოსწავლე კითხულობს შესაბამისი ტემპით: არც ჩქარა, არც ნელა.
- მოსწავლე ცალკეული ადგილების გამოსაკვეთად იშველიებს პაუზებს.
- მოსწავლეს მხედველობითი კონტაქტი აქვს აუდიტორიასთან.
- მოსწავლე კითხულობს გარკვევით და ხმამაღლა.
- მოსწავლე მიზნობრივად მანიპულირებს ხმის ტემპით.
- მოსწავლე კითხვის მანერით ეხმარება მსმენელს ტექსტის აღქმაში.

მსურველები კლასის წინაშე წაიკითხავენ ტექსტს.

მოსწავლეები ჯგუფებად იმსჯელებენ და ერთობლივი გადაწყვეტილების შემდეგ დაუსვამენ პლიუსებს ან მინუსებს თითოეულ პუნქტს. ჯგუფის წარმომადგენელი საჯაროდ გამოიტანს ჯგუფის შეფასებას.

მოსწავლეები უნდა შევფასოთ გაკვეთილის დასაწყისში დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ე.ი. ხუთი მიმართულებით. შეფასების ხერხი სასურველია, იყოს დაკვირვება და ჩანიშვნა.

## აქტიური კითხვა

მასწავლებელმა, სასურველია, ხშირად მიმართოს **აქტიური კითხვის მეთოდს**, რომელიც მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობისას გამოიყენება. იგი აქტიურებს ახლად ათვისებულ ინფორმაციას, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, შეაჯამონ მოსაზრებები წაკითხულის შესახებ, აძლიერებს მოტივაციას და ამზადებს მოსწავლეს ტექსტის გააზრებისათვის, აქტიურებს ფონურ ცოდნას, ავითარებს როგორც კრიტიკული აზროვნების, ისე შენიშვნების ჩანერის უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადახედონ დასამუშავებელ ტექსტს, მაგ: “ნარცისი” (ოვიდიუსის “მეტამორფოზების” მიხედვით, სახელმძღვანელო, გვ. 89). მოსწავლემ საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვა: - რა ვიცი მოცემული საკითხის შესახებ?

გაკვეთის ჩამონათვალი ინფორმაციის ნუსხა.

შემდეგ მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს შესასრულებელი სამუშაოს მიზანი და მოსალოდნელი შედეგი. ე.ი. უპასუხოს კითხვებს:

- რატომ ვკითხულობ ამ ტექსტს?
- რისი სწავლისა და გაგების იმედი მაქვს ტექსტის წაკითხვის შემდეგ?

ტექსტის კითხვის დროს მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა? ვინ? სად? როდის? როგორ? რატომ? მოაზრებულ ინფორმაცია ჩაინიშნოს სქემის პირველ გრაფაში (იხ. ქვემოთ).

ტექსტი ხელახლა წაიკითხოს და პირველად კომენტარებს ახლა მეორადი — ემოციური და კრიტიკული — კომენტარები და შესწორებები დაურთოს.

პირველადი კომენტარი (ფაქტობრივი)	მეორადი კომენტარი (ემოციური და კრიტიკული) პერსონაჟისა და მისი ქცევის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა
<b>რა მოხდა?</b> — ნარცისი, რომელიც უარყოფდა ყველას სიყვარულს, სასტიკად დაისაჯა — მას საკუთარი თავი შეუყვარდა.	ნარცისის ქცევა მომეწონა...
<b>ვინ არის მთავარი გმირი?</b> — ნარცისი	ნარცისის ქცევა არ მომეწონა...
<b>სად ხდება მოქმედება?</b> - უსიერ ტყეში, წყაროსთან.	
<b>როდის ხდება მოქმედება?</b> — ჯერ ნადირობისას, მერე კი გაზაფხულზე, ისევ ნადირობისას.	
<b>როგორ ვითარდება მოვლენა?</b> — გზააბნეული ნარცისი ექომ დაინახა და აღფრთოვანდა. ნარცისმა იგი უარყო. შემდეგ გაზაფხულზე, ისევ ნადირობისას წყლის დასაღევად წყაროზე მისულმა წყალში საკუთარი თავი დაინახა და შეუყვარდა. მას ყველაფერი დაავიწყდა. საკუთარ გამოსახულებას დასცქეროდა მხოლოდ და დნებოდა.	
<b>რატომ დასრულდა ასე?</b> - მითი ასე იმიტომ დასრულდა, რომ გავითვალისწინოთ: მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვიფიქროთ. მხოლოდ საკუთარი თავი არ შევიყვაროთ...	

**სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:**

- რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?
- რა ისწავლეთ ტექსტის წაკითხვის შემდეგ?
- რა კავშირშია ერთმანეთთან ის, რაც იცოდით და რაც ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაიგეთ?

ასეთი ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ აზრები, გამართონ დისკუსია.

სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება **საუბარს წაკითხული ნიგნის შესახებ**. მოსწავლე აცნობს წაკითხულ ნიგნს ან ავტორს თანაკლასელებს და განუმარტავს მათ, რატომ და რით შეიძლება ნიგნმა, ნაწარმოებმა დააინტერესოს ისინი. იგი მოკლედ გადმოსცემს, რა ხდება ნიგნში, ან ნაწარმოებში, აუდიტორიას გააცნობს ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს, ისაუბრებს მათზე, წაუკითხავს მსმენელს ამ ადგილებს. ისაუბრებს ნიგნის, ან ნაწარმოების გმირზე, ახსნის, თუ რატომ მოსწონს იგი. თავის მხრივ, მსმენელები გამოთქვამენ აზრებს, გაუზიარებენ თანაკლასელებს, რით დააინტერესა მოსაუბრის მიერ წარმოდგენილმა ნიგნმა ან ნაწარმოებმა, დასვამენ შეკითხვებს.

## როლური თამაშები

მოსწავლეთა ნახალისების მიზნით მასწავლებელმა სასურველია, ხშირად მიმართოს ისეთ შემოქმედებით მეთოდს, როგორცაა როლური თამაშები. ამ დროს მოსწავლეთა ჯგუფს ევალება, აირჩიოს სიუჟეტი, სიტუაცია, პერსონაჟი და ა.შ., გააიგივოს საკუთარი თავი მასთან და დადგას სცენა (5-10 წთ), რომელიც საკუთარ ინტერპრეტაციაზე იქნება დაფუძნებული.

### სამოდულო გაკვეთილი:

#### გაკვეთილის თემა: “ტომ სოიერის თავგადასავალი”

მოსწავლეებმა ტექსტი ნაიკითხეს, გააანალიზეს, უპასუხეს დასმულ შეკითხვებს, განმარტეს სიტყვები და ა.შ. მასწავლებელმა ჩათვალა, რომ “ტომ სოიერის თავგადასავალი” დასმული საკითხი საჭიროებს უფრო ღრმა წვდომას, მის ემოციურ დონეზე გათავისებას, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართვას... ამ მიზნით გადაწყვიტა, გამოიყენოს მეთოდი — როლური თამაშები: იგი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად და აძლევს დავალებას — შეარჩიონ ტექსტიდან მათთვის საინტერესო ეპიზოდი, გააკეთონ სცენარის ტიპის მარტივი მონახაზი (ნიმუში იხ. ქვემოთ), გადაინანილონ როლები, დადგან მარტივი დეკორაცია, შეარჩიონ სასურველი კოსტიუმები და ა.შ. მოსწავლეები დავალებას ასრულებენ ჯგუფებში, მასწავლებელი აქტიურად ეხმარება მათ.

#### სცენარის ტიპის მონახაზი

მოქმედება ხდება ტყეში. კედელზე შეიძლება გაიკრას ნახატი, რომელზეც გამოსახულია დაბურული ტყე, ხავსიანი ხეები, ტოტებგაშლილი მუხა; კოდალა ხეს უკაკუნებს, ალაგ-ალაგ ჩანს კუნძები (ნახატი შეიძლება შეასრულოს როგორც ერთმა მოსწავლემ, ისე ჯგუფმა). ერთი კუნძი შეიძლება დადონ იქაც, სადაც თამაშდება სცენა.

ტომი მეოცნებე სახით დგას. აცვია ქურთუკი, შარვალი. გაისმება საყვირის ხმა, რის შემდეგაც იგი საჩქაროდ გაიძრობს ქურთუკს, გაიხდის შარვალს, კუნძის უკნიდან ვითომ ორმოდან ამოათრევს უბრალო მშვილდისარს, ხის ხმალს, თუნუქის საყვირს. შეიარაღდება და ფეხშიშველა, გაფრიალებული პერანგისამარა გაექანება მტერთან შესახვედრად. შემდეგ შეჩერდება და თავის საყვირს საპასუხოდ დააყვირებს, შედგება ფეხის წვერებზე და იწყებს აქეთ-იქით ცქერას. სახეზე სიფრთხილე ეტყობა. მერე უკან მოიხედავს და ვითომ თავის მხედრობას მიმართავს:

- შეჩერდით, ყმანვილებო, დაიმაღეთ, სანამ ნიშანს არ მოგცემთ!

ამ დროს გამოჩნდება ჯო ჰარპერი. ისიც პერანგისამარაა და ისევე შეიარაღებული, როგორც ტომი. გაისმის ტომის ხმა:

- შესდექ! ვინ გაბედა შერვუდის ტყეში სიარული ჩემი ნებართვის გარეშე?

ჯო უპასუხებს:

- გაი გისბორნს არავის ნებართვა არ ესაჭიროება! შენ თვითონ ვინ ხარ, რომ ასე კადნიერად მელაპარაკები?

ტომი: - ვინ ვარ? რობინ ჰუდი ვარ, რაშიც მალე დარწმუნდება შენი საძულველი სხეული.

ჯო: - მაშ, ეს შენა ბრძანდები სახელგანთქმული ყაჩაღი? მოხარული ვარ, რომ შეგხვდი. მე შენ გაჩვენებ, ვინ არის ამ დიდებული ტყის პატრონი! აბა, გამოდი!

გმირები იძრობენ ხის ხმლებს, დანარჩენ იარაღს მიწაზე დაყრიან, დადგებიან ერთმანეთის პირისპირ და დაიწყება ორთაბრძოლა.

და ა.შ. ტექსტის მიხედვით.

\* \* \*

თითოეულ ჯგუფს შეუძლია, წარმოადგინოს თავისი დეკორაცია, კოსტიუმები, სცენა... სასურველია, თუ ისინი გამოიყენებენ ისეთ ტექნოლოგიურ საშუალებებს, როგორცაა კომპიუტერი, ვიდეო და აუდიო საშუალებები...

აუცილებელია, თითოეული როლური თამაშის შემდეგ შევაფასოთ ჯგუფის შემოქმედება. კლასში შეიძლება სპეციალურად გამოიყოს ერთი ჯგუფი — ჟიური (შემფასებელი), რომელიც ქულებით, კომენტარებით შეაფასებს წარმოდგენილ ნამუშევრებს, ყურადღებას გაამახვილებს მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. სასურველია, შეფასების კრიტერიუმები წინასწარ შემუშავდეს კლასთან ერთად.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეაფასოს გაკვეთილზე ჩატარებული სამუშაო, მოსწავლეებს გამოათქმევინოს აზრი, თუ რა შეჰმატა მათ ცოდნასა და გამოცდილებას ამ ტიპის სამუშაოში.

## შეფასება

შეფასება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სწავლა-სწავლების პროცესში და მას ახლებური მიდგომა სჭირდება. რა თქმა უნდა, ძნელია მოსწავლეთა ცოდნის ზუსტად დადგენა და გაზომვა მით უფრო მაშინ, როცა ისინი ისეთ საკითხებს განიხილავენ, რომელთაც არა აქვთ ერთი კონკრეტული და სწორი პასუხი. ასევე ძნელია შემონმდეს მოსწავლეთა ცოდნა მაშინ, როცა მასწავლებელი ძირითად ყურადღებას უთმობს მოსწავლის მიერ განხორციელებულ პროცესს, არა იმას, რაც მოსდევს, არამედ თვით მის მიმდინარეობას. მასწავლებელმა უნდა მონახოს მოსწავლეთა აზროვნების პროცესზე დაკვირვების გზა, არ უნდა შეაფასოს მხოლოდ მზა პროდუქტი. მოსწავლე უნდა გახდეს მონაწილე შეფასების პროცესისა, მან თვითონ უნდა შეიგრძნოს საკუთარი წინსვლა და შეძლოს საკუთარი წარმატებების დაგეგმვა სამომავლოდ.

შეფასება მოსწავლეს ეხმარება სწავლაში, სწავლის პროცესის გაანალიზებასა და გაუმჯობესებაში, მიზნის დასახვასა და მიღწევაში, თვითშეფასებაში. ამავე დროს აძლევს სტიმულს და გააცნობიერებინებს წარმატების დონეს.

მასწავლებელს ერთ-ერთი აქტიური როლი ეკისრება შეფასებაში. ნიშნების, ქულების, ჩათვლების მინიჭებით იგი აფასებს მოსწავლეთა პროგრესს, იძლევა რჩევებს მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, უსახავს მიზნებს წარმატების მისაღწევად, აფასებს საკუთარი შრომის ეფექტიანობას, გეგმავს და წარმართავს სასწავლო პროცესს შეფასებით მიღებული ინფორმაციის დახმარებით. მასწავლებელი თავისი კომენტარებითა და შენიშვნებით იწვევს მოსწავლეთა შინაგან მოტივაციას, რათა იგი სწავლობდეს არა მხოლოდ შექებისა და ჯილდოებისათვის. სასურველია, იგი ხშირად იძლეოდეს ისეთ შენიშვნებს, როგორცაა: “კარგია, მაგრამ უკეთესიც შეიძლება”, “კარგია, ბევრს რომ კითხულობ”, “მეტი მუშაობა გჭირდება საკუთარ თავზე”. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა აუხსნას მოსწავლეს მიღწეული წარმატებების მნიშვნელობა მისი განვითარებისათვის. მოსწავლის წარმატება სხვის წარმატებებს კი არ შეადაროს, არამედ განიხილოს მისი მიღწევები წარსულსა და აწმყოში.

სკოლაში ძირითადად მისაღებია ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. როდესაც დანეყებით სკოლაში მასწავლებელი ჩათვლას უწერს მოსწავლეს და მხოლოდ ამით შემოიფარგლება, ეს განმსაზღვრელი შეფასებაა, რადგან ის განსაზღვრავს მოსწავლის მიღწევის დონეს დასახულ მიზნებთან მიმართებით. როდესაც მასწავლებელი შეფასების ისეთ ფორმას იყენებს, რომელიც მოსწავლეს არა მხოლოდ საკუთარი მიღწევის დონის განსაზღვრაში ეხმარება, არამედ განვითარებაშიც — ეს განმავითარებელი შეფასებაა, რომლის ტიპიური ფორმაა კომენტარები, რომელიც აღწერს ნამუშევრის სუსტ და ძლიერ მხარეებს და შეიცავს რეკომენდაციებს მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე. განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ხერხია რუბრიკების, შეფასების ცხრილების გამოყენება.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ტიპებია: მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება. მიმდინარე შეფასებით შეიძლება შევაფასოთ ყოველდღიური დავალების შესრულება, გაკვეთილზე ჩართულობა, პროექტის რომელიმე ეტაპი და სხვა, რომელშიც ნიშანი იწერება. იგი ხდება ტრიმესტრის განმავლობაში გაკვეთილის დროს.

შემაჯამებელი შეფასება კი აჯამებს მოსწავლის ცოდნას რაიმე თემის, პროექტის დასრულების შემდეგ. იგი გამოიყენება გარკვეული დროის მონაკვეთის ბოლოს (ტრიმესტრის ან წლის ბოლოს).

აკადემიური მოსწავლის შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი. უნდა შეფასდეს არა მარტო ინფორმაციის ფლობა, არამედ შექნილი უნარ-ჩვევები, აზროვნების დემონსტრირების ფორმები... არ არის საკმარისი მოსწავლის მხოლოდ საკონტროლოებისა და ტესტების შედეგების საფუძველზე შეფასება, არამედ იგი უნდა გამომდინარეობდეს საგნის შესწავლის სხვადასხვა კომპონენტისაგან:

### 1) საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა

ფასდება შემდეგი აქტივობებით:

- საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიურობის ხარისხი.
- ჯგუფის მუშაობაში შეტანილი წვლილი;
- არ არის უბრალო მაყურებელი
- შეუზღუდავად, თავისუფლად გამოთქვამს აზრს.
- საკუთარი მოსაზრების გამოთქმა ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით.
- საკითხის გარშემო საუბარი.
- კამათის წესების დაცვა.

### 2) საშინაო დავალებების შესრულება

ფასდება შემდეგი უნარ-ჩვევები:

- მონდომება;
- სისტემატურად შესრულება;
- ორგანიზებულიობა.

### 3) მიმდინარე საკლასო დავალებები

ფასდება შემდეგი უნარები:

- ლექსიკური და გრამატიკული ცოდნა;
- ლექსიკურ-გრამატიკული უნარ-ჩვევები (ცოდნის კონტექსტში გამოყენება);

- გამოთქმა;
- მართლწერა;
- კითხვა-გაგება;
- ხმამალალი კითხვა;
- მოსმენა-გაგება;
- ზეპირი კომუნიკაცია;
- წერიტი კომუნიკაცია;
- შემოქმედებითობა;
- მოსმენის კულტურა;
- კრიტიკული აზროვნება.

**უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი დავალებებით:**

**ა) სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოებით:**

- სწორი ფორმის ამოცნობა;
- ფორმის/კონსტრუქციის ტრანსფორმირება ნიმუშის მიხედვით;
- კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის წარმოება;
- შეცდომების ამოცნობა-გასწორება;
- სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრება;
- ნაკლებ ტექსტში სიტყვების ჩასმა და სხვ.

**ბ) სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა:**

- შემოხაზე სწორი ვარიანტი;
- მონიშნე, სწორია თუ არა;
- იპოვე სწორი თანმიმდევრობა;
- ამოიცანი უცნობი სიტყვა კონტექსტის მიხედვით;
- შეაფასე შენი ან შენი მეგობრის ნაწერი, გამომსვლელი და სხვ.

**გ) სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად და ჯგუფურად.**

- გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად;
- ჩამოართვი ინტერვიუ თანაკლასელს;
- კლასის წინაშე წარმოადგინე შენი ჯგუფის ნამუშევარი;
- გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე;
- იმსჯელე, დაახასიათე, მოყევი და სხვ.

**დ) სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად და ჯგუფურად.**

- მისწერე წერილი მეგობარს;
- შეადგინე ბიოგრაფიული ცნობარი;
- დაასრულე ამბავი;
- დაიყავი ჯგუფებად და შეადგინე პლაკატი;
- დაწერე შენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ;
- დაასაბუთე და სხვა.

**ე) ტექსტის გადანერა**

**ვ) კარნახი, მოსმენილის შინაარსი.**

**4) შემაჯამებელი დავალებები: გამოცდა, ტესტირება**

ფასდება იგივე უნარები, რაც საკლასოში.

უნარების შესაფასებლად გამოყენებულია:

- ტესტირება;
- საკონტროლო წერა;
- ზეპირი გამოკითხვა.

**5) დამატებითი კომპონენტი:** შემოქმედებითობა, ჯგუფში ეფექტური მუშაობა პროექტებზე, ორგანიზებულიობა და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმაა კომენტარები, რომელიც მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებს აღწერს და შეიცავს რეკომენდაციებს მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ბლად. იმისათვის, რომ მასწავლებელმა რეალური კომენტარები და შენიშვნები გააკეთოს მოსწავლის მიღწევებისა და პრობლემების შესახებ, უნდა აწარმოოს დაკვირვება, გააკეთოს დაკვირვების ჩანაწერები, თუ როგორ პასუხობს მოსწავლე დასმულ შეკითხვებს, როგორ მუშაობს დაფასთან, ჯგუფში, წყვილში, ინდივიდუალურად... ამისათვის სასურველია, მასწავლებელს თითოეულ მოსწავლეზე სპეციალური ცხრილი ჰქონდეს. მაგ:

სახელი, გვარი	თვე, რიცხვი	საშინაო დავალების შესრულება	მიმდინარე საკლასო დავალებები	საგაკვეთილო პროცესში ჩართულობა	შემაჯამებელი დავალებები	დამატებითი კომპონენტი

წერიტი ნამუშევრების შეფასებისას კომენტარმა მოსწავლე უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს, არც გადაჭარბებული ქება არ არის საჭირო. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეაფასოს მოსწავლის ნამუშევარი და არა მოსწავლე, როგორც პიროვნება. კომენტარი უნდა იძლეოდეს რჩევას, თუ რა გააკეთოს მოსწავლემ იმისათვის, რომ მისი ნამუშევრები უკეთესი გახდეს.

მიმდინარე შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებლები ხშირად იყენებენ ტესტს. ტესტირების ისევე, როგორც შეფასების ყველა სხვა მეთოდის, მიზანია მოაგროვოს ინფორმაცია მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. მასწავლებელმა უნდა შეძლოს, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევისა და მიზნისათვის თავად შეადგინოს ტესტი, შედეგების გათვალისწინებით კი დაგეგმოს სწავლების შემდგომი ეტაპი.

ტესტი რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: იგი უნდა იყოს:

- მიზნის შესაბამისი და სანდო (საკითხები და ინსტრუქციები მკაფიოდ ჩამოყალიბებული, კონკრეტული ცოდნის გამოზომველი);
- გაზომვადი (შედეგები ფასდება წინასწარ შემუშავებული პასუხებით ან შეფასების სქემით. ქულების რაოდენობა წინასწარ დადგენილია სწორი პასუხისათვის. არ იძლევა ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას);
- დროის ლიმიტზე გათვლილი (უნდა ჩაეტიოს გამოყოფილ დროში);
- გამჭვირვალე (მოსწავლეებმა იციან, რა ფორმატისაა ტესტი, რას ამონებენ, როგორია შეფასების მექანიზმი და რა დროა მისთვის გამოყოფილი).

ტესტური შეკითხვები შეიძლება იყოს ღია და დახურული: დახურულია კითხვა, როცა მოსწავლე მოცემული პასუხებიდან მხოლოდ ერთ სწორ პასუხს არჩევს. ღიაა კითხვა, როცა პასუხების არჩევანი მოცემული არ არის, არამედ მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

**ღია კითხვებზე აგებული დავალებების ტიპები:**

- უპასუხე კითხვებს;
- ჩასვი სწორ ფორმაში;
- დაასრულე;
- შეავსე ცხრილი;
- დაწერე თემა, ან განმარტე ფრაზა...

**დახურულ კითხვებზე აგებული დავალებების ტიპები:**

- აირჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე;
- მიუსადაგე/დაუკავშირე ერთმანეთს სიტყვები;
- სწორია თუ მცდარი წინადადება?

მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა შეიმუშავოს რუბრიკების ნუსხა. ისინი უნდა ჩამოინეროს პლაკატის სახით და გაიკრას საკლასო ოთახში. მოსწავლეები ამ პლაკატებზე დაყრდნობით თვითონ ირჩევენ, რისი მიღება სურთ: “წარჩინებით ჩაეთვალა”, “ჩაეთვალა” თუ “პირობით ჩაეთვალა” და აკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს. მოსწავლეებს თვითონაც შეუძლიათ თავისი ნაშრომების შეფასება ამ რუბრიკების მიხედვით.

აუცილებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებში თვითშეფასების უნარი განავითაროს, რაც მათ მიზნის მიღწევაში დაეხმარება. შეიძლება, შევთავაზოთ შემდეგნაირი თვითშეფასების მექანიზმი:

- 1) შემიძლია ვივარაუდო, რაც მოხდება წიგნში მის სათაურსა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით

**ყოველთვის — ხანდახან — არასდროს**

2) ვხვდები, რა შეიძლება მოხდეს მოთხრობის ჟანრის ან ტიპის მიხედვით

**ყოველთვის — ხანდახან — არასდროს**

3) ვიაზრებ ჩემს ვარაუდს, ყურადღებას ვაქცევ დეტალს, რომლებიც ახალი ვარაუდების გამოთქმის საშუალებას მაძლევენ

**ყოველთვის — ხანდახან — არასდროს**

4) როდესაც ვკითხულობ, ხშირად ვჩერდები და ვეკითხები ჩემს თავს, რა გავიგე და რის გაგებას ველოდები

**ყოველთვის — ხანდახან — არასდროს**

მოსწავლეები შეავსებენ თვითშეფასების ამ სქემას და მასწავლებელთან ერთად განიხილავენ პასუხებს.

# ბაკვეთილების სცენარები

## ანა კალანდაძე, „საქართველო ლამაზო“

### მიზნები:


1. **ზეპირსიტყვიერების უნარის განვითარება:** აღწერა; ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გარკვევა კონტექსტში; საუბარი ლექსის შინაარსის ირგვლივ; მსჯელობა ლექსის დედააზრის შესახებ; კითხვებზე პასუხის გაცემა; მხატვრული ნაწარმოებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
2. **კითხვის უნარის განვითარება:** ლექსის დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება; ცალკეული სტროფების ანალიზი; ლექსის ლექსიკური დამუშავება; ლექსიდან შესაბამისი ადგილების გამოყენებით საკუთარი შეხედულებების დასაბუთება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქ IV, 3,6,7.

**რესურსები:** დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, სანერკალმები, ფურცლები.

**კითხვის წინმსწრები აქტივობა:** მოსწავლეთა ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება (5 წთ.)

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ვკითხვით, რა იციან ჩვენი ქვეყნის — საქართველოს — შესახებ. მათი პასუხები ჩამოვწეროთ დაფაზე.



ვკითხვით, საქართველოსადმი თავიანთი გრძნობები ლექსით ან სიმღერით ხომ არ გამოუხატავთ. პასუხების მოსმენის შემდეგ გავაცნოთ გაკვეთილის თემა: ანა კალანდაძის „საქართველო ლამაზო“. ავუხსნათ, რომ პოეტს ამ ლექსის შექმნა შთააგონა გრიგოლ ორბელიანის სიტყვებმა: „სხვა საქართველო სად არი, რომელი კუთხე ქვეყნისა?“. სწორედ ეს სიტყვები უძღვის ლექსს (სასურველია, თუ არ ვახსენებთ სიტყვა ეპიგრაფს, მოსწავლეები ამ ტერმინს მომდევნო კლასებში გაეცნობიან).

### აქტივობა 2 — ლექსის დამოუკიდებლად კითხვა (7წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ, დამოუკიდებლად წაკითხონ ლექსი ზოგადი შინაარსის ამოსაცნობად. ცხადია, ბევრი სიტყვა იქნება გაუგებარი. შეეცადონ კონტექსტიდან გამომდინარე ამოიცნონ უცნობი სიტყვების შინაარსი, გამოთქვან ვარაუდები.

კითხვის დასრულების შემდეგ დავსვათ კითხვები, რომლებიც დაგვეხმარება, განვსაზღვროთ, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ლექსის შინაარსი:

- რა განცდა დაგეუფლათ ლექსის კითხვის დროს?
- სიამაყეს გვმატებს ის აზრი, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან ლამაზია.
- რას გადმოგვცემს პოეტი ლექსში?
- პოეტი გადმოგვცემს საქართველოს ბუნების სილამაზეს, ამბობს, რომ ამგვარი ცა, მზე, მთა, ბაღახი სხვაგან არსად არის.

### აქტივობა 3 — ლექსის დანაწევრება და კითხვა (30წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ, ახლა ცალკეულ სტროფებად წაიკითხონ ლექსი და შეეცადონ, თვალნათლივ წარმოიდგინონ, რაც წაიკითხეს. ეს დაეხმარება მათ ლექსის გაანალიზებაში.

I სტროფი: I-VI სტრიქონი.

ამ ნაწილის დამუშავების დროს მათ შეხვედრათ შემდეგი სიტყვები: **ძენა, ეჭვი, ნაავადარი**. ვთხოვთ, ლექსიკონი დაიხმარონ სიტყვების განსამარტად.

#### შემდეგ დავსვათ კითხვები:

- თურმე ქარი კი არ ქრის, ნანას მღერის, ჭადარი კი არ შრიალებს, ზღაპარს ჰყვება, ხოლო ძენა, იგივე ტირიფი, ალერსით ავსებს პოეტს – ეს სტრიქონები პოეტის როგორ დამოკიდებულებას, რა გრძნობას გვიმუშავებენ ბუნებისადმი?
- პოეტს თითქოს ესმის ბუნების ენა, ამიტომაცაა, რომ მისთვის ქარი მღერის, ჭადარი ზღაპარს ჰყვება, ძენა კი მას ეალერსება.
- ლექსის I და II სტრიქონებში პოეტი საქართველოს მიმართავს, III სტრიქონში კი თავის თავს გულისხმობს, როდესაც ამბობს: “ძენამ ალერსით ამავსო ეჭვებით ნაავადარი”. თქვენი აზრით, რატომ უწოდებს იგი თავს „ეჭვებით ნაავადარს“?
- ალბათ, ამ სიტყვებით პოეტს სურს გამოხატოს თავისი გრძნობები. პოეტს თითქოს უნდა გაერკვეს, გრძნობების მოზღვავეების გამო ეჩვენება, რომ საქართველო ასე ლამაზია, თუ მართლა ასეა?!
- მოძებნეთ და წაიკითხეთ ამ სტროფში კითხვითი წინადადება!
- „სხვა საქართველო სად არის?“
- რატომ არის ეს სიტყვები ბრჭყალებში ჩასმული?
- იმიტომ, რომ გრ. ორბელიანის ნათქვამი პირდაპირ არის გადმოტანილი, ანუ ციტატაა.

I სტროფის განხილვის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, გააგრძელონ კითხვა: „ცა ვარსკვლავებით ინთება... მხარევე, მოსილო დიდებით, სხვა საქართველო სად არი?“ უცნობი სიტყვების განმარტებები მოიძიონ ლექსიკონში: **სადარი, ქორბუდა, მოსილი**.

#### დავსვათ კითხვები:

- რატომ ამბობს პოეტი: „ცა არცა რისი სადარი“. არაფერი გაახსენდა, ცა რომ შეედარებინა, თუ სიტყვა ვერ იპოვა?
- მოსწავლეები იმსჯელებენ ამ საკითხზე: საქართველოს ცა პოეტს განსაკუთრებით ლამაზად ეჩვენება. სიტყვას ვერ პოულობს მის შესადარებლად, რადგან ასეთ შემთხვევაში ხშირად სიტყვა უძღურია და ვერ გამოხატავს განცდას, გრძნობას. ამ ცის შემყურე უკეთ გრძნობს ეროვნულ ფესვებს... მოსწავლეებმა შეიძლება გაიხსენონ (ან ჩვენ გავახსენოთ) ანა კალანდაძის ლექსი „შენ ისე ღრმა ხარ...“ და იპოვონ პოეტის ამგვარი ხედვის ანალოგი. ქართველს საქართველოს ცა ეჩვენება შეუდარებლად, ინგლისელს — თავისი მშობლიური ცა, ფრანგს — საფრანგეთის ცა და ა. შ.
- ეს სიტყვები პოეტის პატრიოტულ გრძნობა-განწყობილებას გამოხატავს.
- პოეტი საქართველოს ასე მიმართავს: „მხარევე, მოსილო დიდებით!“ თქვენი აზრით, ვინ ან რამ შესძინა ამ მხარეს დიდება?
- ამ მხარეს დიდება შესძინა ქართველმა ხალხმა, დიდებულმა წარსულმა, შეუდარებელმა ბუნებამ...
- მოსწავლეებს ვთხოვთ, დაასრულონ ლექსის კითხვა. სიტყვა „**ბადახშის**“ განმარტება მოძებნონ ლექსიკონში.

#### დავსვათ კითხვები:

- ლექსში ბალახი ლურჯია. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?
- ეს პოეტური ხედვაა. ოცნებას ემსგავსება ყველაფერი. პოეზიაში ოცნების სამყაროს ფერი ცისფერია.
- რა არის ბადახში?
- ბადახში წითელი ფერის ძვირფასი ქვაა, იგივე ლალი.
- რატომ ამშვენებს ვენახს მზე და ლალი?
- პოეტი ბადახშს, ანუ წითელი ფერის ქვას, ლალს, ადარებს დამწიფებულ ყურძენს, მზეზე მოციავს, გავსებულს მზით.
- მოძებნეთ სტრიქონები (მთელ ლექსში), რომლებშიც უსულო საგნებს სულიერის თვისებები მიენერება!
- „ქარი გიმღერის ნანასა,“ „ზღაპარს გიამბობს ჭადარი“, „ძენამ ალერსით ამავსო“, „ქედები – მხარგაშლილები“ „მზეს უმღერიან ჩიტები“.
- თქვენი აზრით, რა მიზნით გააპიროვნა (გაასულიერა) პოეტმა უსულო საგნები?
- ალბათ, იმისთვის, რომ უკეთ გვეგრძნო საქართველოს ბუნების სიმშვენიერე.
- პოეტი ყოველ სტროფს ამთავრებს გრ. ორბელიანის სიტყვებით. ახსენით რატომ?
- პოეტის განწყობას უკეთ გამოხატავს ეს სიტყვები.
- ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა არის ამ ლექსის თემა? ანუ რის შესახებ საუბრობს პოეტი?
- საქართველოს ქება-დიდება. ლექსი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ჩვენს სამშობლოზე...

მიუზბრუნდეთ დაფას. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი, რა ვიცოდით ჩვენი ქვეყნის შესახებ. შემდეგ შევაჯამოთ ლექსით გამოხატული სათქმელი და თვალნათლივ დავინახავთ, ყოველივე იმას, რაც ვიცოდით და მშრალი ინფორმაციის სახით ჩამოვაცალიბეთ, ანა კალანდაძემ უალრესად პოეტურად, მხატვრულად თქვა ლექსით.

➤ მოგეწონათ ლექსი? რატომ? მოიშველიეთ შესაბამისი ადგილები ტექსტიდან და იმსჯელეთ!  
რამდენიმე მოსწავლეს მივცეთ საშუალება, გამოთქვან აზრი და დაასაბუთონ.  
გაკვეთილის ბოლოს, თუ დრო დაგვრჩა, შეიძლება ხმამაღლა წავუკითხოთ ლექსი.

**რეკომენდაცია:** წავაკითხოთ საგულისხმო ცნობა. ყურადღება გავამახვილოთ, რომ ეს არის ინფორმაციული ხასიათის ტექსტი. დავეხმაროთ მოსწავლეებს, შეადარონ საინფორმაციო ტექსტი მხატვრულს და იმსჯელონ, რა განსხვავებაა მათ შორის, რა დამატებით ინფორმაციას მოიცავს საგულისხმო ცნობა.

**შესრულებული სამუშაოს შეფასება:** (3წთ.)

გადავხედოთ გაკვეთილს და გავიხსენოთ, რა სამუშაო შევასრულეთ!  
წავაკითხოთ და გავანალიზოთ ანა კალანდაძის ლექსი „საქართველოო ლამაზო“; ლექსიკონის დახმარებით განვმარტოთ უცნობი სიტყვები; ვუბასუხებთ ლექსის შესახებ დასმულ შეკითხვებს; ვიმსჯელებთ ლექსის დედააზრზე; გამოვხატოთ საკუთარი დამოკიდებულება ლექსის მიმართ.

**განმავითარებელი შეფასება:**

გავაკეთოთ ჩანიშნები მოსწავლეთა შესაფასებლად დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:** წავიკითხოთ ლექსი! შევასრულოთ სავარჯიშოები!

## ანა კალანდაძე, „საქართველოო ლამაზო“

**მიზნები:**

1. **ენობრივ მასალაზე დაკვირვება:** არსებითი სახელისათვის შესაბამისი ზედსართავი სახელის მისადაგება; ტირე და მისი ფუნქცია ლექსში; ერთი და იმავე და მსგავსი ბგერების მქონე სიტყვათა კლასიფიკაცია, საკუთარი ნაწერის გასწორება-კორექტირება ენობრივი თვალსაზრისით.


2. **წერითი უნარის განვითარება:** მცირე ზომის ტექსტის (ოთხსტროფიანი ლექსის) შეთხზვა; საკუთარ ნაწერში სასვენი ნიშნების მართებული გამოყენება; ნაწერის ხმამაღალი კითხვა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: **ქ IV.**

**რესურსები:** დაფა, ცარცი, საწერკალმები, ფურცლები, სახელმძღვანელო.

**აქტივობა 1 (7წთ.)**

წინა გაკვეთილზე დამუშავებული მასალის გახსენება; კითხვის ქვეუნარების გადამოწმება.  
მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე დამოუკიდებლად იმუშავეს ლექსიკონზე. სასურველია გადავამოწმოთ, რამდენად კარგად შეძლეს უცნობი სიტყვების გაგება და დამახსოვრება. ამ მიზნით წინასწარ მოვამზადოთ სავარჯიშო: ჩამოვწეროთ ფორმატის ერთ მხარეს სიტყვები, რომლებიც შეისწავლეს წინა გაკვეთილზე, მეორე მხარეს კი — მათი განმარტებები, ოღონდ არეულად. მოსწავლეებს ვთხოვოთ, იპოვონ სიტყვათა შესაბამისი განმარტებები და მიუთითონ (შეიძლება ეს სავარჯიშო ინდივიდუალურად დაურიგდეთ მოსწავლეებს და სათითაოდ შემოწმდეს განმავითარებელი შეფასებით). მაგ.:



სამუშაოს დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვოთ, შეასრულონ სახელმძღვანელოში მითითებული სავარჯიშო: არსებითი სახელს მიუწერონ შესაბამისი ზედსართავი სახელები, შემდეგ თავიანთ მენწყილეს

გაუცვალონ ნამუშევრები და ერთმანეთს შეუმონწმონ, სწორად მიუწერა თუ არა ზედსართავი სახელი არსებით სახელს (ამ სამუშაოს შესრულების დროს მოსწავლეები ამავე დროს იხსენებენ ტექსტს).


### აქტივობა 2: (20 წთ.)

დავყოთ კლასი ოთხ ჯგუფად. დავავალოთ, გადახედონ ლექსს თავიდან ბოლომდე და დააკვირდნენ, რა შემთხვევაში იყენებს პოეტი ტირეს; აღადგინონ გამოტოვებული სიტყვები.

ჯგუფებს მივცეთ სამუშაო დრო.

მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფიდან თითო მოსწავლე წარმოადგენს ნამუშევარს, ჩვენ კი დაფაზე ჩამოვწერთ:

ტირეს გამოყენების შემთხვევები:



- მოცემულ შემთხვევაში წინადადების რომელი წევრის ადგილი დაიჭირა ტირემ?
- ტირემ დაიჭირა ზმნის, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის, ადგილი.
- ახლა განვსაზღვროთ, რა ფუნქციას ასრულებს ლექსში ტირე? აუცილებელი იყო თუ არა მისი ხმარება მოცემულ შემთხვევაში?

შევადაროთ ერთმანეთს ორი წინადადება:

ცა ვარსკვლავებით ინთება, ცა არის არცა რისი სადარი.

ცა ვარსკვლავებით ინთება, ცა — არცა რისი სადარი.

➤ რომელია მართებული ფორმა?

მოსწავლეები იმსჯელებენ, რომ, თუ ტირე არ იქნება მოცემულ სტრიქონში, ლექსი დაკარგავს ფორმას. გარდა ამისა, იგი მიგვითითებს, რომ კითხვის დროს იმ ადგილას აუცილებლად უნდა პაუზა...

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ დააკვირდნენ სტრიქონების დაბოლოებებს, ჩვენ კი ისინი ჩამოვწერთ დაფაზე:

- ..... ნანასა
- ..... ჭადარი
- ..... ამავესო
- ..... ნაავადარი
- ..... ლამაზო
- ..... სად არი
- ..... ინთება
- ..... სადარი
- ..... ამობრწყინდება
- ..... მზად არი

და ა. შ.

მოსწავლეთა დახმარებით ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების მქონე სიტყვები დავაჯგუფოთ:

ჭადარი — ნაავადარი

ინთება — ამობრწყინდება

სად არი — მზად არი

(ჩამოწერის ნაცვლად შეიძლება რკალებითაც დაფუკავშიროთ ერთმანეთს).

მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ ეს არის რითმა — ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების გამეორება. აზრი რომ ლექსად იქცეს, აუცილებელია გაირითმოს (თუმცა არსებობს ურითმო ლექსებიც).

### აქტივობა 3: (15 წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ, თავადაც სცადონ, დაწერონ ლექსი. მივცეთ მითითებები და გამზადებული სარიტმო სიტყვები.  
მაგ.: გზა — მთა — ზღვა — სხვა.

1. წერის დაწყებამდე აირჩიონ თემა, რაზეც დაწერენ ლექსს;
2. წინადადებები ერთმანეთს ისე შეუხამონ, რომ ყოველი სტრიქონი დაბოლოვდეს ჩვენ მიერ მითითებული თითო სიტყვით (სულ გამოვა ოთხი სტრიქონი);
3. შეამონმონ საკუთარი ნამუშევარი, ჩაასწორონ (თუ ამის საჭიროება არის) სიტყვა, ასო, ფრაზა ან წინადადება;
4. დასვან სასვენი ნიშნები;
5. ნაიკითხონ ნამუშევარი ხმამაღლა.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მსურველს მივცეთ საშუალება კლასის წინაშე წარადგინოს თავისი ლექსი. რომელი მოსწავლეებიც ნაიკითხავენ, შევაქოთ. შენიშვნები, უფრო ზუსტად კი რჩევები, მსუბუქად, კეთილგანწყობით მივცეთ.

### შესრულებული სამუშაოს შეფასება: (3წთ.)

➤ რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?

გავიხსენეთ წინა გაკვეთილზე დამუშავებული მასალა; ტექსტიდან ამოღებულ არსებით სახელებს მივუწერეთ შესაბამისი ზედსართავი სახელები; განვსაზღვრეთ ტირეს ფუნქცია ლექსში; დავაკვირდით სტრიქონთა დაბოლოებებს და გავცანით რითმას; დავწერეთ ლექსი სარიტმო სიტყვების გამოყენებით, ჩვენი ნამუშევარი გავასწოროთ და წარუდგინეთ კლასს.

### განმავითარებელი შეფასება:

გავაკეთოთ ჩანიშვნები მოსწავლეთა შესაფასებლად დასახული მიზნიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:** რამდენადაც უკვე გააზრებული აქვთ ლექსის შინაარსი, ავტორის ჩანაფიქრი, თავიდან შეარჩიონ ინტონაცია, ლოგიკური მახვილი, პაუზა, ფესტიკულაცია, ხმის ტემბრი, შემოქმედებითად გაიზარონ ლექსი და შემდეგ გაკვეთილზე, სურვილისამებრ, წარუდგინონ კლასს.

შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოები .

## ბრიგოლ ორპელიანი, „სხვა საქართველო სად არი?“

(ნაწყვეტი პოემა „სადღეგრძელოდან“)

### მიზნები:

1. **ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** ხმამაღალი კითხვა.
2. **კითხვის უნარის განვითარება:** მხატვრული ტექსტის ნაკითხვა და გაგება, მითითებულ ტექსტში სტროფის მოძებნა.
3. **საზოგადოებრივი უნარების განვითარება:** თვისებების კლასიფიკაცია; ორ ლექსს შორის მსგავსება-განსხვავების მოძებნა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქ IV 1,3,6,7.

**რესურსები:** დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, სანერკალმები, ფორმატი.

### აქტივობა 1:

გაკვეთილი დავიწყით ზეპირი აქტივობით.

წინა გაკვეთილზე მოსწავლეებს დავევალათ ანა კალანდაძის ლექსის „საქართველოო ლამაზო“ ზეპირად სწავლა. მსურველებს საშუალება მივცეთ კლასს ნაუკითხონ ლექსი. პრეზენტაციური შევაფასოთ შემდეგი კრიტერიუმებით:

- ა) ავტორისეული ჩანაფიქრის გააზრება;
- ბ) ინტონაცია;
- გ) ხმის ტემბრი;

- დ) ლოგიკური მახვილი და პაუზა;
- ე) ჟესტიკულაცია;
- ვ) შემოქმედებითობა.

მასწავლებელმა შეიძლება ეს კრიტერიუმები წინასწარ შეათანხმოს მოსწავლეებთან, გაითვალისწინოს მათი აზრი, თუ საჭირო გახდება, შეასწოროს ეს ჩამონათვალი. პრეზენტაციური შეიძლება მოსწავლეებსაც შევაფასებინოთ.

### აქტივობა 2:

მოსწავლეებს გავახსენოთ, რომ წინა გაკვეთილზე ანა კალანდაძის ლექსის „საქართველოო ლამაზო“ გაანალიზების დროს მათ აღნიშნეს, რომ ჩვენს მხარეს, საქართველოს დიდება შესძინა ქართველმა ერმა თავისი წარსულითა და აწმყოთი.

კლასი დავყოთ რამდენიმე ჯგუფად და ვთხოვოთ ჩამოწერონ ქართველებისათვის დამახასიათებელი 2-3 თვისება.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფებიდან თითო წარმომადგენელს ვთხოვოთ გვიკარნახოს, რა თვისებები მოიფიქრეს, ჩვენ კი დაფაზე ჩამოვწეროთ.

სავარაუდოდ, მათ მიერ ჩამოწერილ თვისებათა შორის იქნება: სტუმართმოყვარეობა, ბრძოლისუნარიანობა, სილაღე, პატრიოტიზმი, შრომისმოყვარეობა...

შემდეგ ვთხოვოთ, წაიკითხონ გრ. ორბელიანის „სხვა საქართველო სად არი?“ (ნაწყვეტი პოემა „სადღეგრძელოდან“) და დააკვირდნენ, როგორ ახასიათებს პოეტი ქართველ ერს (დამახასიათებელ სიტყვებს ხაზი გაუსვან).

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვოთ გონებრივი იერიშით ჩამოგვიწერონ ეს მახასიათებლები, რათა მოგვეცეს შედარების შესაძლებლობა. ასე მოსწავლეები უკეთ გაიაზრებენ, რა იცოდნენ და რა ისწავლეს.

### დავსვით შეკითხვები:

- თქვენი აზრით, რა იგულისხმება გამოთქმა „შავ დროში“?
- მძიმე ისტორიული წარსული, ომები, თავისუფლებისათვის ბრძოლა ათასი ჯურის მტერთან, მონობა...
- რას არის ქართველი კაცის გული შედარებული? მოძებნეთ სათანადო სტრიქონი და ხმამაღლა წაიკითხეთ!
- ანდამატს: „შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა.“
- რა არის ანდამატი?
- ამ ლექსში აღმასი, ძვირფასი ქვა.
- თქვენი აზრით, პოეტის როგორ განწყობას გამოხატავს სიტყვები: „სხვა საქართველო სად არი...“?
- ეს სიტყვები გამოხატავს აღფრთოვანებას, სიამაყეს.
- რისი თქმა უნდა ამ სიტყვებით პოეტს? ამქვეყნად ხომ არც სხვა ინგლისი არსებობს, არც სხვა საფრანგეთი, არც სხვა თურქეთი (პასუხის გაცემის დროს სასურველია ჩვენც დავეხმაროთ).
- ამ სიტყვებით პოეტს უნდა გვითხრას, რომ ამქვეყნად ჩვენც — როგორც ერი სხვა ერთა შორის ერთადერთი ვართ ჩვენი სახელმწიფოც ერთადერთი და განსხვავებულია. სამყარო სწორედ იმიტომ არის ჰარმონიული, რომ ერები და ქვეყნები გამოირჩევიან ერთმანეთისგან ორიგინალური კულტურით, ტრადიციებით, თვისებებით...

### აქტივობა 3:

ჯგუფებს ვთხოვოთ, შეასრულონ შემდეგი დავალება:

როგორც ვიცით, ანა კალანდაძის „საქართველოო ლამაზო“ შთააგონა გრ. ორბელიანის პოემის იმ ნაწყვეტმა, რომელიც გაკვეთილზე წაიკითხეს. ჩამოაყალიბეთ, რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ ამ ლექსებს შორის.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფებიდან თითო წარმომადგენელი კლასს გააცნობს მოსაზრებას: სავარაუდოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ ამ ლექსებს აერთიანებს თემა: საქართველო. ორივე ლექსში ჩანს პატრიოტული გრძნობები, სამშობლოს გამორჩეულობით გამონეული სიამაყის განცდა...

განსხვავება: გრ. ორბელიანი თვლის, რომ საქართველო გამორჩეულია თავისი ხალხით და ჩამოთვლის იმ თვისებებს, რომლებიც ახასიათებს მას, ანა კალანდაძის აზრით კი ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულობას, გამორჩეულობას ქმნის მისი ბუნება, ულამაზესი ხედები, მწვერვალები...

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვკითხოთ, რა იყო ამ ლექსში მათთვის ნაცნობი, რა გაიგეს?

მოვისმინოთ რამდენიმე მოსწავლის აზრი.

შესრულებული სამუშაოს შეფასება:

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- კლასის წინაშე წარვადგინეთ ანა კალანდაძის „საქართველოო ლამაზო“ და შევაფასეთ პრეზენტაციური; წავიკით-

ხეთ გრ. ორბელიანის „სხვა საქართველო სად არი?“ და გავანალიზებთ ლექსი; ერთმანეთს შევადარებთ ანა კალან-დაძისა და გრ. ორბელიანის ლექსები; ძველ ინფორმაციაზე დაყრდნობით მივიღებთ ბევრი ახალი ინფორმაცია.

### განმავითარებელი შეფასება:

მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:** გრ. ორბელიანის ლექსი ზეპირად. სავარჯიშოების შესრულება.

## „ყმანვილები ჭალაში“ – იაკოვ გოგებაშვილის მიხედვით

### მიზნები:

1. **კითხვის უნარების განვითარება:** ტექსტის წაკითხვა და გაგება; დაყოფა საკითხავ მონაკვეთებად და გაანალიზება; ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; მისი ესთეტიკური და ეთიკური შეფასება.

2. **ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** მითითებულ ტექსტში სიტყვის, ფრაზის, შესაბამისი პასუხის მოძებნა; პერსონაჟის თხრობის ავტორისეული თხრობიდან გამოყოფა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქ IV 6, 7.

**რესურსები:** დაფა, ცარცი, სანერკალმები, სახელმძღვანელო.

### აქტივობა 1: (5 წთ.)

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს დავუსვამთ შეკითხვა:

- რას საქმიანობთ დღის განმავლობაში?
- ვსწავლობთ, ვმუშაობთ, ვვარჯიშობთ, ვთამაშობთ, ვისვენებთ და ა. შ.
- როგორ ფიქრობთ, დღის განმავლობაში რას საქმიანობენ ფრინველები, ცხოველები თუ სხვა სულდგმული?
- ზოგი ბარტყებს უზიდავს საზრდოს, ზოგი ბუდეს აშენებს... ყველა სულდგმული საქმიანობს.
- როგორ ფიქრობთ, მოსაწონი იქნება თუ არა, სწავლისათვის განკუთვნილი დრო თამაშსა და დროსტარებაში გავატაროთ?

მოსწავლეები სხვადასხვაგვარად უპასუხებენ. მოვისმინოთ ნებისმიერი პასუხი (მსჯელობის გაგრძელება ამ თემაზე სასურველი არ არის. ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ისინი დასკვნას თავად გამოიტანენ).

### აქტივობა 2: (32 წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ წაკითხონ ი. გოგებაშვილის მოთხრობის „ყმანვილები ჭალაში“ | თავის ხუთი აბზაცი: თავიდან მონაკვეთამდე „ყვითელ ჭიას მოჰკრეს თვალი“. კითხვის პროცესში მათ შეიძლება შეხვდეთ უცნობი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც უნდა მოიძიონ განმარტებაში, თავდაპირველად კი შეეცადონ კონტექსტიდან გამომდინარე მიხვდნენ უცნობი სიტყვების შინაარსს.

კითხვის დასრულების შემდეგ დავსვამთ კითხვები იმის გასარკვევად, თუ როგორ გაიგეს მოცემული მონაკვეთი:

- რომელი პერსონაჟები გვხვდებიან მოცემულ მონაკვეთში?
- და და ძმა.
- მთხრობელი მონაწილეობს მოცემულ მონაკვეთში თუ, უბრალოდ, მოგვითხრობს?
- მთხრობელი არ მონაწილეობს. ის უბრალოდ მოგვითხრობს.
- რა გადანწყვიტა და-ძმამ?
- და-ძმამ გადანწყვიტა სკოლაში კი არ წასულიყო, ჭალაში გაესეირნა, რადგან მეტად საამური დილა იყო, ძალიან ცხელია, ჭალაში კი სუფთა ჰაერი იყო და გრილია.
- რა სურათი წარმოუდგათ ჭალაში შესულ ბავშვებს თვალწინ? პასუხი მოძებნეთ ტექსტში და წაკითხეთ!
- ჭალაში ყოფნა მართლაც სასიამოვნო იყო. ფრინველები ერთი ბუჩქიდან მეორეზე ფრინავდნენ, გალობდნენ და ჭიკჭიკებდნენ; ბუჩქები და ჭიები კი ბალახებში ფუსფუსებდნენ.
- თქვენი აზრით, როგორ გაგრძელდება მოთხრობა?
- მოვისმინოთ მოსწავლეთა ვარაუდები, ჩამოვწეროთ ისინი დაფაზე:
- ჭალაში ბავშვები გაერთობიან;

- ქალაში ბავშვები ნახავენ, რომ ჭიაც თავისი საქმით არის გართული, ასევე სხვა სულდგმული;
- ბავშვები ფრინველებს დაეხმარებიან საქმიანობაში;
- ბავშვები ქალაში ბევრ საინტერესო რამეს ნახავენ და ა. შ.

ვარაუდების მოსმენისა და ჩამოწერის შემდეგ ვთხოვთ გააგრძელონ კითხვა: მონაკვეთიდან „მოდი, ერთი...“ I თავის ბოლომდე. კითხვის დროს ხაზი გაუსვან ყველა პერსონაჟს და დააკვირდნენ, რას აკეთებენ ისინი.

მონაკვეთის კითხვის დროს მათ შეხვდებით რამდენიმე უცნობი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობა ახსნილია განმარტებაში.

კითხვის დასრულების შემდეგ დავსვით შეკითხვები:

- დაასახელეთ პერსონაჟები, რომლებიც ამ მონაკვეთში შეგხვდათ! დაიხმარეთ ტექსტი!
- ჭია, ფუტკარი, ჭიანჭველა, ციყვი, მტრედი, ბაჭია, მარწყვის ყვავილი.
- რა მოხდა მოცემულ მონაკვეთში?
- ყმანვილებმა ჭიას, ფუტკარს, ჭიანჭველას... შესთავაზეს მათთან ერთად თამაში, მაგრამ უარი მიიღეს, რადგან ყოველი მათგანი თავისი საქმით იყო დაკავებული.
- მოთხრობაში რომელ პერსონაჟს მიესადაგება სიტყვა „ბურძღლიანი“?
- ფუტკარს.
- რას ნიშნავს „ბურძღლიანი“?
- ბუსუსიანს.
- რომელი პერსონაჟი ხასიათდება სიტყვით „ბუდრუგანა“?
- ჭიანჭველა.
- მაშასადამე, როგორი ყოფილა ჭიანჭველა?
- ფუსფუსა, მოუსვენარი, მოძრავი.  
(აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე მოთხრობა „ოთარანთ ქვრივი“ ამ სიტყვით ახასიათებს მოსაველიან, ბარაქიან ვენახს: ბუდრუგანა ვენახი).
- ვისთვის აშენებდა მტრედი ბუდეს?
- პატარა ხუნდებისათვის, ანუ ბარტყებისათვის.
- რას ელოდებოდა მარწყვის თეთრი ყვავილი?
- მშვენიერ დარს, ანუ კარგ ამინდს.
- რატომ უთხრა ბავშვებს თამაშზე უარი ჭიამ? ფუტკარმა? ციყვმა? მტრედმა? ბაჭიამ? მარწყვის ყვავილმა? მოსწავლეებმა ტექსტში უნდა მოიძიონ შესაბამისი ადგილები და ისე უპასუხოთ კითხვებს.
- ტექსტის მოცემულ მონაკვეთზე დაყრდნობით რა შეგიძლიათ დაასკვნათ?
- ქალაში ყველა თავისი საქმით არის გართული. მხოლოდ და-ძმა არ აკეთებს თავის საქმეს. მიუზბრუნდეთ დაფას და გადავხედოთ მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ ვარაუდებს. როგორც ვხედავთ, ბევრი მათგანი დაემთხვა.
- თქვენი აზრით, როგორ დასრულდება მოთხრობა?

მოსწავლეთა მიერ გამოთქმული ვარაუდები ისევ ჩამოვწეროთ დაფაზე:

- ბავშვები მიხვდებიან, რომ ქალაში ხეტიალის დრო არ არის და წავლენ სკოლაში;
- რომელიღაცა ფრინველი მათ დაუმეგობრდება და ძალიან ბევრს იხალისებენ;
- ბავშვები სახლში გულდანყვეტილები დაბრუნდებიან.

ვარაუდების გამოთქმისა და დაფაზე ჩამოწერის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, გააგრძელონ კითხვა (II თავი).

კითხვის დასრულების შემდეგ დავსვით კითხვები:

- დაემთხვა თქვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი მოთხრობის დასასრულს? მოსწავლეები შეადარებენ გამოთქმულ ვარაუდებს ტექსტის დასასრულს.
- დაასახელეთ პერსონაჟები, რომლებიც მოთხრობის II თავში შეგხვდნენ!
- ნაკადული და ჩიტი.
- ნაკადული თავიდან მხიარულად მოჩუხჩუხებს, შემდეგ კი გაჯავრებით ჩაირაკრაკებს. რამ გააჯავრა იგი?
- ბავშვების სიტყვებმა: „ეი, შენ, რაკრაკავ, უთუოდ საქმე არა გაქვს!..“
- რას საქმიანობს ნაკადული?
- მოსწავლეები ტექსტში მოიძიებენ შესაბამის ადგილს და ისე უპასუხებენ.
- ჩიტიც გაუჯავრდა ყმანვილებს. რა იუკადრისა მან?
- ბავშვებმა რომ უთხრეს, გეტყობა, საქმე სრულებით არა გაქვსო.
- რას საქმიანობს ჩიტი?
- მოსწავლეები ისევ მიუზბრუნდებიან ტექსტს და ნაიკითხავენ შესაბამის ადგილს ხმამაღლა.
- რა დარიგება მისცა ჩიტმა ბავშვებს?
- მოსწავლეები ისევ ტექსტში იპოვიან პასუხს: „გახსოვდეთ, რომ დასვენება და თამაში მხოლოდ იმისათვის არის

სამური, ვინც გაისაჯა და თავისი საქმე გააკეთა“.  
ჩიტის დარიგება შეიძლება 2-3 მოსწავლეს წავაკითხოთ უკეთ დამახსოვრების მიზნით.

**შეჯამება: (5წთ.)**

- რით იყო ეს მოთხრობა თქვენთვის საინტერესო? მოვისმინოთ მოსწავლეთა პასუხები.
- რა ისწავლეს პერსონაჟებმა ჭალაში სეირნობისას? პერსონაჟებმა ისწავლეს, რომ სწავლის დროს უნდა ვისწავლოთ, დასვენების დროს უნდა დავისვენოთ... ზარმაცი და უქნარა სამეგობროდ არავის სჭირდება...

**შესრულებული სამუშაოს შეფასება (3წთ.)**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- დღეს ი. გოგებაშვილის „ყმანვილები ჭალაში“ დავყავით მონაკვეთებად და ისე დავამუშავეთ; გამოვთქვით ვარაუდები, როგორ გაგრძელდება და დასრულდება მოთხრობა; დავაკვირდით პერსონაჟების ქცევას; განვმარტეთ უცნობი სიტყვები; ვუპასუხეთ ტექსტის შესახებ დასმულ შეკითხვებს; პასუხები მოვიძიეთ ტექსტში; გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება მოთხრობის მიმართ.

**განმავითარებელი შეფასება:**

გავაკეთოთ ჩანიშნები მოსწავლეთა შესაფასებლად დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:** ტექსტი წასაკითხად და პირველი თავის ბოლოს მოცემული სავარჯიშოების შესრულება.

## „ყმანვილები ჭალაში“

(II გაკვეთილი)

**მიზნები:**

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** პერსონაჟის დახასიათება, მისი ქცევის შეფასება; მსჯელობა ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟებზე; ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა; ანდაზის განმარტება და მსჯელობა მის ტექსტთან მიმართებაზე, სამეტყველო სიტუაციაში შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:**

ტექსტში შეკითხვის შესაბამისი პასუხის, არგუმენტის მოძებნა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: **ქ,IV 3,4,6,7.**

**რესურსები:** დაფა, ცარიცი, სახელმძღვანელო, წინასწარ გამზადებული ფურცლები სავარჯიშოს შესასრულებლად, კალმები.

**აქტივობა 1: (10 წთ.)**

გაკვეთილის დასაწყისში იმის გასარკვევად, თუ როგორ დაიმახსოვრეს მოსწავლეებმა ტექსტი, მივანოდოთ ამგვარი სავარჯიშო: ფურცლის ერთ მხარეს შესწავლილი ტექსტის I თავი დავწეროთ, ხოლო მეორე მხარეს — იგივე ტექსტი მცირეოდენი ცვლილებით (შეიძლება ამოვიღოთ წინადადებები ან ჩავამატოთ) მოსწავლეებს ინდივიდუალურად დავურიგოთ ეს ფურცლები და ვთხოვოთ, იპოვონ ცვლილებები. ხაზი გაუსვან ზედმეტ წინადადებებს, ან აღნიშნონ ის ადგილი, სადაც აკლია წინადადებები (გამოვიყენოთ წინადადებების ჩამატების ან გამოკლების მეთოდი). ამ სავარჯიშოთი ჩვენ ადვილად შევამოწმებთ ინფორმაციის დამახსოვრების უნარს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტის მთლიანობაში აღქმა-გაგებისათვის.

ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ დავსვათ რამდენიმე შეკითხვა შინაარსის გასააქტიურებლად:

- როგორ გაიკიცხა ნაკადულმა ბავშვები? ნამიკითხეთ! მოსწავლეები წაიკითხავენ შესაბამის ადგილს.
- რა დარიგება მისცა ჩიტმა ბავშვებს? მოძებნეთ და წაიკითხეთ ხმამაღლა! მოსწავლეები მოძებნიან და წაიკითხავენ ხმამაღლა ჩიტის დარიგებას.
- მოგეწონათ ნაწარმოების პერსონაჟთა საქციელი? მოსწავლეებს, უთუოდ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ექნებათ მათი საქციელის მიმართ. ამიტომ კლასი დავყოთ 4 ჯგუფად და მივცეთ დავალებები.

## აქტივობა 2: (32 წთ.)

### №1 ჯგუფი:

მოძებნეთ არგუმენტები, რომლებითაც დაამტკიცებთ, რომ და-ძმა კარგად მოიქცა!

### №2 ჯგუფი:

მოძებნეთ არგუმენტები, რომლებითაც დაამტკიცებთ, რომ და-ძმა ცუდად მოიქცა!

### №3 ჯგუფი:

მოძებნეთ არგუმენტები, რომლებითაც დაამტკიცებთ, რომ ჭია, ფუტკარი, ჭიანჭველა, ციყვი, მტრედი, ბაჭია, ნაკადული და ჩიტი კარგად მოიქცნენ, სათამაშოდ რომ არ გაჰყვნენ ბავშვებს.

### №4 ჯგუფი:

მოძებნეთ არგუმენტები, რომლებითაც დაამტკიცებთ, რომ ჭია, ფუტკარი, ჭიანჭველა, ციყვი, მტრედი, ბაჭია, ნაკადული და ჩიტი ცუდად მოიქცნენ, სათამაშოდ რომ არ გაჰყვნენ ბავშვებს.

ჯგუფები არჩევენ პრეზენტატორს და წარმოადგენენ თვალსაზრისს.

### №1 ჯგუფი:

და-ძმა კარგად მოიქცა. მათ ჭალაში დიდად ისიამოვნეს, დატკბნენ ბუნების მშვენიერებით... ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ვერასოდეს შეიტყობდნენ, რომ ბუნებაში ყველაფერს აქვს თავისი საკეთებელი საქმე. მათ ხომ უსაქმური ეგონათ ჩიტიც, ჭიაც, ფუტკარიც, ციყვიც, ნაკადულიც...

### №2 ჯგუფი:

და-ძმა ცუდად მოიქცა, მათ სწავლისთვის განკუთვნილი დრო გაფლანგეს, იზარმაცეს, თავი შეირცხვინეს, სხვებსაც ხელი შეუშალეს საქმის კეთებაში.

### №3 ჯგუფი:

ჭია, ფუტკარი, ჭიანჭველა, ციყვი, მტრედი, ნაკადული, ჩიტი — ყველანი კარგად მოიქცნენ სათამაშოდ რომ არ გაყვნენ ბავშვებს, მათ თავიანთი საქციელით და-ძმა მიახვედრეს, რომ ზარმაცი და უქნარა არავის სჭირდება. ასევე მიუთითეს, რომ თამაში იმისათვის არის საამური, ვინც გაისარჯა და თავისი გასაკეთებელი საქმე გააკეთა.

### №4 ჯგუფი:

ჭია, ფუტკარი, ჭიანჭველა, ციყვი, მტრედი, ნაკადული, ჩიტი — ყველანი ცუდად მოიქცნენ, რადგან ვერ მიხვდნენ, რომ ბავშვებს ბუნების მშვენიერებით დატკბობა სურდათ, ბუნების ქმნილებების უფრო ახლოს გაცნობა. ამის საშუალება კი არ მისცეს. შეიძლებოდა, რომ ცოტა ხანი მაინც დაეთმოთ და და-ძმისთვის გული არ დაენწყვიტათ.

მასწავლებელი ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა პასუხებს და ინიშნავს. აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) დამაჯერებლობის მიხედვით;
- ბ) მსჯელობის გამართულობა ენობრივ-გრამატიკული თვალსაზრისით;
- გ) ორიგინალური დამოკიდებულება პერსონაჟისადმი.

მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს საუბრის დროს თვალსაზრისის შეჯამებაში. შემდეგ კიდევ ერთხელ თავს უყრის ყველაფერს, რაც პერსონაჟების შესახებ იყო ნათქვამი და ეკითხება კლასს:

➤ როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლებოდა, და-ძმა ბევრით მოსწავლე რომ ყოფილიყო და სწავლის დრო თამაშისათვის არ გამოეყენებინა? (როგორ შეხვდებოდნენ მათ ჭალაში პერსონაჟები?)

მასწავლებელი მოისმენს მოსწავლეთა ვარაუდებს. შემდეგ სთხოვს, წაიკითხონ ანდაზები, განმარტონ მათი შინაარსი და დაუკავშირონ ტექსტს.

მოსწავლეები განმარტავენ ანდაზების შინაარსს და დაუკავშირებენ ტექსტს, რითაც აყალიბებენ ნაწარმოების დედააზრს.

• ზარმაცი არის ის, ვინც უარს ამბობს თავის საქმეზე. ზარმაცი კაცი უგუნურია. ასეთი ადამიანებისათვის ყოველი დღე არის დასვენების დღე, ანუ უქმე. ის ვერასოდეს გაიხარებს თავისი საქმის შედეგით.

ნაწარმოებში ყველა პერსონაჟი, გარდა და-ძმისა, საქმიანია, შრომისმოყვარე. ისინი კიცხავენ ყმანვილებს, რადგან სწავლის ნაცვლად ჭალაში სეირნობენ.

## შესრულებული სამუშაოს შეფასება (3წთ.)

• რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?

გაკვეთილის დასაწყისში შევასრულეთ სავარჯიშო, გავიხსენეთ ნაწარმოების შინაარსი; ვუპასუხეთ დას-

მულ შეკითხვებს; ჯგუფებში ვიმუშავეთ და შევაფასეთ ნაწარმოების პერსონაჟთა საქციელი; წარმოვადგინეთ ნამუშევრები; ვიმსჯელებთ ნაწარმოებში დასმულ პრობლემებზე. განვმარტეთ ანდაზები და დავუკავშირეთ ტექსტს, ანდაზების საშუალებით ჩამოვაცალიბეთ ნაწარმოების მთავარი სათქმელი.

**საშინაო დავალება:** სავარჯიშო 1,2,3.

## „ყანაწილები ჭალაში“

(III გაკვეთილი)

გაკვეთილი დავუთმობთ შემაჯამებელ საკონტროლო წერას თემაზე: „თავი შეირცხვინეს“ (სახელმძღვანელო, დავალება). ნაწერი გავასწოროთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) შეკითხვებზე არგუმენტირებული პასუხი (ტექსტის ცოდნის გამოვლენა);
- ბ) პერსონაჟის ქცევის ორიგინალური ხედვა;
- გ) გამართული წერილობითი მსჯელობა ენობრივი თვალსაზრისით;
- დ) გამართულობა ორთოგრაფიული და პუნქტუაციური თვალსაზრისით.

## ილია ჭავჭავაძის გიოგრაფია

### მიზნები:


1. ზეპირსიტყვიერების უნარის განვითარება: ნასწავლი ინფორმაციის გახსენება, ბიოგრაფიული ტექსტის ამოცნობა და ადეკვატური აღქმა – ფაქტებისა და მოვლენების თანმიმდევრული გადმოცემა.
  2. კითხვის უნარის გავარჯიშება: ბიოგრაფიის ნაკითხვა და გაგება, ტექსტის სტრუქტურაზე დაკვირვება.
  3. კოგნიტიური უნარების გავარჯიშება: ბიოგრაფიისა და ავტობიოგრაფიის შედარება.
  4. წარითი უნარების განვითარება: მიზნობრივი ტექსტის შეთხზვა (ავტობიოგრაფია) წერითი მარტივი სტრატეგიების გამოყენება.
- შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქ IV 2, 4, 6, 9 (11), 10(13).

### რესურსები:

სახელმძღვანელო, კალამი, დაფა, ცარცი, რვეული, ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან, ილიას ავტობიოგრაფია – ქსეროასლები.

### აქტივობა 1: (5წთ)

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეთა ცოდნისა და გამოცდილების მიზნით დავსვათ კითხვა: რა იცით, ან რა გგონიათ, რომ იცით ილია ჭავჭავაძის შესახებ? მოსწავლეთა პასუხები ჩამოვწეროთ დაფაზე.



შემდეგ ავუხსნათ, რომ ცნობას ილია ჭავჭავაძის შესახებ გვანვდის მისი ბიოგრაფია. განვმარტოთ სიტყვა ბიოგრაფია: **ბიოს** – სიცოცხლე, **გრაფოს** – აღწერა, ე. ი. ბიოგრაფია ყოფილა ვისიმე ცხოვრებისა და მოღ-

ვანობის აღწერა. ადამიანის ბიოგრაფია იწყება მისი დაბადების დღიდან და მოიცავს მთელ ცხოვრებას ვიდრე გარდაცვალებამდე. ილია მრავალმხრივი ადამიანი იყო და მისი ბიოგრაფიაც ასეთივე გახლდათ. ჩვენ შევეცდებით, მცირე დეტალებით შემოვიფარგლოთ, მისი ცხოვრების უფრო სრულყოფილი შესწავლა მომდევნო კლასებს მივანდოთ.

## აქტივობა 2: (17 წთ)

მოსწავლეებს ვთხოვთ, წაიკითხონ ტექსტი – ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია I და II აბზაცი, შემდეგ კი დავსვათ შეკითხვა:

- რა გავიგეთ წაკითხული აბზაციებიდან?
- ილიას დაბადების წელი, თვე, რიცხვი, დაბადების ადგილი, მშობლების ვინაობა და საქმიანობა; გავეცანით მის ოჯახურ გარემოს.
- მოძებნეთ და წაიკითხეთ, რა საქმიანობას ეწეოდა ილიას მამა-გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე.
- იგი იყო გადაამდგარი ოფიცერი.
- ვინ იყო მამაკრძე ჭავჭავაძე –ერისთავისა?
- ილიას მამიდა, რომელმაც აღზარდა დედით დაობლებული ილია და მისი და-ძმა. მოსწავლეები გააგრძელებენ და დაასრულებენ ტექსტის კითხვას. დავსვათ შეკითხვები:
- რა გავიგეთ წაკითხული მონაკვეთიდან?
- მივიღეთ ინფორმაცია ილიას განათლების, მისი საქვეყნო საქმიანობის, დიდი ღვაწლისა და გარდაცვალების შესახებ.
- სად მიიღო პოეტმა განათლება?
- ჯერ თბილისში, შემდეგ კი – პეტერბურგში.
- რატომ მოკლეს ილია? მოძებნეთ და წამიკითხეთ ხმამაღლა!
- ილია იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომლისთვისაც უმთავრესი საფიქრალი და საზრუნავი საქართველოს თავისუფლება და განვითარება იყო. სწორედ ამიტომ მოკლეს იგი საქართველოს მტრებმა.
- სად მოკლეს იგი?
- საგურამოდან თბილისისაკენ მომავალი ილია წინამურში მოკლეს. აქვე მოსწავლეებს ავუსხნათ, რომ იმ დროს, როდესაც ილია მოღვაწეობდა, საქართველო რუსეთის ჰყავდა დამონებული. თავისუფლებანართმეულ, გატანჯულ ქართველ ხალხს გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ილიამ თავისი თხოვრებებით გამოაფხიზლა მიძინებული საქართველო. იგი სათავეში ჩაუდგა ხალხის ბრძოლას თავისუფლებისთვის, დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (იმ პერიოდში ქართულ ენაზე თითქმის აღარ გამომდიოდა ჟურნალ-გაზეთები), საადგილმამულო ბანკი, რომლის მიზანი იყო გალატაკებული თავად-აზნაურობის დახმარება. ეს ბანკი თავისი მოგებით ინახავდა ერთ კერძო გიმნაზიას და მასთან არსებულ პანსიონს უღარიბეს თავად-აზნაურთა შვილებისათვის (ამ სკოლაში დაბალი წოდების ბავშვებიც სწავლობდნენ). ამავე ბანკის მოგებით ინახებოდა ერთი სამეურნეო სკოლა ასევე ყველა წოდების ბავშვებისათვის. ილიამ დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (სხვა მოღვაწეებთან ერთად). მისი კალამი დაუღალავად ამხელდა ქართველი ხალხის მტერსა და მოშურნეს. ილია ავტორია შეუდარებელი ლექსების, პოემების, მოთხრობების, პუბლიცისტური წერილებისა. განსაკუთრებული ღვაწლისათვის იგი ქართველმა მართლმადიდებელურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

## რეკომენდაცია:

მოცემული ინფორმაცია, თუ საჭიროდ ჩათვლით, განავრცეთ ან შეამოკლეთ.

მიუზღრუნდეთ დაფას და მოსწავლეების დახმარებით გაკვეთილის დასაწყისში ჩვენ მიერ დაფაზე დახაზულ აბლაბუდაში ჩავენროთ ახალი ინფორმაცია ილიას შესახებ.

## აქტივობა 3: (31 წთ)

მოსწავლეებს დავურიგოთ ქსეროასლები ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფიის (ტექსტის შემოკლებული ვარიანტი იხილეთ ქვემოთ) და ვთხოვთ, დამოუკიდებლად წაიკითხონ. კითხვის დასრულების შემდეგ დავაჯგუფოთ ისინი და მივცეთ დავალება: მოძებნეთ, რა მსგავსება და განსხვავებაა ილიას ბიოგრაფიასა და ავტობიოგრაფიას შორის.

მოუფსმინოთ წარმომადგენლებს. მათი პასუხები ჩამოვწეროთ დაფაზე. სავარაუდოდ ისინი უპასუხებენ, რომ ბიოგრაფიას გადმოგვცემს არა თვითონ ილია, არამედ ვიღაც სხვა, მცოდნე მისი ცხოვრებისა, ხოლო ავტობიოგრაფიაში ილია თავის თავზე საუბრობს. ბიოგრაფია და ავტობიოგრაფია იწყება დაბადების თვის, რიცხვის, წლისა და ადგილის დასახელებით, ორივეში საუბარია მშობლებზე, ოჯახურ წრესა და გარემოზე, სწავლა-განათლებაზე, საქმიანობაზე. ილიას ბიოგრაფია მთავრდება გარდაცვალების თარიღით; ავტობიოგრაფია, რასაკვირველია – სხვაგვარად.

## აქტივობა 4: (8წთ)

მოსწავლეებს ვთხოვთ, დაწერონ ავტობიოგრაფია. აუცილებლად დაიცვან მოვლენათა განვითარების რიგი:

1. ვინაობა.
2. დაბადების წელი, რიცხვი თვე, ადგილი.
3. მშობლების ვინაობა, პროფესია, საქმიანობა.
4. ოჯახური გარემო (და, ძმა, ბებია, ბაბუა...).
5. განათლება (საბავშვო ბაღიდან მოცემულ მომენტამდე).
6. სხვა საქმიანობა (სპორტი, ხელოვნების სხვადასხვა დარგი...).

წერის დასრულების შემდეგ მსურველს წავაკითხოთ ნამუშევარი. საჭიროების შემთხვევაში კეთილგანწყობით მივცეთ რჩევები. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ვთხოვთ, გაუცვალონ ნამუშევრები თავიანთ მენეჯერებს, რათა ამჯერად ავტობიოგრაფიებზე დაყრდნობით დაწერონ ერთმანეთის ბიოგრაფიები (საშინაო დავალება).

**შესრულებული სამუშაოს შეფასება: (2 წთ)**

➤ რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?

- გავიხსენეთ, რა ვიცოდით ილია ჭავჭავაძის შესახებ, განვმარტეთ სიტყვა ბიოგრაფია და გავეცანით ილიას მოკლე ბიოგრაფიას, ტექსტის კითხვის დროს ვუპასუხეთ კითხვებს (პასუხები მოიძიეთ ტექსტში), მოვისმინეთ ვრცელი ინფორმაცია ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, წავიკითხეთ ილიას ავტობიოგრაფია, ჯგუფებში მოვიძიეთ მსგავსება და განსხვავება ბიოგრაფიასა და ავტობიოგრაფიას შორის, დავწერეთ ავტობიოგრაფიები და წავიკითხეთ.

**შეფასება:** მოსწავლეები შევაფასოთ მთელი გაკვეთილის განმავლობაში განვითარებული შეფასებით შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. პასუხების ლოგიკურობა და დამაჯერებლობა.
2. არგუმენტირებული მსჯელობა.
3. საჭირო ლექსიკის, კავშირების, კონსტრუქციების, კონტექსტის მიხედვით ზმნის გრამატიკული დროის ფორმების ადეკვატურად გამოყენება.
4. საგნებისა და მოვლენების ერთმანეთთან შედარება.

**წერიტი დავალება:** თანაკლასელის ბიოგრაფიის აღწერა მის ავტობიოგრაფიაზე დაყრდნობით.

**ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია**

დავიბადე 27 ოქტომბერს, 1837 წელს, სოფელ ყვარელში. მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, ავიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში და რუსული კარგად იცოდა. დედაჩემმა მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა, სალამოობით დაგვევამდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს. წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის სალამოზედ გვიკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიაბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ვუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით.

სწავლა 8 წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავარ დიაკვანთან – ქართულ წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა.

მეთერთმეტე წელში რომ გადავდექი, მამამ ქალაქში წამიყვანა და მიმცა რაევსკისა და ჰაკეს<sup>1</sup> პანსიონში.

15 წლის ვიყავი, როცა ამ პანსიონიდან ტფილისის გიმნაზიაში შევედი. მეოთხე კლასში მიმიღეს და ბინით კი ისევ პანსიონში ვიყავი.

გავათავე მერვე კლასი და 1857 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში შევედი იურდიულ ფაკულტეტის მაშინდელ კამერალურს განყოფილებაზედ.

1861 წელს უკვე მეოთხე კურსზედ ვიყავი, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინ საუნივერსიტეტო არეულობის მიზეზით.

1863 წელს დავაფუძნე ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამავე 1863 წელს შევირთე ცოლად ოლგა – თავად თადეოზ გურამიშვილის ასული.

**ნიკო ლორთქიფანიძის „პუნების შვილი“**

**მიზნები:**

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა, პერსონაჟის დახასიათება, მისი საქციელის შეფასება;

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** ტექსტის დაყოფა ეპიზოდებად და გაანალიზება, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა, დასმულ შეკითხვაზე პასუხის მოძებნა ტექსტში.

<sup>1</sup> რაევსკი და ჰაკე – პედაგოგები იყვნენ, თბილისის ერთ-ერთი საუკეთესო კერძო სასწავლებლის დამაარსებლები.

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** მხატვრული ტექსტის ნაკითხვა და გაგება.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, კალმები, რვეულები.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV 3,6. 10(13)

### აქტივობა 1 (6წთ)

თხზულებაში საუბარი იქნება ილია ჭავჭავაძეზე, „ბუნების შვილი“ შეიძლება იყოს რომელიმე ცხოველი ან ფრინველი, რომელსაც ილია ტყეში გადააწყდება.

შეიძლება მწერალმა გადმოგვცეს, თუ როგორ უვლიდა ილია ბუნებას.

### აქტივობა 2 ( 18 წთ)

ვარაუდების მოსმენისა და დაფაზე ჩამონერის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, წაიკითხონ „ბუნების შვილი“ | აბზაცი. შემდეგ კი დავსვათ კითხვები:

- თქვენი აზრით, წელიწადის რომელი დროა აღწერილი?
- აღწერილია ზამთრის უკანასკნელი დღეები და გაზაფხულისპირი.
- საიდან დაასკვნით?
- პირველივე წინადადებამ მოგვცა ამ დასკვნის გაკეთების საშუალება (წაკითხვენი | წინადადებას). ბუნებას ხომ ზამთარში სძინავს, თანაც მყინვარს მზის სხივმა ამბოროი სტყორცნა, ქვეყანაც ახმაურდა.
- როგორ გესმით: ცივი მთის თხემი ათრთოლდა, აკეკლუცდა.  
რა სურს მწერალს ამ სიტყვებით გვითხრას?
- მთამ იგრძნო გაზაფხულის მოახლოება და აკეკლუცდა, გალამაზდა. მწერალს სურს გვითხრას, რომ ბუნება გრძნობს რაღაც ახლის მოახლოებას, გაზაფხულს.
- როგორ გესმით: ტყემ პირნაბანი ცვარი ნელ-ნელა წვეთ-წვეთად გადმოყარა მიწაზე?
- ტყემ თოვლი მოიცილა, ნელ-ნელა დაადნო გაზაფხულმა იგი და წვეთ-წვეთად ჩამოყარა ხის ტოტებიდან.
- როგორი განწყობა დაგეუფლათ ამ მონაკვეთის ნაკითხვის დროს?
- ძალიან პოეტურად არის აღწერილი და ასეთივე განწყობილებას გვიქმნის. მწერალმა ისეთი ლამაზი სიტყვებით, ისე მხატვრულად აღწერა გაზაფხულისპირი, რომ სურათი თვალწინ წარმოგვიდგა. ჩვენც მოგვინდა იქ ყოფნა.

მოსწავლეებს ვთხოვთ გაგრძელონ კითხვა (II-III აბზაცი), შემდეგ კი დავსვათ კითხვები:

- რა განწყობას გიქმნით ბუნების ამგვარი მშვენიერების ფონზე ორი მონადირის გამოჩენა?
- მათმა გამოჩენამ დაგვძაბა. ვიგრძენით მოახლოებული საფრთხე.
- წაიკითხეთ სიტყვა, რომლითაც მწერალი მიგვითითებს, რომ მონადირეები მოემზადნენ სანადიროდ!
- ჩასაფრდნენ.
- წაიკითხეთ, როგორ შემოიყვანა მწერალმა მოთხრობაში ირემი!
- ნაპრალიდან გამოვიდა ირემი. მშვენიერი ცხოველი დინჯი ნაბიჯით თავალერილი მიუახლოვდა მონადირეს, შეჩერდა.
- რა არის ნაპრალი?
- მთებებსა და კლდეებს შორის დიდი, ღრმა ბზარი, ჭრილი.
- როგორ გესმით გამოთქმა: „ზომავადნენ ერთმანეთს“ ?
- აკვირდებოდნენ, ცდილობდნენ დაენახათ და შეეცნოთ ერთმანეთი.
- როგორი განწყობა დაგეუფლათ ამ მონაკვეთის ნაკითხვის დროს?
- ვიგრძენით, რომ ბუნებაში ყველაფერი ძალიან მშვენიერია, ლამაზია, ადამიანს კი შეუძლია დაარღვიოს მისი მყუდროება, თუნდაც თოვის გასროლით.
- როგორ ფიქრობთ, როგორ გაგრძელდება მოთხრობა?
- მონადირეები, ალბათ, ვერ მოკლავენ ირემს, რადგან ის ძალიან ლამაზია. მონადირეები მოკლავენ ირემს და მერე ინანებენ თავიანთ საქცილს. თუ ამ მონადირეებიდან ერთ-ერთი ილიაა, არ მოკლავს ირემს. მონადირეები მოკლავენ ირემს, გაატყავებენ და შემდეგ ირემის მწვადებს შეჭამენ.

მოსწავლეთა ვარაუდები შეიძლება დაფაზე ჩამოვწეროთ. შემდეგ ვთხოვთ, გააგრძელონ კითხვა ( ბოლომდე).

### დავსვათ კითხვები:

- რა განწყობა დაგეუფლათ?
- ძალიან მოგვეწონა ილიას საქციელი, მისი სიტყვები, კარგია, რომ ასე მოიქცა.
- რატომ უსაყვედურა მეორე მონადირემ ილიას?
- იმიტომ, რომ მან არ მოკლა ირემი, რომელიც ცხვირწინ გაუჩერდა.
- რა იყო ილიას საქციელის მთავარი მიზეზი? მოძებნეთ და ხმამაღლა წაიკითხეთ ილიას პასუხში ის წინადადება, რომელშიც გადმოცემულია მისი მოქმედების მთავარი მოტივი.
- ამ ლალ ბუნებას ვერ წავართვი ამაყი შვილი.
- ესე იგი, ვინ იგულისხმა მწერალმა ბუნების შვილში?
- ირემი, რომელმაც მონადირე თავისი სილამაზით მოხიბლა და თოფი არ გაასროლინა.
- როგორ ახასიათებს ეს მონაკვეთი ილიას?

- როგორც ღვთისნიერ, კეთილ, სილამაზის მოტრფიალად ადამიანს.
- ილია ერთ-ერთ ნაწარმოებში წერს: „ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ!” რამდენად ეთანხმება მწერლის ამ სიტყვებს ნ. ლორთქიფანიანის ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი?
- არ ეთანხმება. ამ ნაწარმოებში არ ჩანს, რომ ილია ნადირობის მოტრფიალად. ის უფრო ბუნების სილამაზისა და მშვენიერების მოტრფიალად ჩანს, ვიდრე ნადირობის.
- რა გაიგეთ ახალი ილიას ცხოვრებიდან?
- გავიგეთ, რომ მას უყვარდა ნადირობა, ხშირად დადიოდა სანადიროდ, მაგრამ ამავე დროს ვერ კლავდა, ვერ წირავდა ბუნების ლამაზ არსებას, უფრო ტკბებოდა სანადიროდ სიარულით, ვიდრე ნადირობდა.

### აქტივობა 3: (6 წთ)

#### მოსწავლეებს ვუამბოთ ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან მსგავსი ეპიზოდი:

ვაჟას მეზობლები გადმოგვცემენ, რომ იგი უბადლო მანადირე ყოფილა, მაგრამ დედალ შველს არც თვითონ ესროდა და არც სხვას ასროლინებდა. ერთხელ ნადირობის დროს შვლისათვის უსროლია ისე, რომ ვერ გაურჩევია დედალი იყო თუ მამალი. ახლოს რომ მისულა, უნახავს, რომ შველი დედალი იყო და ძუძუებზეც ნაწოვნი ჰქონია. ვაჟა ისე შენუხებულა ამ ამბით, რომ მას შემდეგ შვლისათვის თოფი აღარ უსროლია.

#### დავსვათ კითხვები:

- რა ამსგავსებს ილიას და ვაჟას ერმანეთთან?
- ორივეს უყვარს ნადირობა, ორივე გრძნობს ბუნებას, ტკბება მისი სილალითა და პირველყოფილი მშვენიერებით. არც ერთისათვის არ არის ნადირობა თვითმიზანი, არამედ ეს არის საშუალება ბუნებასთან მიახლოებისა.
- თქვენ თუ გიგრძნიათ თავი ბუნების განუყოფელ ნაწილად?

მოვისმინოთ მოსწავლეთა პასუხები.

#### შესრულებული სამუშაოს შეფასება (5წთ.)

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- გამოვთქვით ვარაუდები ნაწარმოებში აღწერილი ამბის შესახებ, წავიკითხეთ ეპიზოდებად დაყოფილი ტექსტი და გავანალიზეთ, ავხსენით ხატოვანი გამოთქმები, შეკითხვების პასუხები მოვიძიეთ ტექსტში, ილიას სიტყვები დაფუძვლირეთ ნაწარმოებში გადმოცემულ ამბავს, მოვისმინეთ მსგავსი ეპიზოდები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებიდან და დაფუძვლირეთ დღევანდელ გაკვეთილს, მოვძებნეთ მსგავსება ილიასა და ვაჟას პიროვნებებს შორის, ვისაუბრეთ, როდის ვიგრძენით თავი ბუნების განუყოფელ ნაწილად.

**განმავითარებელი შეფასება:** გავაკეთოთ ჩანიშნები მოსწავლეთა შესაფასებლად დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

## ნიკო ლორთქიფანიძე – „ბუნების შვილი“

#### მიზნები:

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** ტექსტის სტრუქტურის ამოცნობა, მის ნაწილებს შორის არსებული აზრობრივი კავშირების აღმოჩენა.

**წერილი უნარების გავარჯიშება:** ტექსტის დალაგება შინაარსობრივი თანმიმდევრობით და ისე გადაწერა.

**ენობრივ მასალაზე დაკვირვება:** სახელის ბრუნება ნიმუშის მიხედვით, წინადადების დასრულება.

**რესურსები:** დაფა, ცარი, სახელმძღვანელო, კალამი, რვეული. შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქ, IV 3, 6.

### აქტივობა 1: (10 წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ, დაუკვირდნენ და ყურადღებით წაიკითხონ სახელმძღვანელოში სავარჯიშო №2, ინდივიდუალურად შეასრულონ ეს დავალება. (მათ შინაარსობრივი თანმიმდევრობით უნდა დააღაგონ კოხტა აბხაზის მოგონება ილი ქაჭავაძეზე). შემდეგ, ერთ ან ორ მოსწავლეს წავაკითხოთ ხმამაღლა. მოსწავლეებს დავაკვირდეთ და შევაფასოთ განმავითარებელი შეფასებით.

### აქტივობა 2: (25 წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ დაჯგუფდნენ. №1 და №3 ჯგუფმა მოიძიოს, რა მსგავსებაა ნიკო ლორთქიფანიძისა

და კოხტა აბხაზის ტექსტებს შორის, ხოლო №2 და №4 ჯგუფმა – რა განსხვავებაა ამ ტექსტებს შორის. სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფებიდან ვთხოვთ პრეზენტატორებს, წარმოადგინონ ნამუშევრები. ჩვენ ისინი ჩამოვწეროთ დაფაზე:

**მსგავსება**

**განსხვავება**

კოხტა აბხაზის მოგონება	ნიკო ლორთქიფანიძის „ბუნების შვილი“	კოხტა აბხაზის მოგონება	ნიკო ლორთქიფანიძის „ბუნების შვილი“
<p>ა) აღწერს ილიას ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს.                  ბ) გამოკვეთს ილიას პიროვნულ სახე-ხასიათს.                  გ) თხრობითი ფორმით გადმოგცემს სათქმელს.                  დ) ლიტერატურული ენით გადმოგცემენ სათქმელს.</p>		<p>ა) იწყება პირდაპირ ამბით.                  ბ) კოხტა აბხაზი თვითმხილველია და მონაწილე იმ ამბისა, რომელსაც მოგვითხრობს.                  გ) კოხტა აბხაზი ფოტოგრაფიული სიზუსტით გადმოგცემს, რაც მოხდა.                  დ) კოხტა აბხაზი არ იყენებს მხატვრულ ხერხებს.                  ე) მთხრობელი უბრალოდ ყვება ამბავს.</p>	<p>ა) იწყება ბუნების სურათის აღწერით.                  ბ) მწერალი არ არის მონაწილე იმ ამბისა, რომელსაც მოგვითხრობს.                  გ) მწერალი თავისი ფანტაზიით ცვლის ამბავს, განაგრძობს ილიას ნათქვამს.                  დ) მწერალი იყენებს მხატვრულ ხერხებს, მეტყველებს სადა, დახვეწილი ლიტერატურული ენით. ამის მაგალითია I აბზაცი მთლიანად.                  ე) მწერალი სიტუაციას მიზანმიმართულად დაბავს, რომ საინტერესო გახდეს თხრობა.</p>

**დავსვით შეკითხვა:**

- რას დაასკვნით ზემოთ წაკითხულიდან?
- ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის წყარო შეიძლება გახდეს რომელიმე პირის მოგონება. ამ შემთხვევაში ნ. ლორთქიფანიძე, ალბათ, სწორედ კოხტა აბხაზის მოგონებამ შთააგონა დაენერა ილიაზე ეს ნაწარმოები.

**აქტივობა 3: (7 წთ.)**

**სავარჯიშოებზე მუშაობა:** ა) ნიმუშის მიხედვით სახელის ბრუნება. ბ) წინადადების დასრულება.

**განმავითარებელი შეფასება:** მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**შესრულებული სამუშაოს შეფასება: (3 წთ.)**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- კოხტა აბხაზის მოგონება (ნაწყვეტი) დავალაგეთ შინაარსობრივი თანმიდევრობით, დალაგებული ტექსტი შევადარეთ ნ. ლორთქიფანიძის „ბუნების შვილს“ და ამ ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებანი ჩამოვყალიბეთ, შევაჯამეთ გაკვეთილზე ჩატარებული სამუშაო და გავაკეთეთ დასკვნა, ვაბრუნეთ სახელი ნიმუშის მიხედვით, დავასრულეთ წინადადება.

**წერიტი დავალება:** მოსწავლეებს ვთხოვთ დანერონ კოხტა აბხაზის მსგავსი მოგონება მათთვის საინტერესო ადამიანზე (აღწერილი ამბის მონაწილე, თვითმხილველი აუცილებლად თავად უნდა იყვნენ).

შემდეგ გაკვეთილზე მოვისმინოთ მოსწავლეთა ნამუშევრები და ვთხოვთ, გაუცვალონ ერთმანეთს, რათა თითოეულმა მათგანმა დანეროს პატარა მოთხრობა თავისი მეწყვილის ნამუშევარზე დაყრდნობით. ამის ნიმუშად ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობა აქვთ.

**შევთავაზოთ გეგმა:**

- 1) დასაწყისი: ბუნების სურათის აღწერა.
- 2) მოვლენის, ამბის დასაწყისი, განვითარება, დასასრული (შეეცადონ თანდათან დაძაბონ სიტუაცია).
- 3) დასასრული: აღწერილი ამბის შესახებ გამოვთქვათ მოსაზრება.

## ინტერვიუ

### მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება,** საკომუნიკაციო ამოცანის განსაზღვრა და შესაბამისი სამეტყველო ქცევის წარმართვა, ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.

**წერილი მეტყველების გამოყენება:** ინტერვიუსათვის მზადება: კითხვების ჩამონერა, საკუთარი ნაწერის გასწორება, გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორი ფორმების გამოყენება.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV 1, 4, 9 (11), 10 (13) 14.

**რესურსები:** კალმები, რვეულები ან ბლოკნოტები (ინტერვიუს ჩასაწერად შეიძლება გამოვიყენოთ მაგნიტოფონი, დიქტოფონი ან მობილური ტელეფონი).

მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე დაამუშავეს ინტერვიუს განმარტება, წაიკითხეს წარმოსახვითი ინტერვიუ არტურ ლაისტან. ამ გაკვეთილზე კი მათ დაევალებათ თავი წარმოიდგინონ ჟურნალისტებად და მოემზადნენ თანაკლასელთან ინტერვიუსათვის. მოსწავლეთა დახმარებით დაფაზე ჩამოვწეროთ, თუ რა არის საჭირო და აუცილებელი იმისათვის, რომ ინტერვიუმ წარმატებით ჩაიაროს.

- 1) უნდა ავირჩიოთ ადამიანი, რომლისგანაც ავიღებთ ინტერვიუს.
- 2) წინასწარ ჩამოვწეროთ შეკითხვები.
- 3) ინტერვიუ ჩავინეროთ ბლოკნოტში, დიქტოფონზე ან მობილურ ტელეფონზე.
- 4) რესპოდენტს მოვუსმინოთ ყურადღებით.
- 5) ინტერვიუს ჩაწერის დროს, რესპოდენტის პასუხებიდან გამოვდინარე, თუ საჭიროდ ჩავთვლით, შევცვალოთ შეკითხვა.
- 6) რესპოდენტს მივმართოთ თავაზიანად: ქალბატონო, ბატონო.
- 7) საუბრის დროს ვიყოთ გულწრფელნი.
- 8) გავაცნობიეროთ პასუხისმგებლობა რესპოდენტის წინაშე.  
და ა.შ.

მოსწავლეებს ვურჩიოთ, რომ ინტერვიუს წინ ჩაატარონ წინასწარი სამუშაოები. მაგ: მოიძიონ ამ თემასთან დაკავშირებით მასალა, რაზედაც საუბარს აპირებენ. ჩგარკვეული წარმოდგენა შეიქმნან იმ ადამიანზე, ვისთან საუბარსაც აპირებენ. შეეცადონ ხალისიანი განწყობით მიუდგნენ საქმეს, დასვან ისეთი შეკითხვები, რომლებიც თანამოსაუბრეს მისცემს გახსნილად საუბრის საშუალებას.

ინტერვიუს დასრულების შემდეგ აუცილებელია მასალის ყურადღებით წაკითხვა და გასწორება. არსებითი ყურადღება მიაქციონ ინტერვიუს ჩაწერის ფორმას: კითხვა-პასუხის წინ იწყება ტირე, შეკითხვა შრიფტით, შეფერვილობით უნდა განსხვავდებოდეს პასუხისაგან.

ნამუშევარი, განხილვის შემდეგ, შეუძლიათ გამოაქვეყნონ საკლასო, სასკოლო, სარაიონო გაზეთებში. მომდევნო გაკვეთილი დაეთმობა მომზადებული ინტერვიუს პრეზენტაციას.

## გალაკტიონ ტაბიძე – „მრავალ ახალ წელს“

### მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** საუბარი ახალ წელზე, საახალწლო სურვილების წერილობით ჩამოყალიბება.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** ლექსის წაკითხვა და გაანალიზება, ფრაზების განმარტება.

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** ლექსის შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

**ენობრივ მასალაზე დაკვირვება:** ზმნების გადაყვანა მრავლობით რიცხვში, დეფინიან ფორმათა მართლწერა ორფუძიან სიტყვებში.

**წერილი უნარების განვითარება:** აზრის ჩამოყალიბება და გადატანა რვეულში.

**რესურსები:** კალმები, რვეულები, სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV 3, 6, 7.

### აქტივობა 1: ( 10 წთ.)

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ვთხოვოთ, 5 წუთის განმავლობაში დაწერონ, თუ როგორი განწყობით ხვდებიან ახალ წელს, რას უსურვებენ საკუთარ თავს, ერთმანეთს, ოჯახის წევრებს.

ორ-სამ მოსწავლეს წავაკითხოთ ნამუშევრები. შემდეგ აფუხსნათ, რომ ისინი გაეცნობიან გალაკტიონ ტაბიძის ლექსს, რომელშიც პოეტის საახალწლო სურვილებია ჩამოყალიბებული.

### აქტივობა 2: (15 წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ, დამოუკიდებლად წაიკითხონ ლექსი, შემდეგ კი დავსვათ შეკითხვები:

- როგორ გზას და როგორ ველს უსურვებს პოეტი თავის ქვეყანას?
- პოეტი თავის ქვეყანას უსურვებს ვაზეზიან გზას და მტევნებიან ველს, იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ვაზით არის ძლიერი.
- თქვენი სიტყვებით გადმოცით შემდეგი სტრიქონის შინაარსი: „მშვიდობა და მზე თქვენს მარჯვენა ხელს“.
- გალაკტიონი ლოცავს მშრომელი, გამრჯე ადამიანის მარჯვენას, უსურვებს მშვიდობასა და მზეს, ანუ სიბოროს, სიცოცხლეს იმიტომ, რომ ამ მარჯვენამ უნდა მოუაროს ვაზს, ვენახს.
- რას გულისხმობს პოეტი მშვენიერ ცაში?
- სამშობლოს ცას.
- თქვენ რას უსურვებთ სამშობლოს ახალ წელს?
- მშვიდობას, ძლიერებას, ხვავს, ბარაქას, სიმდიდრეს.
- მოგეწონათ ლექსი? ახსენით რატომ!

მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ ემოციებს, ასახულებენ, რატომ მოეწონათ, ან არ მოეწონათ ლექსი.

შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს, სურვილისამებრ, წავაკითხოთ ლექსი ხმამაღლა, ინტონაციით.

### აქტივობა 3: (8წთ)

მოსწავლეებს მივცით დამოუკიდებელი სამუშაო (სავარჯიშო №1).

სამუშაოს დასრულების შემდეგ წავაკითხოთ იგი რამდენიმე მოსწავლეს, სხვებს კი ვთხოვთ, შეამონონ თავიანთი ნამუშევრები.

შეგვიძლია, შევაფასოთ ის მოსწავლეები, რომლებიც წაიკითხავენ მოცემულ სავარჯიშოს.

### აქტივობა 4: (8წთ)

მოსწავლეებს ვთხოვთ, წყვილებში შეასრულონ სავარჯიშო №2.

წავაკითხოთ რამდენიმე წყვილს და ვთხოვთ, აგვიხსნან, რატომ დაწერეს ესა თუ ის სიტყვა დეფისით. მოსწავლეები ახსნიან.

### შესრულებული სამუშაოს შეფასება: (4 წთ).

რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?

აღვწერეთ, როგორ ვხვდებით ახალ წელს, ჩამოვყალიბეთ ჩვენი სურვილები, წავიკითხეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მრავალ ახალ წელს“ და გავაანალიზეთ შემდეგ ინტონაციურად წავიკითხეთ ხმამაღლა, შევასრულეთ სავარჯიშოები: მხოლოდით რიცხვში მოცემული სიტყვები გადავიყვანეთ მრავლობით რიცხვში, დავსვით დეფისი ორფუძიან სიტყვებში, ხოლო სადაც იგი ზედმეტი იყო, ამოვიღეთ.

### განმავითარებელი შეფასება:

გავაკეთოთ ჩანიშნები მოსწავლეთა შესაფასებლად დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:** გალაკტიონ ტაბიძის ლექსი ზეპირად.

## ნაკოზ გობეჯაშვილის ბიოგრაფია — საბულისხმო ცნობა

### მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** ტექსტის ადეკვატური აღქმა; მსჯელობა ტექსტში დასმულ პრობლემაზე მოცემული ლექსიკის გამოყენებით, პრობლემის შეფასება, საკუთარი ემოციების, განცდების გამოხატვა და მათი ახსნა.

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** ტექსტის წაკითხვა და გაგება, მსჯელობისათვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმების შერჩევა.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** ტექსტში მოცემული ხატოვანი გამონათქვამების მოძიება და ახსნა.  
**საზოგადოებრივი უნარების განვითარება:** მსგავს თემაზე შექმნილი ტექსტის დაკავშირება ძირითად ტექსტთან.  
მოვლენის განზოგადება.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, კალამი, რვეულები, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ (ნაწყვეტი) — ქსეროასლი.

(შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ქ. IV 2, 3, 8)

**აქტივობა 1:** (7წთ.) — მუშაობა კლასთან.

მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე ნაიკითხეს იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია.

გაკვეთილი დაიწყო იაკობ გოგებაშვილის შესახებ ინფორმაციის გახსენებით.

დავსვით შეკითხვა:

რა ვიცი იაკობ გოგებაშვილის შესახებ?

- იყო დიდი პატრიოტი.
- იყო მწერალი, საზოგადო მოღვაწე.
- დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ სემინარია.
- დაასრულა ქ. კიევის სასულიერო აკადემია.
- იყო მასწავლებელი, პედაგოგი.
- ავტორია „დედაენისა“, „ბუნების კარისა“, „Русское Слово“-სი.
- იყო ბავშვების უსაყვარლესი პედაგოგი.

გონებრივი იერიშის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ყურადღება გავამახვილებინოთ იმ ფაქტზე, რომ ი. გოგებაშვილი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა სკოლას. ავხსნათ: რამდენადაც იმ დროს საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად ითვლებოდა, როგორც ყველა დაპყობილ ქვეყანაში, საქართველოშიც რუსეთი თავის თვითმპყრობელურ პოლიტიკას ახორციელებდა. სწავლა-განათლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც მიზნად ისახავდა ქართველებს ქართული ენა, ეროვნული კულტურა და ტრადიციები დავიწყებოდათ. ი. გოგებაშვილს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა ქართულ სკოლებში გაბატონებული რეჟიმი და იბრძოდა მის წინააღმდეგ.

**აქტივობა 2** (18 წთ.) — მუშაობა ინდივიდუალურად და კლასთან.

მოსწავლეებს ვთხოვთ, ნაიკითხონ საგულისხმო ცნობის I აბზაცი (სახელმძღვანელო, გვ.2). ყურადღება მი-  
აქციონ, როგორ პირობებში სწავლობდნენ ი. გოგებაშვილის დროს მოსწავლეები.

მონაკვეთის ნაიკითხვის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, ორიოდე წინადადებით გადმოგვცენ, რა დაასკვნეს:

- როგორ პირობებში სწავლობდნენ ი. გოგებაშვილის დროს ბავშვები?
- მოცემული მონაკვეთიდან დავასკვნით, რომ იმ დროს მოსწავლეებს წკეპლითა და შიმშით სცემდნენ.
- რა არის შიმში? (დაიხმარეთ განმარტება და ისე უპასუხეთ!).
- ხის იარაღი, რომელსაც ხმარობდნენ ხელოსნები კედლის სისწორის შესამოწმებლად. მოცემულ მონაკვეთში: ხის მსხვილი, გრძელი ჯოხი.
- რა არის შეგირდი?
- იგივეა, რაც მოსწავლე, მონაფე.
- რა მოსთხოვა მკაცრად ი. გოგებაშვილმა პედაგოგებს?
- ი. გოგებაშვილმა პედაგოგებს მკაცრად მოსთხოვა წკეპლა და შიმში, ანუ ჯოხი აღარ გამოეყენებინათ მოსწავლეთა დასასჯელად.
- რა უფლება ჰქონდა ი. გოგებაშვილს მასწავლებლებისათვის მკაცრად მოეთხოვა მოსწავლეთა დასჯის აღკვეთა?
- ი. გოგებაშვილი სემინარიის ინსპექტორად აირჩიეს. ეს კი ნიშნავს, რომ იგი იყო თანამდებობის პირი, რომელიც თვალყურს ადევნებდა სასულიერო სემინარიის საქმიანობას, ანუ იყო სემინარიის ზედამხედველი. სწორედ ეს აძლევდა მას ამგვარი მოთხოვნის საფუძველს.

კითხვა—პასუხის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, დაასრულონ საგულისხმო ცნობის კითხვა, შემდეგ კი ისევ დავსვით კითხვები:

- რომელ ფრაზაშია გამოხატული ი. გოგებაშვილის ემოცია ამ მოთხოვნის წარმოთქმის დროს. მოძებნეთ და ნაიკითხეთ!
- ისეთი კილოთი და თვალთა გიზგიზით იყო წარმოთქმული, რომ მის ნებას ვერავინ გადავიდოდა.
- მასწავლებელთათვის ეს მოთხოვნა მოწმენდილ ცაზე მქნის გავარდნის მსგავსი იყო, ანუ სრულიად მოულოდნელი. რომელი ფრაზები ადასტურებს ამას? ნაიკითხეთ!
- „აღბათ, მზის დასავლეთიდან ამოსვლაც არ განაცვიფრებდათ ასე, არც მდინარეთა აღმასვლა, არც დღისა და ღამის პირშექცევა“.

- რა ნიშნით ამსგავსებს ტექსტის ავტორი სასწავლებელს „საჯალათოს“? განმარტეთ, რა არის „საჯალათო“?
- „საჯალათო“ არის დაწესებულება, სადაც ადამიანებს აწამებენ, ტანჯავენ. ტექსტის ავტორიც იმის გამო, რომ სასწავლებლებში მოსწავლეებს ცემდნენ და ტანჯავდნენ, უწოდებს მას „საჯალათოს“.
- რისთვის იბრძოდა დიდხანს ი. გოგებაშვილი?
- იმისათვის, რომ „ნორჩ სულთა საჯალათო ნამდვილი სასწავლებლისათვის დაემსგავსებინა“.

იმისათვის, რომ უკეთ გაიგონ, რატომ უწოდებს ტექსტის ავტორი სასწავლებელს „ნორჩ სულთა საჯალათოს“, გავაცნოთ აკ. წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“ ამოკრებილი მასალის ქსეროასლები. დაფურცოთ და ვთხოვოთ, წაიკითხოთ.

### **აკაკი წერეთელი – „ჩემი თავგადასავალი“** (ნაწყვეტი)

„იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიაშიც, რა-საკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ იქნებოდა, რომ ყმანვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. „როტაში“ არ უხდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითვე კლასში. „სტოროჟებს“ ურმებით მოჰქონდათ ყოველ დღე ახალ-ახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო, დირექტორიდან დაწყებული „სტოროჟებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასწეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ!... ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს“ სხვადასხვა უფროსისაგან. მასხოვს და არც დამავინწყდება: ერთი რუსის ბავშვი იყო — კრიჟანოვსკი, ძლიერ მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვეებ კარგი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვლა და დირექტორმა „გაროზგვინა“; იმ დღეს გაკვეთილი არ იცოდა და მასწავლებელმა „გაროზგვინა“; სწავლა რომ გათავდა, ზედამხედველმა „გაროზგვინა“, სახლში გიცელებინა და მეზობლის ბავშვისათვის ქვა გისროლია — გიჩივლესო! ამითაც ვეღარ გადარჩა. ყველამ ერთად დააბეზლა ინსპექტორთან და იმანაც მოუნდომა „გაროზგვა“. ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთამხუთავისა. კრიჟანოვსკიმ, ტანჯვა რომ ვეღარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვევით არ დასწრებოდა ერთი მეგრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცურავი, დაილუპებოდა. ისე ცემა-ტყეპას ხომ ანგარიში არ ჰქონდა. ვაი მისი ბრალი, ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა. ერთ ყმანვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდე აახლირა ყური; გაუსივდა და მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუნყო შეხორცება, მაგრამ ვინ აცალა შეხორცება! სტაცებდნენ ხელს და ხელახლა აგლეჯდნენ... ასე რომ, გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს — მასწავლებელმა პირით დაჰკრა შუბლზე „ლინიეკა“ და თავთხლე გადაადინა, ძვალაც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავშვი შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანები უთვალავი იყო“.

მასალის წაკითხვის შემდეგ დავსვათ კითხვა:

- რა გაიგეთ წაკითხულიდან? მიხვდით, რატომ შეიძლება ეწოდოს სკოლას, სასწავლებელს „ნორჩ სულთა საჯალათო“?
- მიხვდით. მასალიდან გავიგეთ, რომ აკაკი წერეთლის სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლეთა უმიზეზოდ გალახვა შეეძლო ყველას — დირექტორიდან დაწყებული „სტოროჟამდე“. ხშირად ერთი მოსწავლე დღეში რამდენჯერმეც კი იროზგებოდა. ასეთ დროს მოსწავლეები საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ-ხოლმე. მაგალითად, ვინმე კრიჟანოვსკიმ თავის მოკვლაც კი განიზრახა, ერთ მოსწავლეს, კლდიაშვილს, თავის ძვალი გაუტყდა „ლინიეკით“ და ა.შ.
- რით ამართლებდა რუსეთი როზგის აუცილებლობას სკოლაში? — წაიკითხეთ!
- იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ „ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო“.

მიუზღუნდეთ ისევ საგულისხმო ცნობას და მოსწავლეები დავაფიქროთ, იაკობ გოგებაშვილის დამსახურებაზე, თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ სკოლებში როზგისა და შიმშის აკრძალვას.

- გადახედეთ მწერლის ბიოგრაფიას. კიდევ ერთხელ, შეაჯერეთ წინა და ახალი მასალა და უპასუხეთ, იაკობ გოგებაშვილის რა თვისებები წარმოჩნდა?
- იგი გულისხმიერი ადამიანი იყო, სამაგალითო პედაგოგი. თითოეულ მოსწავლეზე ფიქრობდა, ზრუნავდა. იცოდა, რომ ცემა მოსწავლეს არა მხოლოდ ფიზიკურად დააზიანებდა, არამედ მის სულსაც ავნებდა – გახდიდა მას გულჩათხრობილს, ზოგს გააბოროტებდა კიდევ...

### **აქტივობა 3 (7წთ.) — ინდივიდუალური მუშაობა.**

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ვთხოვთ დაწერონ, თავად როგორ სკოლაში სწავლობენ, რით ჰგავს მათი სკოლა გოგებაშვილისდროინდელ სკოლას, როგორი მასწავლებლები ასწავლიან და ა.შ. ამისათვის მიეცეთ 5წთ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ კი რამდენიმე მოსწავლეს წავაკითხოთ ნამუშევარი.

### შესრულებული სამუშაოს შეფასება: (3წთ.)

- რა სამუშაო შეასრულეთ დღეს?
- გავიხსენეთ ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია, რომელიც წინა გაკვეთილზე ვისწავლეთ. წავიკითხეთ „საგულისხმო ცნობა“ და ვიმსჯელოთ მასში დასმულ პრობლემებზე, ვუპასუხოთ დასმულ კითხვებს. განვმარტეთ ფრაზები. ყურადღება მივაქციეთ ხატოვან გამოთქმებს. წავიკითხეთ დამატებითი მასალა აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლიდან“ და დავუკავშირეთ ძირითად ტექსტს. ჩვენი მოსაზრებები სკოლასთან დაკავშირებით დავწერეთ და შემდეგ წავიკითხეთ.

### განმავითარებელი შეფასება:

მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე დაკვირვებითა და ჩანიშვნებით, შეგვიძლია გამოვიყენოთ კომენტარებიც.

**საშინაო დავალება:** სავარჯიშო 1,2,3.

## ანა კალანდაძის „რა მოგნონს უფრო?“

### მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** საუბარი ლექსის შინაარსის ირგვლივ, კითხვებზე პასუხის გაცემა, სიტყვებისა და ფრაზების განმარტება, ლექსის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** მითითებულ ტექსტში სტროფების მოძებნა, ლექსის გაანალიზება, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა.

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** ლექსის წაკითხვა და გაგება. მისი ლექსიკური დამუშავება, ლექსის ესთეტიკური და ეთიკური შეფასება.

**რესურსები:** დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, რვეულები, კალმები, მარკერი.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV 3, 6, 7

**აქტივობა 1:** (5 წთ.) – მუშაობა კლასთან

გაკვეთილის დასაწყისში ცოდნის გააქტიურების მიზნით მოსწავლეებს გავახსენოთ, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ანბანის შესწავლა, წერა-კითხვა დავიწყეთ „დედაენით“, და დავსვათ კითხვა:

- ყველაზე მეტად რა მოგნონს „დედაენაში“? რატომ?

მოვისმინოთ პასუხები:

აი ია. იმიტომ, რომ ძალიან შთამბეჭდავია — ორი ასო-ბგერისაგან წინადადება შედგება.

ანდაზები და გამოცანები. იმიტომ, რომ ძალიან სახალისო იყო მათი სწავლა.

ფერად-ფერადი ნახატები, სურათები. ძალიან მომწონდა მათი აღწერა.

„კეთილი სანდალა“. იმიტომ, რომ გვასწავლის სიკეთეს.

დასურათებული ტექსტები. იმიტომ, რომ ადვილად იკითხებოდა და ა.შ.

პასუხების მოსმენის შემდეგ მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ დღეს ისინი წავიკითხავთ ანა კალანდაძის ლექსს „რა მოგნონს უფრო?“. წინასწარ ვუთხრათ, რომ ლექსის თითოეული სტრიქონი „დედაენით“ არის შთაგონებული და ჩვენს ბავშვობას, „დედაენის“ სამყაროსთან ზიარების პირველ დღეებს გვახსენებს.

**აქტივობა 2:** (10წთ.) — მუშაობა ინდივიდუალურად და კლასთან.

მოსწავლეებს ვთხოვთ, წავიკითხოთ ლექსი, შემდეგ კი დავსვათ კითხვები:

- მოგეწონათ ლექსი?

- ძალიან.

- ვის უძღვნის პოეტი ლექსს?
- პატარა გოგონას, ვიოლას.
- როგორ ახასიათებს პოეტი გოგონას, რომელიც მოხიბლულია „დედაენის“ კითხვით?
- ფუნთუშა ლოყები დასწითლებია: „ფუნთუშა ლოყებს დაუგზნია ჭიაკოკონა“.
- რომელი სიტყვებით გამოხატავს პოეტი აღერსსა და მოფერებას გოგონას მიმართ?
- „ვარდო, გაშლილო დედის ლხენაში“, ანუ დედის სალხენად, გასახარად გაზრდილო.
- როგორ გესმით ფრაზა: „ნიგნი მოლალე“? რით შეიძლება პატარა გოგონამ ნიგნი მოლალოს?
- „ნიგნი მოლალე“, ანუ ნიგნი დალალე ბევრი კითხვით, ფურცვლით, თვალიერებით.

**აქტივობა 3: (12წთ.) — მუშაობა ჯგუფებში**

მოსწავლეებს ვთხოვთ, დაჯგუფდნენ და ერთად იმუშაონ შემდეგი დავალების შესასრულებლად:

- ახსენით, რატომ უწოდებს პოეტი პატარა გოგონას „გრძნობაფაქიზს“. დაიხმარეთ ლექსის შესაბამისი სტრიქონები!

მოსწავლეები დაჯგუფდებიან. შესურველია, თითო ჯგუფში იყოს არაუმეტეს 4-5 მოსწავლისა. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფთან მიდის და ეხმარება შესაბამისი სტრიქონის მოძიებაში. სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფებიდან თითო მოსწავლეს წაკითხვას თითო ან ორ სტრიქონს, რომ ყველა ჯგუფი აქტიურად მონაწილეობდეს წარდგენაში. ჯგუფები, სავარაუდოდ, უპასუხებენ, რომ გოგონას პოეტი „გრძნობაფაქიზს“ იმიტომ უწოდებს, რომ ის ძალიან ფიქრიანია, დედაენით მოხიბლული დარდობს: რატომ სთხოვს მელია ჩიტს ბარტყებს, რად გააგდეს მჩხავანა კატა... დედას უამბობს სამი კნუტის თავგადასავალს, ეალერსება ფერად სურათებს, ნიგნიდან ესმის მერცხლის ჭიკჭიკი...

**აქტივობა 4: (5წთ.) — მუშაობა კლასთან.**

- როგორ არიგებს პოეტი პატარა ვიოლას?
- „ისწავლე, ჩემო, შენი ქვეყნის მტერი, მოყვარე! გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა!“
- თქვენი აზრით, რა დანიშნულება აქვს ლექსის ბოლო ორ სტრიქონს?
- ამ ორი სტრიქონით პოეტი ასრულებს ლექსს და იმეორებს მთავარ კითხვას: „რა მოგწონს უფრო?“ რაც სათაურშივეა გამოტანილი.
- რაზე დაგაფიქრათ ლექსმა?
- პირველი კლასი გაგვახსენა. ის დღე, როცა პირველად ავიღეთ ხელში „დედაენა“.
- ლექსის წაკითხვის შემდეგ დავფიქრდი, მეც ვდარდობდი თუ არა მჩხავანა კატის ან ჩიტი-ჩიორას ბედზე.
- შინ რომ დავბრუნდები, დედას ვკითხავ, ხომ არ ახსოვს, რით ვიყავი მაშინ ყველაზე მეტად მოხიბლული და ა.შ.

გაკვეთილის ბოლოს 1-2 მოსწავლეს წავაკითხოთ ლექსი ხმამაღლა.

**გაკვეთილის შეფასება: (3წთ.)**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- წავიკითხეთ ანა კალანდაძის ლექსი „რა მოგწონს უფრო?“ ვუპასუხეთ ლექსის შესახებ დასმულ შეკითხვებს. განვმარტეთ ფრაზები ლექსიდან. ჯგუფებში ჩამოვაცალიბეთ პასუხი დასმულ შეკითხვაზე. ვისაუბრეთ, რაზე დაგვაფიქრა ლექსმა. გამოვთქვით საკუთარი დამოკიდებულება ლექსის მიმართ.

**განმავითარებელი შეფასება:**

მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:**

ლექსის სტროფები შერჩევით ზეპირად!

# ჰინ არის ადამიანი

(ძველი არაბული იგავი)

## მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** იგავის აღქმა, ტექსტის შინაარსის გადმოცემა ავტორისეული ლექსიკის გამოყენებით, მთავარი აზრის გამოყოფა, მსჯელობა ტექსტში დასმულ პრობლემებზე, ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება მეტყველებაში — პირდაპირი ნათქვამის გადმოცემა ირიბად.

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** ნაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

**წერილი უნარების გავარჯიშება:** შესწავლილი ტექსტის შინაარსის დანერა. სიუჟეტის განსხვავებული დასასრულის წერილობითი ვერსიის შექმნა.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, რვეული, კალამი.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV 2,4,7,12

**აქტივობა 1:** (5წთ.) — მუშაობა კლასთან.

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით დავსვათ კითხვა:

➤ თქვენი აზრით, ვის შეიძლება ეწოდოს ადამიანი, ანუ როგორი უნდა იყო, რომ ადამიანი გინოდონ? მოსწავლეთა პასუხები ჩამოვწეროთ დაფაზე: ადამიანად რომ იწოდებოდე, უნდა იყო:

კეთილი  
მონყალე  
ღვთისმოსავი  
გულისხმიერი  
ჭკვიანი  
მეოცნებე  
და ა.შ.

პასუხების მოსმენისა და დაფაზე დაფიქსირების შემდეგ მოსწავლეებს ავუხსნათ, რომ დღეს ისინი ნაკითხვავენ ძველ არაბულ იგავ-არაკს “ვინ არის ადამიანი”, რომლის მოქმედი გმირი მათთვის კარგად ცნობილი ძველი ბერძენი მეიგავე ეზოპეა. იგი ქრისტემდე VI საუკუნეში ცხოვრობდა.

**აქტივობა 2:** (18წთ.) — მუშაობა ინდივიდუალურად და კლასთან.

ვთხოვოთ, ნაკითხონ ტექსტი, შემდეგ კი დავსვათ შეკითხვები:

- რა აინტერესებდა დიდებულს?
- აბანოში ბევრი ხალხი იყო თუ არა.
- რა მოახსენა ეზოპემ?
- რომ აბანოში მხოლოდ ერთადერთი ადამიანი ნახა.
- რა დახვდა აბანოში მისულ დიდებულს?
- დიდებულს აბანო ხალხით სავსე დახვდა.
- რა უსაყვედურა მან ეზოპეს?
- თუ რატომ მოატყუა.
- რა უამბო ეზოპემ დიდებულს?

მოსწავლეებს ჯერ ხმამაღლა წავაკითხოთ ტექსტის მოცემული მონაკვეთი, შემდეგ კი ვთხოვოთ, პირდაპირი ნათქვამი გადმოგვცენ ირიბად.

ეზოპემ დიდებულს უთხრა, რომ ტყუილს არ აკადრებდა და უამბო, რომ ნახა აბანოს წინ ერთი დიდი ქვა. ამ ქვას გვერდს ვერავინ აუვლიდა ისე, რომ ფეხი არ წამოეკრა და არ წაქცეულიყო. ყოველი წაქცეული დგებოდა და უშვერი სიტყვებით იგინებოდა, მხოლოდ ერთი ადამიანი აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც ქვას ფეხი წამოჰკრა და არ შეიგინა. უფრო მეტიც, დასწვდა მას და შორს მოისროლა. ეზოპემ დიდებულს უთხრა, რომ, მართალია, აბანოში ბევრი ხალხი იყო, მაგრამ წამდვილი ადამიანი მათში მხოლოდ ეს ნახა.

- იგავის მიხედვით, ვის თვლის ეზოპე წამდვილ ადამიანად?
- ადამიანად თვლის თავშეკავებულსა და გულისხმიერს, სხვაზე მზრუნველს.
- თქვენი აზრით, რა შეიძლება იგულისხმებოდეს სიტყვა “ადამიანში”?
- ადამიანში, ალბათ, იგულისხმება ღვთის მსგავსება, რადგან უფალმა თავის მსგავსად შეგვქმნა და სულიც თავისი შთავებერა. ადამიანი გულისხმიერი, კეთილი, თავშეკავებული უნდა იყოს. მან არა მარტო საკუთარ

თავზე უნდა იზრუნოს, არამედ სხვაზეც. ეს აქცევს სწორედ ადამიანად, თორემ თავისთვის პირუტყვებიც კი ცხოვრობენ.

- ეთანხმებით ეზოპეს აზრს ნამდვილ ადამიანთან დაკავშირებით? მოვისმინოთ მოსწავლეთა აზრი.
- თქვენ ვინ მიგაჩნიათ ნამდვილ ადამიანად? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს.
- რა პრობლემაა დასმული წაკითხულ იგავ-არაკში?
  - იგავ-არაკში დასმულია ნამდვილი ადამიანის პრობლემა.
- რისი თქმა უნდოდა მეიგავეს ამ ნაწარმოებში?
  - ადამიანი იმიტომ გენოდა, რომ ღვთის მორჩილი და სხვაზე მზრუნველი იყო.
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად იგავში: ამბავი, თუ პერსონაჟის საქციელი?

**აქტივობა 2:** (19წთ.) — მუშაობა ინდივიდუალურად

მოსწავლეებს ვთხოვთ, დაწერონ ტექსტის შინაარსი, ოღონდ განსხვავებული დასასრულით.

სამუშაოს დასრულების შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს წავაკითხოთ ნამუშევარი და ვთხოვთ, აგვიხსნან, რატომ დაასრულეს ასე.

**შესრულებული სამუშაოს შეფასება:** (3წთ.)

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?  
წაკითხეთ ძველი არაბული იგავი, რომლის მთავარი გმირი ბერძენი მეიგავე ეზოპე იყო. ვუპასუხეთ ტექსტის ირგვლივ დასმულ კითხვებს. გავაანალიზეთ იგავი, ვიმსჯელოთ ტექსტში დასმულ პრობლემებზე. დავწერეთ ტექსტის შინაარსი განსხვავებული დასასრულით.

**განმავითარებელი შეფასება:**

მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:**

იგავი თხრობით.

## დღეს რა ვჭამოთ, ხვალ რა ვჭამოთ?

(ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია ადამიანი?!“ მიხედვით)

**მიზნები:**

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა; აფორიზმებისა და გამონათქვამების დაკავშირება ტექსტთან და მსჯელობა; ტექსტის მთავარი აზრის გამოყოფა.

**სააზროვნო უნარების განვითარება:** პრობლემის განზოგადება.

**რესურსები:** ბარათებზე დაწერილი აფორიზმები და გამონათქვამები, კალმები.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. 3,7

**აქტივობა 1** (15 წთ.) — მუშაობა ჯგუფებში

მოსწავლეებმა ტექსტი წაკითხეს წინა გაკვეთილზე, იმუშავეს სიტყვების განმარტებებზე; ამ გაკვეთილზე კი ისინი ტექსტს გააანალიზებენ, იმსჯელებენ პრობლემურ საკითხებზე. ამისათვის კლასი დავყოთ რამდენიმე ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს მივცეთ დავალება, ბარათებზე დაწერილი.

**დავალებები:**

№1. ლუარსაბის პორტრეტი. იმსჯელოთ, რა ნიშნით ადარებს მწერალი ლუარსაბს პირუტყვს!

№2. ლუარსაბის აზრით, კაცი ძირგავარდნილი ქვევრია. რატომ ფიქრობს ლუარსაბი ასე? ეთანხმები თუ არა მას? რატომ?

№3. „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა — სიბნელე“ — ილია ჭავჭავაძე.

„სწავლა ცხოვრებაში ხმალია და, როგორც მეომარი არ ვარგა უხმლოდ, ისე კაცი უსწავლოდ“ — ვაჟა ფშაველა.  
„სწავლა ადამიანს დაუახლოებს ღმერთს“ — აკაკი წერეთელი.

ამ გამონათქვამებზე დაყრდნობით იმსჯელეთ ლუარსაბზე!

№4. იმსჯელეთ, რა არის ლუარსაბისა და დარეჯანის კამათის საგანი! როგორ ახასიათებს ეს მონაკვეთი მათ? შეეცადეთ, იპოვოთ მათში დადებითი თვისებაც!

№5. გავრცელებულია აზრი, რომ ბევრ ქართველში დღესაც ცოცხალია თათქარიძისეული დაუდევრობა, სიზარმაცე და უდარდებლობა. იმსჯელეთ ამ საკითხზე! დაასაბუთეთ თქვენი თვალსაზრისი! (შეიძლება არ გაიზიაროთ მოცემული მოსაზრება!)

ბარათების ჯგუფებისათვის განაწილების შემდეგ მივცეთ დრო სამუშაოდ. თითოეულ ჯგუფს მაქსიმალურად დაეცხმაროთ აზრის ჩამოყალიბებაში, მივაშველოთ მზა წინადადებებიც.

## აქტივობა 2: (20 წთ.)

ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მოვუსმინოთ თითოეულ წარმომადგენელს.

სავარაუდო პასუხები:

№1. მონაკვეთი ტექსტიდან: „ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი თავადი, მრგვალი, როგორც კარგი ნასუქი კურატი“. მწერალი კურატს, ანუ ხარს ადარებს ლუარსაბს. როგორც შემდეგ გაირკვა, ლუარსაბის ცხოვრების აზრი, ისე როგორც პირუტყვისა, მხოლოდ ჭამაა. ილია ამით გვეუბნება, რომ თუ ადამიანმა სულიერება დაკარგა, პირუტყვს დაემსგავსება.

№2. ლუარსაბის აზრით, კაცი ძირგავარდნილი ქვევრია. ასე ის იმიტომ ფიქრობს, რომ ცხოვრებაში, გარდა ჭამა-სმისა, სხვა საფიქრალ-საზრუნავი არ აქვს. ცხოვრების მიზანი მარტო ის ჰგონია, რომ გემრიელი საჭმლით ისიამოვნოს, მშვიერი არ დარჩეს და პირის გემო არ გაიფუჭოს. არ ვეთანხმები ლუარსაბს, რადგან ადამიანი იმისთვის კი არ ცხოვრობს, რომ ჭამოს და სვას, არამედ იმისათვის, რომ ისწავლოს, სიკეთე აკეთოს, საქმით გამოადგეს თავის ოჯახს და ქვეყანას.

№3. ლუარსაბს სწავლა-განათლება არა აქვს. ეს ეამაყება კიდეც. იგი დასცინის ყველა სწავლულს. მისი აზრით, ვაჟკაცისათვის აუცილებელი სულაც არაა სწავლა. მთავარია, ფერ-ხორცი არ მოაკლდეს. აქედან გამომდინარე, ლუარსაბი და დარეჯანი მოკლებულნი არიან სინათლეს, მათი ყოფა ბნელია. ისინი ვერასოდეს დაუახლოვდებიან ღმერთს, ვერ იბრძოლებენ დაბრკოლებებთან, რადგან არ ექნებათ ყველაზე მთავარი იარაღი — ცოდნა.

№4. ლუარსაბისა და დარეჯანის კამათის საგანია ჭამა-სმა. ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, დღეს რა ჭამონ, ხვალ — რა. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი ამქვეყნად იმიტომ კი არ მოვიდა, რომ სულ ამაზე იფიქროს, არამედ კეთილი საქმეები, მაღლი აკეთოს. ადამიანს ჭამა და სმა მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ გაძლიერდეს ფიზიკურად, დაუძღვრებული და სწეული სხვისთვის ვერაფერს გააკეთებს... მოთხრობის ამ მონაკვეთის მიხედვით ლუარსაბი და დარეჯანი პირუტყვებს ემსგავსებიან. თუმცა შეიძლება კარგიც დავინახოთ იმაში, რაც ხდება. მაგ., ლუარსაბსა და დარეჯანს უდავოდ უყვართ ერთმანეთი. თუ კამათობენ, ამაში სიყვარული იგრძნობა.

№5. ჩვენ ირგვლივ ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს ლუარსაბის მსგავსად. თუ ჩავეუკვირდებით, ჩვენ ყველანი ცოტათი მაინც ვგავართ მას, რადგან ყოველდღე ვფიქრობთ იმაზე, რა ვჭამოთ, რა ვსვათ; საქმის კეთება გვეზარება, ხვალისთვის გადადება გვირჩევნია. არ ვდარდობთ, თუ წიგნი წასაკითხი დაგვრჩება. ხანდახან ტყუილის მოგონებაც გვეხერხება, როდესაც საქმე გასაკეთებლად დრო არ გვემეტება და გართობა გვირჩევნია.

## აქტივობა 3: (7 წთ.)

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ შევაჯამოთ მოსწავლეთა ნააზრევი. მოსწავლეს მოვუთხროთ სახარების იგავი: იყო ერთი სახლის პატრონი. ერთხელ თავისი სახლიდან შორს წავიდა, წასვლის წინ კი დაიბარა თავისი მონები და ქონება დაურიგა: ერთ მონას ერთი ტალანტი მისცა, მეორეს — ორი, ხოლო მესამეს — ხუთი. ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, ივაჭრა და სხვა ხუთი მოიგო. ასევე მოიქცა ორი ტალანტის მიმღები — ორი სხვა მოიგო. ერთი ტალანტის მიმღებმა თავისი ბატონის ვერცხლი მიწაში ჩამარხა. როცა სახლის პატრონი დაბრუნდა, მათგან ანგარიში მოითხოვა. ხუთი ტალანტის მიმღებმა სხვა ხუთიც მოუტანა, ორი ტალანტის მიმღებმა — ორთან ერთად კიდეც ორი. მათ ბატონმა ქცევა მოუწონა და უფრო მეტს შეჰპირდა, ხოლო ერთი ტალანტის მიმღებმა უკან დაუბრუნა ის ერთი ტალანტი, მინიდან ამოღებული, ბატონი გაბრაზდა, წაართვა ისიც, რაც ჰქონდა, და ათი ტალანტის მქონეს მისცა, მონა კი სახლიდან გააგდო.

მოსწავლევებს ავუხსნათ, რომ ლუარსაბი სწორედ იმ ერთ ტალანტის მქონეს ჰგავს, რომელმაც ბატონის ვერცხლი, ანუ ღვთის მოცემული ნიჭი, განძი არ გამოიყენა და მიწაში დაფლა. როცა მოვიდა დრო, უფალმა მკაცრად დასაჯა იგი. არ შეუშვა თავის სამყოფში.

აქედან გამომდინარე, ადამიანმა ღვთის ბოძებული მადლით სიკეთე უნდა გაამრავლოს, ანუ „იქმნას სრულ, ვითარცა თვისი ზეციერი მამა“. ეს არის ამ ნაწყვეტის მთავარი სათქმელი.

## გაკვეთილის შეფასება: (2 წთ.)

➤ რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?

- გავანალიზეთ მოთხრობის „კაცია ადამიანი?!“ ნაწყვეტი — „დღეს რა ვჭამოთ, ხვალ რა ვჭამოთ?“

ჯგუფებში ვიმუშავებთ დავალებებსა და პრობლემურ საკითხებზე. შემდეგ მოვანწყვეთ პრეზენტაცია. მოვისმინებთ ხუთწუთიანი ლექცია, რომელზეც შევაჯამებთ გაცვეთილის მსვლელობისას ჩამოყალიბებული აზრები. გამოვკვეთთ ნაწყვეტის მთავარი სათქმელი.

### წერიტი დავალება:

სახელმძღვანელოდან ტექსტის ბოლოს მითითებული წერიტი დავალება.

## დღეს რა ვჭამოთ, ხვალ რა ვჭამოთ?

(ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ მიხედვით)

### მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** საშინაო დავალების პრეზენტაცია.

**ენობრივ მასალაზე დაკვირვება:** სიტყვათა სემანტიკური კავშირები — ანტონიმები, კავშირის ნაცვლად სას-ვენი ნიშნის დასმა, სიტყვათა აზრობრივი დაკავშირება, მოქმედების რაგვარობის, დროისა და ადგილის გამომხატველი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება.

**რესურსები:** დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, რვეულები, კალმები.

(შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან: ქ, №4, 8)

### აქტივობა 1: (15წთ.)

გაცვეთილი დავიწყოთ საშინაო დავალების პრეზენტაციით. კლასს წინასწარ გავაცნოთ შეფასების კრიტერიუმები:

- ა) პირობასთან შესაბამისობა — პირობის შინაარსობრივი მოთხოვნების დაცვა (0-1 ქულა);
- ბ) კომუნიკაციური უნარ-ჩვევები — სათქმელის გასაგებად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება, დამაჯერებელი და არგუმენტირებული მსჯელობა (0-3 ქულა);
- გ) ენობრივი უნარ-ჩვევები — ნასწავლი გრამატიკული კონსტრუქციების, ფორმების, სათანადო ლექსიკის გამოყენება (0-3 ქულა);
- დ) შემოქმედებითი უნარ-ჩვევები — ავლენს ორიგინალურობას, გაბედულებას (0-3 ქულა).

მოცემული კრიტერიუმებით შევაფასოთ 1 ან 2 მოსწავლე, რომელიც გამოთქვამს საშინაო დავალების კლასის წინაშე წარდგენის სურვილს. შეფასება შეიძლება მოსწავლეთა 3-4 კაციან ჯგუფსაც მივანდოთ.

### აქტივობა 2: (6წთ.)

მოსწავლეებს გავახსენოთ, რა არის ანტონიმები. ამ მიზნით დავსვათ შეკითხვა:

- რას ეწოდება ანტონიმები?
- საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს.

დაფაზე წინასწარ ჩამოვწეროთ სიტყვები სახელმძღვანელოდან და ვთხოვოთ, მოძებნონ სავ. №1. კლასთან ერთად დავაჯგუფოთ ანტონიმები:

გაუნათლებელი — განათლებული  
უნიგზური — ნიგნიერი  
უქნარა — მშრომელი  
უნებისყოფო — ნებისყოფიანი  
სულელი — ჭკვიანი  
შეუგნებელი — შეგნებული

შეიძლება აქვე ვთხოვოთ, რამდენიმე სიტყვის სინონიმაც მოძებნონ. მაგ:

განათლებული — სწავლული  
გონიერი — ჭკვიანი  
მშრომელი — გამრჯე და ა.შ.

### აქტივობა 3: (10 წთ.) — ინდივიდუალური სამუშაო

მოსწავლეებს ვთხოვთ, ინდივიდუალურად შეასრულონ სავ. №2. სამუშაოს დასრულების შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს წავაკითხოთ დავალება, დანარჩენებმა კი — შეამოწმონ.

**აქტივობა 4:** (12 წთ.) — მუშაობა წყვილებში.

მოსწავლეებს ვთხოვთ, წყვილებში შეასრულონ სავ. №3 და №4. სამუშაოს დასრულების შემდეგ რამდენიმე წყვილს წავაკითხოთ, დანარჩენებმა კი — შეამოწმონ.

**გაკვეთილზე შესრულებული სამუშაოს შეფასება:**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- ნავიკითხეთ საშინაო დავალება, შევაფასეთ კრიტერიუმების მიხედვით. შევასრულეთ სავარჯიშოები ინდივიდუალურად და წყვილებში, ნავიკითხეთ და შევამოწმეთ.

## აკაკი წერეთელი „ალმასი და რიყის ქვა“

**მიზნები:**

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** სათაურისა და ტექსტის შინაარსის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა, სიტყვების განმარტება, წარმოსახვითი თხრობა ლექსის სიუჟეტზე დაყრდნობით, პრობლემურ კითხვებზე პასუხის გაცემა, მთავარი აზრის გამოყოფა და ჩამოყალიბება.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** მითითებულ ტექსტში სტროფის მოძებნა, ლექსის სტროფებად დაყოფა და გაანალიზება.

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** ლექსის წაკითხვა და გაგება, შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა, ორაზროვანი გამონათქვამების ასხნა.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, რვეული, კალამი, დაფა, ცარცი.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV. 3, 6, 7, 12.

**აქტივობა 1 — მუშაობა კლასთან: (10 წთ.)**

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ვკითხოთ, თუ იციან, რა არის ალმასი. მოვისმინოთ მათი პასუხები:

- ალმასი არის მინის საჭრელი იარაღი.
- ალმასისგან ამზადებენ ბრილიანტს.
- ალმასი არის ძვირფასი ქვა.

შემდეგ დაფაზე დავწეროთ სიტყვები: **ალმასი** და **რიყის ქვა** და ვთხოვთ, გამოთქვან ვარაუდები, რა შეიძლება იყოს გადმოცემული ამ ლექსში. მოვისმინოთ მათი ვარაუდები და მოკლედ ჩამოვწეროთ დაფაზე:

- შეიძლება ალმასი რიყის ქვამ იპოვოს და დაუმეგობრდეს. ალმასთან მეგობრობამ შეიძლება უბრალო ქვაც გაალამაზოს, როგორც იაკობ გოგებაშვილის „უსუნო ყვავილში“ იყო.
- შეიძლება ალმასმა დასცინოს რიყის ქვას, აბუჩად აიგდოს, რიყის ქვამ კი მოითმინოს, სულგრძელობა გამოიჩინოს...

**აქტივობა 2 — მუშაობა კლასთან: (20 წთ.)**

შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, წაკითხონ ლექსის I-II სტროფი. კითხვებით შევამოწმოთ, როგორ გაიგეს ტექსტი:

- რა იპოვა ვაჭარმა მინდორში?
- ვაჭარმა მინდორში იპოვა დიდი ალმასი.
- რატომ დაავლო მას ხელი?
- იმიტომ, რომ იცოდა მისი ფასი.
- რომელ სტრიქონში ჩანს, რომ ვაჭარი თავის ხელობას არ ღალატობს?
- „წავიდა, მეფეს მიჰყიდა, ფულები დაათვლევინა...“
- სად აღმოჩნდა ალმასი?
- ალმასი აღმოჩნდა მეფის გვირგვინში.
- განმარტებაში წამიკითხეთ, რა არის გვირგვინი!
- აქ: ძვირფასი ლითონისაგან გაკეთებული, თვლებით შემკული თავსაბურავი მეფისა, მისი მმართველობის სიმბოლო.

შემდეგ ვთხოვთ, წაიკითხოთ ლექსი III, IV, V, VI სტროფები.

დავსვით კითხვები:

- როგორ მოიხსენიებს პოეტი რიყის ქვას ამ სტროფებში?
  - სიპ ქვად.
- რა გაუკვირდა სიპ ქვას?
  - ის, რომ ალმასი მეფემ თავის გვირგვინში ჩასვა.
- როგორ აფასებს სიპი ქვა ალმასს? რად მიაჩნია იგი?
  - უწოდებს რაღაც ბრჭყვიალა, პატარა კენჭს, რომელიც მასთან ახლოს ეგლო.
- როგორ აფასებს სიპი ქვა საკუთარ თავს?
  - თვლის, რომ ალმასზე მეტიც არის და ერთიორად მძიმეც. ამიტომ, თუ ის ჩასვეს გვირგვინში, მაშინ მისი, სიპი ქვის, მშვენება ქვეყანას გააშტერებს.

მოსწავლეებს ვთხოვთ, წაიკითხოთ VI, VII, VIII, IX სტროფები, შემდეგ კი დავსვით კითხვები:

- რა სთხოვა მეურმეს სიპმა ქვამ? რისი იმედი ჰქონდა?
  - სიპმა ქვამ მეურმეს სთხოვა, რომ ქალაქში წაეღო და დაეგდო გინდ მტვერში, გინდ ტალახში, რადგან გამვლელი ვინმე მოჰკრავდა თვალს, მერე კი ის თვითონ გაიკვლევდა გზას.
- მოსწავლეებს ვთხოვთ, დაასრულოთ ლექსი. ისევ დავსვით შეკითხვები:
  - სად აღმოჩნდა ბოლოს სიპი ქვა?
    - სიპი ქვა მეურმის დახმარებით ქალაქში აღმოჩნდა. მან იგი ქუჩის პირას დააგდო, „წინ გაუგორა გამვლელსა“. ამის შემდეგ იგი წაიღეს „ყორეში ჩასაკვეთებლად“.
  - რას ნიშნავს „ჩაკვეთება“?
    - ძალად ჩარჭობას, ჩაჭედვას.
  - ყორე?
    - კირის გარეშე, უტალახოდ ნაგები ქვის კედელი.
  - რატომ არ აღმოჩნდა სიპი ქვა მეფის გვირგვინში?
    - იმიტომ, რომ მას, ალმასთან შედარებით, ფასი არ აქვს, უბრალოა და მეფის სამკაულად არ გამოდგება.
  - როგორ შეაფასებდით სიპის ქვის საქციელს?
    - სიპის ქვა ამპარტავანია, შურიანი. მას გადამეტებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, რაც აბრმავეს და ამიტომ უკეთესის დანახვისა და შეფასების უნარი დაკარგული აქვს. მას არავინ აფასებს, ზედაც არავინ უყურებს. თავი რომ ღირსეულად დაიჭიროს და თავისი უბრალოება შეიფეროს, უფრო დააფასებენ. იგი, ამავე დროს, ბრიყვია, რადგან ვერ შეძლო საკუთარი თავის დანახვა და შეფასება.
  - თქვენი აზრით, რას გვასწავლის ეს იგავ-არაკი? რაზე დაგვაფიქრებს სიპი ქვის საქციელი?
    - სიპი ქვის საქციელმა უნდა დაგვაფიქროს საკუთარ თავზე, საკუთარ შესაძლებლობებზე.

ტექსტზე მუშაობის შემდეგ მოსწავლეთა ყურადღება მივაპყროთ დავას, სადაც მათ მიერ გამოთქმული ვარაუდებია ჩამოწერილი, რათა მათ საშუალება მიეცეთ შეაფასონ თავიანთი ვარაუდები.

შემდეგ მოსწავლეებს წავუკითხოთ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ სიტყვა „ამპარტავნის“ განმარტება:

„ამპარტავანი ესე არს თვისის ნაქმარისა მამწონებელი და უმსგავსო დიდების მოყვარე, გულმაღალი და სწავლის მოთაკილე.“

### **აქტივობა 3 – მუშაობა ჯგუფში: (10 წთ.)**

მოსწავლეებს მივცით დრო — 5 წთ. და ვთხოვთ, დაჯგუფდნენ და ისე ჩამოაყალიბონ ლექსის დედააზრი, პოეტის მთავარი სათქმელი. შემდეგ მოვუხმინოთ I-II ჯგუფის წარმომადგენელს. სავარაუდოდ, ისინი უპასუხებენ, რომ ადამიანი ბრიყვი არ უნდა იყოს, უნდა დაინახოს როგორც საკუთარი, ისე სხვისი შესაძლებლობები და აღიაროს შენზე უკეთესი, თორემ შური, წამხედურობა, სიბრიყვე, ამპარტავნება დაგლუპავს.

გაკვეთილის ბოლოს 1 ან 2 მოსწავლეს ლექსი წავაკითხოთ ხმამაღლა.

### **შესრულებული სამუშაოს შეფასება: (3 წთ.):**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
  - ლექსის წაკითხვამდე ვუპასუხეთ დასმულ კითხვებს. გამოვთქვით ვარაუდები ლექსში გადმოცემულ ამბავთან დაკავშირებით. წავიკითხეთ ლექსი სტროფებად და გავაანალიზეთ, განვმარტეთ სიტყვები. შევაფასეთ ლექსის პერსონაჟის საქციელი. გამოვკვეთეთ ლექსის დედააზრი. წავიკითხეთ ლექსი გამომეტყველებით.

### **განმავითარებელი შეფასება:**

მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე დაკვირვებითა და ჩანიშვნებით, შეგვიძლია გამოვიყენოთ კომენტარები.

**საშინაო დავალება:** ლექსი — სტროფები შერჩევით ზეპირად.

დასაწერად: ლექსის მოკლე შინაარსი.

# ბაყაყი და ხარი

(ეზოპეს იგავის მიხედვით)

## მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** სათაურისა და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა, სიტყვების განმარტება, მსჯელობა ტექსტის მთავარ თემაზე, პერსონაჟის დახასიათება, მისი საქციელის შესახებ მსჯელობა.

**კითხვის უნარის გავარჯიშება:** იგავის ნაკითხვა და გაგება.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** იგავის ანალიზი, სიტყვების განმარტება კონტექსტიდან გამომდინარე.

**წერილი უნარების განვითარება:** საკითხზე წერილობით პასუხის გაცემა, პერსონაჟის ქცევის შეფასება, სხვა პერსონაჟთან მსგავსების მოძიება, მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, კალმები, დაფა, ცარცი, რვეული.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV. 3, 6, 7, 9.

მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე გააგრძელეს მუშაობა აკაკი წერეთლის ლექსზე, შეასრულეს ენობრივი სამუშაოები, დაამუშავეს „საგულისხმო ცნობა“.

## აქტივობა 1: (6 წთ.)

გაკვეთილი დაიწყო საშინაო დავალების შემოწმებით. წავაკითხეთ ერთ მოსწავლეს წერილი დავალება, რომელიც შეფასდება კლასთან ერთად უკვე შემუშავებული კრიტერიუმებით (კრიტერიუმები იხ. წინა დაგეგმილ გაკვეთილებთან).

## აქტივობა 2: (15წთ.)

მოსწავლეებს ავუსხნათ, რომ დღეს ისინი წაიკითხავენ ეზოპეს იგავს „ბაყაყი და ხარი“, რომელშიც მწერლის სათქმელი იგავურად იქნება გადმოცემული. ვთხოვთ, დაჯგუფდნენ და მოიფიქრონ, რა შეიძლება ერთმანეთთან აკავშირებდეს სათაურში გამოტანილ ორ პერსონაჟს. მივცეთ დრო – 5 წთ. შემდეგ ვთხოვთ ჯგუფიდან თითო წარმომადგენელს, წაგვიკითხოს ნამუშევარი. მოვისმინოთ და შემდეგ ისინი დაფაზე მივამაგროთ. სავარაუდოდ, ისინი უპასუხებენ, რომ:

- შეიძლება ბაყაყმა მოხერხებითა და გონიერებით აჯობოს ხარს მიუხედავად იმისა, რომ იგი პატარაა მასზე: „გახსოვდეს, კოვზსა პანაის დიდი ზღვა დაუღევია“.
- შეიძლება ხარს ისევე დასჭირდეს ბაყაყის დახმარება, როგორც ლომს — პატარა თავისა (ი. გოგებაშვილის „ლომი და თავი“).
- შეიძლება ბაყაყი გაამპარტავნდეს, მოინდომოს „ხარობა“ ისევე, როგორც აკაკი წერეთლის ლექსში „ალმასი და რიყის ქვა“.
- შეიძლება ხარმა დასცინოს ბაყაყს და დაამციროს იმის გამო, რომ პატარაა და არაფრის მაქნისი.

## აქტივობა 3: (10წთ.)

მოსწავლეებს ვთხოვთ, დამოუკიდებლად წაიკითხონ იგავი „ბაყაყი და ხარი“. ერთხელ წაკითხვის შემდეგ დავსვათ კითხვები იმის გასარკვევად, თუ როგორ გაიგეს ტექსტი. კითხვებზე პასუხის გასაცემად, ვთხოვთ, დაიხმარონ ტექსტი და მასზე დართული განმარტება.

- სად დაინახა ბაყაყმა ხარი?
  - ქალაში.
- რას ნიშნავს „მოხიბლა“?
  - ძალიან მოეწონა, მოაჯადოვა.
- რამ გააოცა და მოხიბლა ბაყაყი?
  - პირუტყვის – ხარის – სიდიდემ.
- რა იგულისხმება ჭაობის ბინადარში?
  - ბაყაყი.
  - რა არის ჭაობი?
    - ადგილი დაბლობში, სადაც დამდგარი, გაუვალი წყალია.
  - როგორ მოიქცა ჭაობის ბინადარი ბაყაყი?
    - მან ღრმად და ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დონდლო სხეული გაბერა.
  - რას ნიშნავს „დონდლო“?
    - დუნე, მოშვებული, ზანტი, უფხო, მოუხერხებელი.
  - რა ჰკითხა ბაყაყმა თავისიანებს?
    - ვაჯობე ხარს სიდიდით თუ ვერაო?
  - როგორ მოიქცა პასუხის მოსმენის შემდეგ?

- ფაშვი ისევ გამობერა, გაიბლინდა, გაიჭიმა და ისევ ჰკითხა, გავხდი ხარისხელა თუ არაო.
- რას ნიშნავს „ფაშვი“?
- მცოხნავი ცხოველის, მაგ., ძროხის მუცელი.
- რას ნიშნავს „გაიბლინდა“?
- თავმომწონედ გაიჭიმა, გაიფხორა.
- რა უპასუხეს თავისიანებმა?
- ხარისხელა არა ხარ და ვერც გახდებიო.
- სადამდე მიიყვანა ბაყაყი ხარად გახდომის სურვილმა?
- გაგულისებულ უფრო მეტად გაიბერა, გაიბერა და გასკდა.
- როგორ გემოდღვრავს იგავის ბოლოს ეზოზე? ანუ რას გვასწავლის ეს იგავი?
- ასე დაემართება ყველას, ვინც თავის ადგილს არ დასჯერდება და სხვად ყოფნას აიკვიატებს.

**აქტივობა 4: (მუშაობა წყვილებში) (9წთ.)**

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ, წყვილებად იმუშაონ. რით ჰგავს ბაყაყისა და ხარის იგავი ალმასისა და რიყის ქვის ამბავს?

მუშაობის დასრულების შემდეგ მოვუსმინოთ რამდენიმე წყვილს. სავარაუდოდ, ისინი უპასუხებენ, რომ:

- დიდია მსგავსება ამ ორი ნაწარმოების პერსონაჟებს შორის. სიბი ქვა და ბაყაყი ნამხედურობამ, ნაბაძვამ, ამპარტავნობამ, სიბრიყვემ დალუბა. ბაყაყმა ხარად ყოფნა, ხოლო ქვამ – ალმასად ყოფნა აიკვიატა. ორივე პერსონაჟმა სულელურად დაასრულა სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, ადამიანი უნდა ეცადოს, უკეთესი გახდეს, მიბაძოს კეთილს და არა „სხვად იქცეს“.
- შემდეგ დავსვათ კითხვა: ცხოვრებაში ხომ არ შეგხვედრიათ მსგავსი სიტუაცია? მოვისმინოთ მათი პასუხები.

გაკვეთილის ბოლოს გავაცნოთ წერიტი დავალების პირობა.

**გაკვეთილის შეფასება: (5წთ.)**

- რაზე ვიმუშავეთ დღევანდელ გაკვეთილზე?
- გამოვთქვით ვარიანტები ახალი მასალის სათაურთან დაკავშირებით ჯგუფებში, შემდეგ წავიკითხეთ იგავი და ვუპასუხეთ კითხვებს, შევადარეთ ნასწავლი და ახალი ტექსტები ერთმანეთს და გავაკეთეთ დასკვნები. გავიხსენეთ მსგავსი ცხოვრებისეული მაგალითები.

**შეფასება:**

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:**

იგავი თხრობით. წერიტი დავალება სახელმძღვანელოდან.

**ვაჟა-ფშაველას „გაზაფხული“**

(ენობრივი სამუშაო)

**მიზნები:**

**მხატვრული კითხვის უნარის განვითარება.**

**ენობრივ მასალაზე დაკვირვება:** ნართანიანი მრავლობითის ფორმები და მათი ბრუნება, სიტყვათა შორის მიმართების გარკვევა, სიტყვათა კლასიფიცირება.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, რვეული, კალამი.  
ქ. IV. 1, 6, 14.

მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე დაამუშავეს ვაჟა-ფშაველას „გაზაფხული“.

**აქტივობა 1: (10 წთ.)**

გაკვეთილი დავიწყოთ მასალის გამოკითხვით. 1-2 მსურველს ვთხოვთ, წაიკითხონ ლექსი გამომეტყველებით. მოსწავლეები შეაფასებენ შემდეგი კომპონენტების მიხედვით:  
ფესტიკულაცია — 1, 2, 3 ქულა;

ხმის ტემბრი — 1, 2, 3 ქულა;  
შემოქმედებითი მიდგომა ლექსისადმი — 1, 2, 3, 4 ქულა.

**აქტივობა 2: (18 წთ.)**

მოსწავლეებს ვთხოვთ, დაჯგუფდნენ და ლექსიდან ამოიწერონ მრავლობითი რიცხვის გამომხატველი არსებითი სახელები. შემდეგ თითოეული ჯგუფის მიერ ამოწერილი სიტყვები ჩამოვწეროთ დაფაზე:

**ჩახუტულთ**  
**იათა**  
**არემარეთა**  
**ტყიანთა**  
**მწერთა**  
**ოთხფეხთა**  
**ფრთიანთა**

დავსვათ შეკითხვა: - რა აერთიანებს ამ სიტყვებს?

- ერთი სიტყვა – „ჩახუტულთ“ მთავრდება „თ“-ზე და სხვები – „თა“-ზე.

ამის შემდეგ ავუხსნათ, რომ ჩამოთვლილი ფორმები ნართანიანი მრავლობითი რიცხვის გამომხატველია. მათ ნართანიანი იმიტომ ჰქვია, რომ სახელობით და წოდებით ბრუნვებში „ნ“ ნიშანი დაერთვით, ხოლო მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში — „თა“. ვაბრუნოთ დაფაზე სიტყვა „ია“ და „მწერი“ ნართანიან მრავლობითში.

სახ.	ია-ნ-ი	მწერ-ნ-ი
მოთხ.	ია-თა	მწერ-თა
მიც.	ია-თა	მწერ-თა
ნათ.	ია-თა	მწერ-თა
მოქ.	–	–
ვით.	–	–
წოდ.	ია-ნ-ო	მწერ-ნ-ო.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ნართანიან მრავლობითს მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები არა აქვს! მოსწავლეებს დამოუკიდებლად მივცეთ საბრუნებლად სიტყვები: „არემარეთა“, „ოთხფეხთა“. შემდეგ წავაკითხოთ რამდენიმეს, დანარჩენებმა კი შეამონმონ.

**აქტივობა 3: (7 წთ.)**

მოსწავლეებს ვთხოვთ, წყვილებში შეასრულონ I და II სავარჯიშოები. რამდენიმე წყვილს წავაკითხოთ. დანარჩენები კი — შეამონმებენ.

**აქტივობა 4: (5 წთ.)**

მოსწავლეებს ვთხოვთ, დამოუკიდებლად შეასრულონ III სავარჯიშო, შემდეგ კი შევამონმოთ ისე, როგორც წინა შესრულებული სავარჯიშოები. მოსწავლეებს ვთხოვთ, დაგვისაბუთონ, რატომ აირჩიეს ის ფორმა.

**შესრულებული სამუშაოს შეფასება: (3 წთ.)**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- მხატვრულად წავიკითხეთ ვაჟას ლექსი. ვისწავლეთ ნართანიანი მრავლობითი და ვაბრუნეთ სიტყვები. შევასრულეთ სამუშაოები.

**საშინაო დავალება: (2 წთ.)**

ნართანიან მრავლობითში აბრუნონ რამდენიმე სიტყვა, შეასრულონ IV სავარჯიშო.

## გალაკტიონ ტაბიძე – „გაზაფხული“

### მიზნები:

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** მოვლენების აღწერა, სიტყვებისა და ფრაზების განმარტება, ლექსის სტროფებად დაყოფა და გაანალიზება, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** მითითებულ ტექსტში სტროფის მოძებნა, ლექსის სტროფებად დაყოფა და გაანალიზება, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა.

**კითხვის უნარის გავარჯიშება** — ლექსის წაკითხვა და გაგება, შესაბამისი ინტონაციით კითხვა.

**კოგნიტიური უნარების გავარჯიშება:** ლექსებს შორის შესადარებელი დეტალების მოძებნა და ერთმანეთთან შედარება.

**წერილობითი უნარების განვითარება:** ილუსტრაციის შექმნა ლექსის სიუჟეტზე.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, რვეული, კალამი, დაფა, ცარცი.

**შესაბამისობა ეროვნულ გეგმასთან:** ქ. IV. 3, 6, 7, 12.

### აქტივობა 1: (10წთ.)

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ვთხოვთ, ვაჟა-ფშაველას „წიფლისჩიტას“ მიხედვით აღწერონ გაზაფხული. ჩამოვწეროთ დაფაზე:

- მინა თბება.
- მზე უფრო აცხუნებს.
- ჩიტები ჭიკჭიკებენ, ფრინველები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან.
- ტყეს ამშვენებს თეთრად და წითლად აყვავებული მაჟალო და პანტა. ყვავის ტყემალი.
- ხეები კვირტებს ისხამენ.
- ცოცხლდება ბუნება.
- ადამიანები კარგ განწყობაზე დგებიან.

### აქტივობა 2: (20წთ.)

პასუხების მოსმენის შემდეგ ვთხოვთ, წაკითხონ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „გაზაფხული“. ერთხელ წაკითხვის შემდეგ ვთხოვთ, ისაუბრონ თავიანთ განწყობაზე.

- ძალიან ხალისიანი განწყობა შემიქმნა.
- ამაღლებული განწყობა დამეუფლა.
- მომიწინა ფეხშიშველა გაქცევა ცვრიან ბალახზე.

მოსწავლეებს ვთხოვთ ახლა ლექსის მხოლოდ I-II სტროფი წაკითხონ. შემდეგ დავსვათ შეკითხვები სახელმძღვანელოდან:

- ლექსის მეორე სტრიქონში ნახსენებია ვაზის ცრემლები. ვაზის ტირილი ილია ჭავჭავაძის რომელ ლექსს გახსენებთ?
- ვაზის ცრემლებმა გაგვახსენა ილიას ლექსი „გაზაფხული“. იქაც გაზაფხულზე ვაზი ტირის, სიხარული ატირებს.
- როგორ გესმით „ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი“?
- ზვარში, ანუ დიდ ვენახში, ახლად გასხლულ ვაზს წვენი სდის წვეთ-წვეთობით.
- რა სიტყვით ახასიათებს გალაკტიონი დილის სისხამს, დღეს?
- იგი უწოდებს „მშვენიერს“.
- როგორ გრძნობს ადამიანი დილის უხვ ცვარს?
- იგი ფეხებს გისუსხავს.
- რა ლივლივებს დილაადრიან სიმინდსა და ხეებზე?
- ნამი. საკმარისია შეეხო ტოტებს, რომ ნამი თავით კოჭამდე გაივლის.
- რა შეგრძნება ეუფლება პოეტს, როცა დილის ნამს ეხება?
- მოსწავლეები შემოხაზავენ „ა“ ვარიანტს:  
სიამოვნებით გამონვეული ჟრჟოლა.
- მესამე სტროფში ერთი და იგივე სიტყვები მეორდება. რას გვამცნობს პოეტი ამ სიტყვებით?
- იმას, რომ რაღაც ძალიან სასიხარულო ხდება — ბუნება ცოცხლდება.
- ლექსის III სტროფის მიხედვით, როგორია ცვარი?
- მაცოცხლებელი.
- პოეტის როგორი განწყობა ჩანს ლექსში?
- პოეტი ბედნიერია იმით, რომ გაზაფხული მოდის, აღტაცებულია.
- ყველაზე მეტად რომელი ფრაზა მოგეწონათ? რატომ?
- მოვისმინოთ მოსწავლეების პასუხები.
- რით ჰგავს გალაკტიონის ლექსი „გაზაფხული“ ვაჟას „გაზაფხულს“?

- ორივე ლექსში აღწერილია, თუ როგორ იღვიძებს ბუნება, სიცოცხლე ენიჭება ყველაფერს, „სიკვდილი მომკვ-  
დარა“, არ ჩანს.

**აქტივობა 3: (10წთ.)**

გაკვეთილის ბოლოს ერთ-ერთ მოსწავლეს წავაკითხოთ ლექსი გამომეტყველებით. შემდეგ ვთხოვთ, დახატონ გალაკტიონის და ვაჟას ლექსებში აღწერილი გაზაფხულის სურათი.

**შესრულებული სამუშაოს შეფასება: (5წთ.)**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- აღწერეთ გაზაფხული. წავიკითხეთ გალაკტიონის ლექსი „გაზაფხული“ და სტროფები გავაანალიზეთ. განვ-  
მარტეთ ფრაზები. ვისაუბრეთ პოეტის განწყობაზე. შევადარეთ ვაჟას „გაზაფხულს“. დავხატეთ გაზაფხული  
ლექსების მიხედვით.

შემდეგი გაკვეთილისათვის მოსწავლეთა ნამუშევრები გამოვფინოთ კედლებზე და 5-10 წთ. დავუთმოთ „გასეირნებას გალერეაში“.

მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:** ლექსი ზეპირად. ნახატის დასრულება.

## ვაჟა-ფშაველა

(საგულისხმო ცნობები)

**მიზნები:**

**ზეპირმეტყველების უნარის განვითარება:** წინა მასალის გახსენება, საუბარი მწერალზე, მისი დახასიათება. ტექსტის აღქმა და გადმოცემა, სიტყვების განმარტება, თხრობის დროს შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება, მოვლენის აღწერა.

**ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება:** ტექსტის დამოუკიდებელი კითხვა, პერსონაჟის ქცევის შეფასება, გამოთქმების ახსნა, ეპიზოდის დასათაურება.

**წერიტი უნარების განვითარება:** დამუშავებული ტექსტიდან შესაბამისი მასალის გამოყენება წერაში.

**ენობრივ მასალაზე დაკვირვება:** გარკვეული ნიშნით სიტყვათა კლასიფიცირება, სიტყვათა ახსნა.

**რესურსები:** სახელმძღვანელო, დაფა, ცარცი, რვეული, კალამი.

**შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:** ქ. IV. 3, 6, 7, 14.

**აქტივობა 1: (8 წთ.)**

მოსწავლეებმა წინა გაკვეთილზე შეისწავლეს ვაჟას ბიოგრაფია და წერილი **“გზა ვაჟას უნდა დაუთმოთ”**.

გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს ვთხოვთ, გაიხსენონ, რა იცინათ ვაჟას შესახებ. შევაფასოთ დაფაზე დახატული სქემა. მოსწავლეთა პასუხები ჩამოვწეროთ გრაფაში “ვიცი”.

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე
<p>დაიბადა ფშავში. ნამდვილი სახელი და გვარია ლუკა რაზიკაშვილი.</p> <p>მშობლები განათლებული ადამიანები იყვნენ.</p> <p>დაბადებიდანვე დაჰყვა თმიანობა, რის გამოც სახელიანობას უწინასწარმეტყველებდნენ.</p> <p>ცხოვრობდა ხელმოკლედ.</p> <p>ილია დიდად აფასებდა. ისინი მეგობრები იყვნენ.</p> <p>დადიოდა ხურჯინით, გაცრეცილი ჩოხით, მწყემსის ქუდით...</p>	<p>ვაჟას ოჯახის შესახებ;</p> <p>ვაჟას ფშავში ცხოვრების ეპიზოდები;</p> <p>როგორი მამა იყო იგი?</p> <p>სხვა თანასოფლელების მოგონებები.</p>	<p>1) ვაჟა-ფშაველა პეტერბურგში შეურქმევია თუმ მეგობარს დიმიტრი ცისკარიშვილს.</p> <p>დიმიტრი ხან „ვაჟას“ ეძახდა, ხან – „ფშაველას“. მერე შეაერთა და პირველად მან დაუძახა პოეტს ვაჟა-ფშაველა.</p> <p>ვაჟა ფშავ-ხევსურეთში ბიჭს, ვაჟკაცს ნიშნავს.</p> <p>2) მეგობრები ძალიან უყვარდა. პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად ფული მიუცია გლდანელ ფალავანს კულა გლდანელს, რომელსაც ეს ფული სპეციალურად მისთვის გამართულ საღამოზე აუღია თიანეთში.</p> <p>3) ვაჟას თანასოფელელის მიხა ტურაშვილის მონათხრობიდან გავიგეთ, რომ ვაჟა ძალიან სამართლიანი ადამიანი ყოფილა. ამასთან, დიდად ყურადღებიანი.</p> <p>როგორც კი გაიგო თანასოფელი გლეხების „დანოკების“ ამბავი, მაშინვე მათ დასაცავად გაემართა. იგი მეტად შეუპოვარი და უშიშარიც ყოფილა.</p>

**აქტივობა 2: (32 წთ.)**

მოსწავლეებს ვთხოვთ, წაიკითხონ პირველი საგულისხმო ცნობა. ისარგებლონ განმარტებებით. დავსვათ კითხვა:

- რა გაიგეთ ახალი ვაჟას შესახებ?
 

მოვისმინოთ მოსწავლეთა პასუხები და ჩამოვწეროთ გრაფაში „ვისწავლე“ (შეიძლება იმუშაონ მოსწავლეთა წყვილებმა და ფურცელზე ან რვეულში ჩაწერონ).

მოსწავლეებს ვთხოვთ, ახლა მეორე საგულისხმო ცნობა წაიკითხონ. ისარგებლონ განმარტებებით. შემდეგ ისევ დავსვათ შეკითხვები:
- კიდევ რა გაიგეთ ახალი ვაჟას შესახებ?
 

მათი პასუხები ჩამოვწეროთ გრაფაში „ვისწავლე“.

მოსწავლეებს ახლა მესამე საგულისხმო ცნობა წავაკითხოთ განმარტებების დახმარებით. კითხვის დასრულების შემდეგ შევავსოთ ისევ გრაფა „ვისწავლე“.

სქემაში „ვისწავლე“ გრაფის შემდეგ მოსწავლეებს ვთხოვთ გაგვიზიარონ, რის გაგებას ისურვებდნენ ვაჟას შესახებ. მათი პასუხები ჩამოვწეროთ გრაფაში „მინდა ვიცოდე“.

გრაფის შევსების შემდეგ მოსწავლეებს მივცეთ საშუალება, თავად აირჩიონ, ვის რომელ საკითხზე სურს მუშაობა (სასურველია წყვილებად). მასალის დასამუშავებლად მივუთითოთ ლიტერატურა, ჩვენც დავეხმაროთ მასალის მოძიებაში (სასურველია, გამოიყენონ ვახტანგ რაზიკაშვილის „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“), მივცეთ დრო — ერთი ან ორი კვირა.

მოვუნიშნოთ სასურველი საკითხის შესაბამისი ტექსტები, კომენტარები, რათა წყვილებში დაამუშაონ ისინი, შემდეგ კი იმსჯელონ კლასში, წარმოადგინონ და დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.

**მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები:**

<b>ზეპირი კომუნიკაციისათვის</b>	
პირობასთან სათანადოობა	0-1-2
საკუთარი მოსაზრების დასაბუთება	0-1-2-3-4
ორიგინალური, საინტერესო მოსაზრებების გამოთქმა	0-1-2
აზრის გასაგებად ჩამოყალიბება	0-1-2

10 ქულა

**შესრულებული სამუშაოს შეფასება: (5 წთ.)**

- რა სამუშაო შევასრულეთ დღეს?
- აღვწერეთ ვაჟას გარემო. ნავიკითხეთ სამი “საგულისხმო ცნობა”. ვისაუბრეთ, როგორი კაცი იყო ვაჟა-ფშაველა.

მოსწავლეები შევაფასოთ დასახული მიზნებიდან გამომდინარე.

**საშინაო დავალება:** ვაჟა-ფშაველაზე “საგულისხმო ცნობა” (სამივე).

## შინაარსისა და მიზნების რუკა

ძირითადი და დამხმარე ტექსტები		შინაარსი							დღაგენშ -აღაჲ ესდჲსდღა	მიზნები	შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
		განმარტება	კოტხეები	ენობრივი მასალა: სავარ- ჯიშოები	წერიტი და- ვალება	გამონათქ- ვამები	სავალისხ- მო ცნობა	8			
1	ანა კალანდაძე “საქართველო ლამაზო”	2	3	4	5	6	7	8	9	10	
					X	X	X	2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: აღწერა, ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის გარკვევა კონტექსტში, საუბარი ლექსის შინაარსის ირგვლივ, მსჯელობა ლექსის დედაზრზე, კოტხეებზე პასუხის გაცემა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მხატვრული ნაწარმოების მიმართ.</p> <p>2) კოტხის უნარის განვითარება: ლექსის დამოკიდებლად წაკითხვა და გაგება, ცალკეული სტროფების ანალიზი, მისი ლექსიკური დამუშავება, ლექსიდან შესაბამისი ადგილების გამოყენებით საკუთარი შეხედულებების დასაბუთება.</p> <p>3) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: არსებითი სახელებისთვის შესაბამისი ზედსართავი სახელის მისადაგება, ტირე და მისი ფუნქცია ლექსში, ერთი და იმავე და მსგავსი ბგერების მქონე სიტყვათა კლასიფიკაცია, საკუთარი ნაწერის გასწორება-კორექტირება ენობრივი თვალსაზრისით.</p> <p>4) წერითი უნარების განვითარება: მცირე ზომის ტექსტის (ოთხსტროფიანი ლექსის) შეთხზვა, საკუთარ ნაწერში სასვენი ნიშნების მართებული გამოყენება, ნაწერის ხამალალი კოტხეა.</p>	ქ. IV. 3, 6, 7, 9(11), 10(13), 14.	
	ორბგოლ ბელიანი “სხვა საქართველო სად არი?” (ნაწყვეტი პოემა “სადღეგრძელოდაწ”)					X			<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: ხამალალი კოტხეა.</p> <p>2) კოტხის უნარის განვითარება: მხატვრული ტექსტის წაკითხვა და გაგება, მითითებულ ტექსტში სტროფის მოძებნა.</p> <p>3) საზროვნო უნარების განვითარება: თვისებების კლასიფიკაცია, ორ ლექსს შორის მსგავსება-განსხვავებების მოძებნა.</p>	ქ. IV. 1, 3, 6, 7.	

<p>„ყმაწვილები ქალაქში“ (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით)</p>				<p>X</p>	<p>3</p>	<p>ქ. IV. 3, 4, 6, 7.</p>
<p>მურმან ლებანიძე „დიდმის ბოლოს ქალებში ვარ“</p>		<p>X</p>		<p>2</p>	<p>ქ. IV. 2, 3, 6, 8, 14.</p>	

სულხან-საბა ორბელიანი «განდევნილი და ყმანელი»						X	2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: ტექსტის ადეკვატური აღქმა და შინაარსის გადმოცემა, ავტორის ემოციური ლექსიკის გამოყენება, მსჯელობა ნაწარმოებში ასახულ ამბავზე, პერსონაჟის ქცევის შეფასება, პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირება, მონაწილეობა ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში, სიტყვების განმარტება.</p> <p>2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: რთული ლექსიკური ერთეულების გაგება, მითითებული სიტყვების მსგავსი სიტყვების მოძებნა ტექსტში.</p> <p>3) კითხვის უნარის გავარჯიშება: ლიტერატურული ტექსტის ნაკითხვა და გაგება, მსჯელობა ნაკითხული ტექსტის თემის ირგვლივ.</p> <p>4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: გამოტოვებული სიტყვის ჩასმა სათანადო ფორმით, ზმნების კლასიფიცირება გრამატიკული ნიშნით, სიტყვათა შორის მიმართების დამყარება, რიგობითი რიცხვითი სახელის ჩანერგა არაბული ციფრებით, რიცხვითი სახელების კლასიფიცირება.</p>	ქ. IV. 2, 3, 6, 14.
„სიტყვის ძალა“ - ხალხური		X		X		X		<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: სიტყვების განმარტება, ტექსტის მთავარი აზრის გამოყოფა, სათაურის და ტექსტის შინაარსის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა, პერსონაჟის საქციელის შეფასება, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება, მონაწილეობა ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში, მსჯელობა ანდაზის ტექსტთან მიმართებაზე.</p> <p>2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: ტექსტის დაყოფა შინაარსობრივ მონაკვეთებად, ეპიზოდების დასათაურება.</p> <p>3) კითხვის უნარის განვითარება: ნაკითხული ტექსტის თემის დასახელება და მსჯელობა მის შესახებ, ნაწარმოებში ასახული ამბის თხრობა ერთ-ერთი პერსონაჟის პირობით, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ნაკითხული ტექსტის მიმართ.</p> <p>4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: ანალოგიით სიტყვების წარმოება, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა, სიტყვათა შესაბამისი დაბოლოება, ზმნებისათვის სათანადო თავსართის დართვა, კავშირების მართებულად <b>სმარება</b>, <b>ორთოგრაფიული</b> თვალსაზრისით სწორი ფორმების არჩევა.</p>	ქ. IV. 3, 4, 6, 7, 14.

<p>ლადო ასათიანი «შემოდგომა»</p>					X	X	2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: ტექსტის ადამკვატური აღქმა და მისი შინაარსის გადმოცემა, მოუღონის აღწერა, სიტყვების განმარტება, მსჯელობა ლექსის ირგვლივ. 2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: მითითებული ტექსტის სტროფის მოძებნა, ლექსის სტროფებზე დაყოფა და განაღლიზება, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა. 3) კითხვის უნარის გავარჯიშება: ლექსის ნაკითხვა შესაბამისი ინტონაციით, სტროფებზე დაყოფა და დასწავლა. 4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: ზმნების შერჩევა კონტექსტის გათვალისწინებით, წინადადების წევრთა კლასიფიცირება. 5) წერილი უნარების განვითარება: გეგმის მიხედვით მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა, მითითებულ ტექსტში სასვენი ნიშნების დასმა, წინადადებების დალაგება აზრობრივი თანმიმდევრობის მიხედვით.</p>	<p>ქ. IV. 2, 3, 4, 6, 9(11), 10(13), 14.</p>
<p>ილია ჭავჭავაძე «შემოდგომა»</p>				X			2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: მასალის გახსენება, აღწერა, ტექსტის მთავარი აზრის გამოყოფა, საკომუნიკაციო ამოცანის განსაზღვრა და სამეტყველო ქცევის შესაბამისად წარმართვა (შემდეგ გადატანა წერაში), ტექსტის მხატვრული წაკითხვა. 2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: ლექსის ანალოგიური ფრაზის მოძებნა ტექსტში, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა. 3) კითხვის უნარის გავარჯიშება: მხატვრული ტექსტის წაკითხვა და გაგება, წაკითხვა შესაბამისი ინტონაციით — ხმამაღლა, ტექსტის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა. 4) წერილი უნარების განვითარება: კითხვებზე პასუხის სამუშაოებით მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა, ნაწერის კორექტირება. 5) კოგნიტიური უნარების განვითარება: სხვადასხვა ტიპის ტექსტებს შორის შესადარებელი დეტალების მოძებნა და ერთმანეთთან შედარება.</p>	<p>ქ. IV. 1, 4, 7, 9(11), 10.</p>

<p>ირაკლი ლომოური —«კოტე, კატი და კლაპიტონი ბაუგონართა ქვეყანაში»</p>				X	8	<p>ქ. IV. 2, 3, 6, 7, 9(11), 14.</p> <p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: ტექსტის მთავარი აზრის გამოყოფა, სიტყვების განმარტება, სათაურისა და ტექსტის შინაარსის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა, პერსონაჟის ქცევის შეფასება, მისი დახასიათება. ტექსტის თხრობა ავტორისეული ლექსიკის გამოყენებით.</p> <p>2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: ტექსტის დაყოფა მონაკვეთებად და ისე წაკითხვა, მითითებული ეპიზოდის მოძებნა ტექსტში, ეპიზოდის დასათაურება, პერსონაჟის თხრობის ავტორისეული თხრობიდან გამოყოფა.</p> <p>3) კითხვის უნარის გავარჯიშება: მსჯელობა ტექსტის თემის ირგვლივ, ნაწარმოებში ასახული აზრის თხრობა ერთ-ერთი პერსონაჟის პირობით, წაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ესთეტიკური და ეთიკური შეფასება.</p> <p>4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: წინადადების წევრები: მოქმედი საგანი, მოქმედების გამომხატველი და ამხსნელი წევრები და მათი კითხვები (მთავარი და არამთავარი წევრები), სიტყვის ამოცნობა, წინადადების შედგენა, შესაბამისი კავშირების გამოყენება ტექსტში, მოქმედი საგნის აღმნიშვნელი წევრის რიცხვი, ნიშნის მიხედვით რთული სიტყვების შედგენა, დეფისის ხმაურება რთულ სიტყვებში.</p> <p>5) წერილი უნარების განვითარება: ზეპირმეტყველებითი უნარის გადატანა წერაში — ტექსტის მთავარი სათქმელის ჩანერა, ტექსტში სასვენი ნიშნების დასმა, რთული სიტყვების მართლწერა, მარტივი ტექსტის შეთხზვა კითხვებზე პასუხის დახმარებით.</p>
---	--	--	--	---	---	---

<p>ანა კალანდაძე «ღრუბლები»</p>				X		2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: სიტყვების განმარტება, კითხვებზე პასუხი, საუბარი ლექსის ირგვლივ, მოვლენის აღწერა. 2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: ლექსის გაანალიზება, ხატოვანი გამოხატულებების ახსნა, სტროფის ან ფრაზის მოძებნა, საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა და გაგება (საგულისხმო ცნობა). 3) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: სიტყვის გადატანითი მიმდევრობით ხმარება, სიტყვის ჩასმა შესაბამის რიცხვში. 4) წერილი უნარების განვითარება: გეგმის მიხედვით მცირე ზომის თხზულების შექმნა.</p>	<p>ქ. IV. 3, 6, 8, 9(11).</p>
<p>შოი არაგვისპირელი «მწყერობა» «დედა მწყერი»</p>		X		X		5	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: აღწერა, ავტორისეული ლექსიკის გამოყენებით თხრობა, სიუჟეტის თანმიმდევრობით გადმოცემა, პერსონაჟის ქცევის შეფასება, პირად გამოცდილებასთან მისი დაკავშირება, აღწერისას სპეციფიკური ლექსიკის გამოყენება, ზმნის ერთი დროის ფორმების გამოყენება. 2) კითხვის უნარის გავრჯობა: ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და გაანალიზება, მსჯელობა ტექსტის თემის ირგვლივ, ნაწარმოებში ასახული ამბის თხრობა ერთ-ერთი პერსონაჟის პირით, ხატოვანი გამოხატულებების ახსნა. 3) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: ნაცვალსახელთა მართებული ხმარება, ნიშნის მიხედვით სიტყვათა შორის აზრობრივი კავშირების მოძებნა, სასენი ნიშნების დასმა — ძახილისა და კითხვის ნიშნები, აზრობრივად მართებული წინადადებების შერჩევა. 4) წერილი უნარების განვითარება: ტექსტში სასენი ნიშნების დასმა.</p>	<p>ქ. IV. 2, 3, 4, 6, 8, 14.</p>

ვაჟა-ფშაველა «ის კი არ არი ბი- ჭობა»						X	2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა ლექსის მიმართ, პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირება, ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა.</p> <p>2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: მითითებულ ტექსტში სტროფის მოძებნა, ლექსის სტროფებზე დაყოფა და განალიზება, ხატოვანი გამონათქვამების ახსნა.</p> <p>3) კითხვის უნარის გაფარჯიშება: ლექსის შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა, სტროფებზე დაყოფა და დასწავლა, ლექსად გადმოცემული ამბის გაგება, ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა.</p> <p>4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: წინადადების დასრულება, ანდაზის გადაწერა, ნიმუშის მიხედვით სიტყვის წარმოება, სიტყვის შემოკლება.</p> <p>5) წერილი უნარების გაფარჯიშება: ცხოვრებისეული შთაბეჭდილების საფუძველზე მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა, ტექსტში სასვენი ნიშნების დასმა.</p>	ქ. IV. 3, 7, 9(11), 14.
შალვა თაბუკაშვილი «ჯილდო»						X	3	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: სიტყვების განმარტება, მსჯელობა ნაწარმოების დედაზრზე, მოქმედი გმირის დახასიათება, ქცევის შეფასება, პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირება.</p> <p>2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: ტექსტის მონაკვეთებზე დაყოფა და განალიზება, მითითებული ეპიზოდის მოძებნა ტექსტში, ეპიზოდის დასათაურება.</p> <p>3) კითხვის უნარის გაფარჯიშება: ტექსტის გაზრების მიზნით კითხვების დასმა წაკითხულთან დაკავშირებით, დიალოგის სათანადო ინტონაციით წაკითხვა.</p> <p>4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: ზმნების გამოყენებით წინადადებების შედგენა, შეცდომების გასწორება, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები.</p> <p>5) წერილი უნარების განვითარება: შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა ავტორისეული ლექსიკისა და მხატვრული სახეების გამოყენებით.</p>	ქ. IV. 3, 6, 12, 14.

«შრომის ყადრი» - ხალხური			X		X	2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: წინა მასალის გახსენება, სიტყვების განმარტება, აფორიზმის დაკვირვება ტექსტთან, მსჯელობა ტექსტის დედააზრზე, პერსონაჟის დახასიათება, ქცევის შეფასება.</p> <p>2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: ხატოვანი გამონათქვამების ახსნა, ჩამოთვლილი სიტყვების საპირისპირო სიტყვების მოძებნა.</p> <p>3) კითხვის უნარის გავარჯიშება: დიალოგური ტექსტის სათანადო ინტონაციით წაკითხვა და გაგება, ტექსტის ლექსიკური დამუშავება, პერსონაჟის ქცევის შეფასება, მონაწილეობა ნაწარმოების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში.</p> <p>4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: ბრუნება, ბრუნვის ნიშნები.</p>	ქ. IV 3, 4, 6, 14.
იოსებ გრიშაშვილი – «ონავარი»						2	<p>1) ზეპირმეტყველების უნარის განვითარება: სიტყვების განმარტება, ლექსის დედააზრის გამოყოფა, კითხვებზე პასუხის გაცემა, სათაურისა და ტექსტის შინაარსის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობა.</p> <p>2) ტექსტზე მუშაობის უნარის განვითარება: ლექსის სტროფებზე დაყოფა და განალიზება, მითითებულ ტექსტში სტროფის მოძებნა, ჟანროვანი გამონათქვამების ახსნა.</p> <p>3) კითხვის უნარის გავარჯიშება: ლექსის შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა, ტექსტის ლექსიკური დამუშავება, მსჯელობა ტექსტის თემის ირგვლივ, ლექსად გადმოცემული ამბის გაგება.</p> <p>4) ენობრივ მასალაზე დაკვირვება: სიტყვის გადატანა, სიტყვის ჩასმა სათანადო ადგილას, ჟანრონის შეცვლა გამართული ქართული გამოთქმით.</p>	ქ. IV 3, 4, 6

<p>ნიწი ნაკაშიქი - «თბილისი»</p>						<p>X</p>	<p>4</p>	<p>ქ. IV 3, 4, 10(13), 12.</p>
